

K 18708
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა





თ 883 ✓

ჩაბ. ა. ა. ა.

5.

586
821.19 - 100 +
841

თქანებს თუბანიანი

რჩემული ნაწირობი

მ. ბრიშაშვილი

თავგანა

საქართველოს რევოლუციური

საბჭოთა კავშირი

102 რ.

რ. მთაწმ.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1924.

756/1

საქ-რ



+ 821.19-3



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԱՆՈՒՄԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԵՎ ԱՐԽԻՎ

ЦЕНТРАЛЬНАЯ ГОРЬКАЯ
Библиотека

— — — — —
— — — — —
— — — — —
— — — — —
— — — — —

409



მანანის თუმანიაძე

საბავშვო ლიტერატურის
ბიბლიოთეკა

192 გ.
გ. ბათუმი.



1921 г.

მე

გ. Батым.

ოვანეს თუშანიანის ავტოგრაფი

ეს ბურჟუაზია, ბურჟუაზია,
მეგობრებო ჩვე ბურჟუაზია,
ნურა მეგობრებო ჩვე,
ჩვე მეგობრებო ბურჟუაზია =

ოვან. თუშანიანი

მე, გზებო! გზებო!
შველოდ დარჩენილო გზებო
ვინა გოელავდა? ვის ატარებდით!
საით წავიდნენ გზები?

ოვ. თუშანიანი

† ოვანეს თუმანიანი

ჩახვდის მწვერვალზე ატრულა გულა
შენს ძვირფას ხახვს სკუდით ავასებს.
ბედა, ღექსების მზით წახსკუდა,
ითვლიან კარდაცვლად ქარახიკონებს.

ქადარა, მჭერას ფეროულით ხავერა,
ტახი აურილი, ვით ხა'ნი შაღმა.
ხაკვდილი დაქსწარ, როგორც მათერა,
როცა სიტოცხლე ვერ მოგესალმა.

თვალეშია ცრემლია ღამეს კაათეეს
ვინ ვახდოა გრძნობა, ვინ დაუგეშა!
ქვეყნის ცოდვილს და ხაჯალათეეს
ვინ ანუგეშებს, ხემო ნუგეშა!

წახვად! გაგვეცა ხეხა წარსულა, —
ხეხი წარსული ჟერ არ გაჭრება, —
და ღმერთა წარბებ-წამოშარსული,
შენის დამილით დამაჭრება.

გადახსნება ამ ქვეყნის კალთა,
მზე დაიხრება, როგორც თაველი,
და ხელმა დახვრით დატხედება კართან:
ქამერი, ივარდეს და რუსთაველი.

ი. პარიზისილი

წიგნების კატალოგი

ოვანეს თუმანიანი

ევროპის მწერლებს—აქედ თუ კარგად—თითქმის ყველას ვიცნობთ, ან ვცდილობთ გაეიცნოთ... ამ დარგში ჩამორჩენა სამარცხეინოთ მიგვაჩნია. საკუთარი ლიტერატურის უკოდინარობა კი—არ გვეთაკილება. მით უმეტეს არ ვიცნობთ ჩვენი კარის მეზობლებს, რომელნიც გეოგრაფიულად თუ ისტორიულად—ასე ახლოს არიან ჩვენთან.

სომეხთა მწერლობა, როგორც აღმოსავლურ სხვა ხალხთა ნააზრო, არ არის ინტერესს მოკლებული.

ოვანეს თუმანიანი სომხურ ახალ მწერლობის ამქარში ერთი ჭარბალი უსტაბაშია. სომხის ერის პოტენცია ოვანეს თუმანიანის პოეზიაში ჭარბად არის გადმოდერილი. იგი მთელი ეპოქის დამახასიათებელი მგოსანია.

მისი ნიჭი, რომელიც პირდაპირ მიწიდან შოდის, თავისებურია და შეუსტაჟ-გადაუსმელი. იგი სრულიადაც არა ჰგავს კრილოვის იმ გლეხს, ვხაზე რომ ოქრო იპოვნა და ბევრი ხეხვისაგან წონა დაუკარგა! ოვანეს თუმანიანმა იცოდა თავისი წონა და ფასი. იგი არ ეკუთვნოდა ლიტერატურაში გავრცელებულ რომელიმე ბრჭყვიალა მიმართულებას და ბუნებრივი ინტუიციის საშუალებით ინაზღაურებდა ზოგიერთ დანაკლისს.

ოვანეს თუმანიანი დაიბადა 1861 წ. სოფ. დსეღში (ლორის მაზრა). ანბანი შეისწავლა ამავე სოფლის დიაკენთან, რომელიც, პოეტის სიტყვით, უფრო „რკინის კვერთხით“ ასწავლიდა, ვიდრე სიტყვიერად. ამ პირველ საფეხურიდან გაიარა ჯალალ-ოღლის სკოლა, საიდანაც გადმოვიდა ტფილისში, ნერსესიანის სახელობის სემინარიაში. პოეტმა, უსახსრობის გამო, სწავლას მალე დაანება თავი და იძულებული გახდა არსებობისთვის რაიმე სამსახური მოეძებნა... მაგრამ სამსახურში გული არ უდგებოდა: უბრალო გადამწერლის თანამდებობა ვერ აკმაყოფილებდა. შრომლებს უნდოდათ, რომ წვილი მღვდელი ყოფილიყო, პოეტმა კი ერის კაცობა ამჯობინა... (პოეტის



შამა ტურ-თათოსა ძღვედელი იყო, იგი ამ დროს სოფლიდან იტყებდა დახმარებას — „ერთი ლუკმა პური“ ყოველთვის ჰქონდა და ამან მისცა საშუალება, რომ თვითგანვითარებას სავსებით დააჩქარებოდა. ლექსების წერა ადრევე დაიწყო, ჯერ კიდევ ნოწათფობის დროს იყო ცნობილი, როგორც კარგი მოზაირე. თანდათან ისე გაიწაფა კითხვაში, რომ თვით რუსულიდანაც კი სთარგმნიდა რუსეთის გამოჩენილ პოეტებს. განსაკუთრებით მოსწონდა პუშკინი და ლერმონტოვი. (მის ლექსთა კრებულში მოთაქსებულია: „დამბრჩელი“ — პუშკინისა, „მწიერი“ — ლერმონტოვის, „შილაონის პატიშარი“ ბაირონის, „გლეხის დარდი“ კალკოვის და სხვ.).

განსვენებულის ოცნებას შეადგენდა: „მოვეკეთდები თუ არა, უცილობლად უნდა ვთარგმნო: რუსთაველი, ფირდუსი და ჰომერო!“

ოვანეს თუმანიანი გარდაიკვალა 1921 წ. მარტის 23, მოსკოვში. სადაც საექიმოდ იყო წასული (კუს ავადმყოფობა ჰქონდა).

განსვენებულის ნეშტი მოსკოვიდან ტფილისში იქმნა ჩამოსვენებული და სომხის საზოგადოებამ დიდის ამბით დაკრძალა ხოჯივანქის სასაფლაოზე აპრილის 15. განსვენებული იყო სულ 54 წლისა*).

ოვანეს თუმანიანი თავის ნაწერებში ხალხურ აზრებს ატარებს. მან თავისი ერის ზღაპრები თუ ლეგენდები პოეტურ ყალიბში ჩამოძერწა და საზრიანი ამოძრავებით ააცელქა.

მისი ენა რბილია, როგორც ხაყერდი, და ძარღვიანი, როგორც მარმარილო.

სომხურ ლიტერატურულ ენას ახასიათებს ორი მიმდინარეობა: „გრადარ“ (ძველი სომხური) და „აშხარაბარ“ (ახალი სომხური). სომხური მწერლობის საერთო ხასიათის გამოკვლევა სხვა წიგნს ითხოვს — ეიტყვიოთ კი, რომ მათ პირვანდელ ნაწერებში სასულიერო ელემენტი სკარბობდა.

სომხურ საერო მწერლობის პიონერად — აშულეების გამოკლებით. — ითვლება ხაჩატურ აბოვიანცი**). მან თავის რომანებით პირ-

*) დაწერილდებითი ბიოგრაფია პოეტისა სომხურად არ არსებობს. ამიტომ მეც იმუღებულა ეხდები ამ მკითხველთა ცნობებით დაგვაყოფილდე. ბიოგრაფიული მასალა (სხვადასხვა მოღვაწეთა მოგონებანიც) უკვე გროვდება და როდისმე სხვა დროს ეტყდები დამატებითი ცნობები პოეტის ცხოვრებას შემახებ ჩვენს მკითხველებსაც მივაწოდო.

***) ხაჩატურ აბოვიანცი (1804—1848) დიდი ეროვნულის პატრონი იყო: იცოდა რამდენიმე ევროპული ენა, დასწერა სომხეთის ეპოპეა — რომანი: „სომხეთის კრალიობა“, რომლის დაბეჭდვას სიცოცხლის დროს ვერ მოესწრო: იგი 1848 წელს, ერთ დღით (აპრილის 2), გამოვიდა თავის სახლიდან და — ჩვენი მჩაბეღლიეთ — უკვალოდ დაიკარგა.

ველმა გაილაშქრა „გრაფარი“ ენის წინააღმდეგ, რომელიც პარტიკულარულად სანატლიერო პირებს და „ათიოდე მსწავლულს“ თუ ესმოდა.

მაგრამ ხალხი რომ არ ლაპარაკობს ამ ენაზე? — უსაყვედურებდა აბოვიანცი ზოგიერთ მწიგნობრებს — ხალხს რომ არ ესმის თქვენი ენა? დაე, ოქრო სკეიოდეს თქვენს ბაგეთაგან, ვის რად უნდა იგი? გრაფართი წერა იგივეა, კაცმა რომ რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე სწეროს!

სადათხოვას შემდეგ ეს იყო მეორე ცდა პოპულიარულ ენით ლიტერატურული ნაწარმოების გავრცელებისა.

შემდგომ ენა თანისთანობით დაიხვეწა... გადასროლილმა თესლმა თავისი ნაყოფი 'გამოიღო: გამოჩნდა მთელი წყება მწერლებისა, რომლებმაც ხაზატურ აბოვიანცის მოთვლილ ნაბადზე სიამოვნებით ჩაიდრიკეს ფეხი.

პატკანიანმა, რაფუმა, შირვანხადემ, აპარონიანმა, იოანესიანმა, წატურიანმა, ოვანეს თუმანიანმა, დემირჩიანმა და სხვებმა შეგნებულად შეიტანეს თავიანთ ნაწერებში ახალი ლიტერატურული ენა, ენა ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები. პატკანიანის ერთ წიგნს ეპიგრაფად კარაშინის სიტყვებიც კი აწერია: „სწერე ისე, როგორც ლაპარაკობენ, და ილაპარაკე ისე, როგორც სწერენ.“ *)

ოვანეს თუმანიანი ცნობილია როგორც აქ. ისე ოსმალეთის სომხებში. ის თავის ერში დიდის ავტორიტეტით სარგებლობდა: ყველა პარტივისკემით ეპყრობოდა მის აზრს... ის იყო მეზობელ ერთა შორის სოლიდარობის წმინდა მოციქული. მაგრამ ამასთანავე უყვარდა თავისი ერი: მან ერთბელ, თავის ლიტერატურულ საღამოზე, წარმოესტკეა: „არ არის არც ერთი ისეთი ერი, — დიდი თუ მცირე, მალაკულტუროსანი თუ უკულტურო, — რომელსაც მე უარყოფითად ვექ-

*) სავლესხმოა, რომ თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მწერალი თავისი ერის სისხლიან წარსულს გვება. უბღეროან დაღუპულ მეომარებს და დასტირიან „ზაბალა ახალი“ სამშობლოს (პატკანიანი: „აოაქსის ცრებლები“); ზოგი ხიზობილიურად აგვიწერს ოსმალეთის სომხების კოშმარულ ყოფას (ა. აპარონიანი); ზოგი ამთარაბებს თავის ერსაც (რაფუმა: „უნდით“) და სხვა... აი, ამ მწერლებმა თავიანთი სამშობლოს სინამდვილე ისეთი ფერადებით შევსეს, რომ მათი ნაწერები მსოფლიო ლიტერატურის ყანაში დღესაც ამაყად თავთავობს (აშუღების სიმღერებში კი უფრო ეროტიული პანგი ისმოდა). რაც შეეხება ახალ მწერლებს, მათი რიცხვი ძალიან მცირეა, და, ვინც არის, თითქმის ყველა (ვ. ტ. ვ. რ. ა. ნ. ის გარდა) ეპიკონები არიან დასახელებულ პოეტებისა! სხვა მამაროულეებიდან აღსანიშნავია: აკოფ აკოფიანი (როგორც პოეტარული პოეტი), გარაბდარვიში (როგორც ფელტურიატი), ქალებიდან — დ. ე. ლ. და სულ ბოლო დროს: ახალგაზდა პოეტი ჩარენც, რომელიც მიაკვლევს გავლენას ჯანიკდის.



ცეოდ, მაგრამ ჩემს მშობელ ერს მე მალღა ვეყენებ, ვინაიდან მასში დიდათ ვათესებ დაგროვილ შემოქმედებითი ძალას და მორალურ ღირებულებასაო“.

არანაკლებ უყვარდა საქართველო და მისი დედაქალაქი. მას გაბრიელ სუნდუკიანცივით შეეძლო ეთქვა: „ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები, ქართული მიწითა ვართ გაზრდილნიო!“

ოვანეს თუმანიანი გულწრფელი მეგობარი იყო საქართველოს კულტურის, კეთილშობილი რაინდი. „ერთი გზა გვქონდა ძველად, ერთი კულტურა ჰყვავდა ჩვენს შორის და მომავალიც ერთი გვაქვსო“ იტყოდა ხშირად.

ოვანეს თუმანიანი არ იყო საქართველოს უძლევი შვილი. ნამდვილ ძეს არ შეუყვარდება ჩვენი თვითება ისე გამძაფრებით, როგორც ეს განსვენებულს უყვარდა. საქართველოს წარსული, აწმყო თუ მყობადი, სომხეთა პოეტში სეროიხულლ გამოძახილს პპოვებდა... ამას ადასტურებს მისი მშვენიერი ლექსი: „საქართველოს პოეტებს“.

იგი ერთხელ სწერდა: „ძველი ტფილისი, საჯათნოვას მზგავსად, თუმცა სინტეზია აღმოსაუღეთის ბევრ ხალხთა ცხოვრებისა და სულიერი ძლიერებისა, მაინც ატარებს უმთავრესად ქართულ სულს... პოეტური გუნება იმდენად შეთვისებულია ქართველში, რომ ყოველი ქართველი შე პოეტი მგონია; ეს ჰბღის ქართველს მიმზიდველად თაჲვის შტრებისათვისაც კი“.

მისმა ქალიშვილმა გადმოგვცა ერთი დამახასიათებელი ამბავი: როცა განსვენებული პოეტი საეკიმოდ მოსკოვში წავიდა, დაბინადა ქუჩაზე, რომელსაც ერქვა: Грузинский переулок.

— „მამიჩემის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, რომ თვით რუსეთშიაც საქართველოს ქუჩაზე სცხოვრობდაო“ — მიაბობდა პოეტის ქალი — ნ ე ა რ თ.

ოვანეს თუმანიანის ნაწერები ცნობილია საკაცობრიო იდეალის შინაარსით: მშობლიური მიწის სიყვარული და ერის ვაზატეზა. — აი მისი ლექსის საიმედო კუნთები.

ოვანეს თუმანიანი იშვიათი სპეტაკი პიროვნება იყო: სიყვარულის განხორციელება. მისი სიყვარული არ იყო ის მურჰანის კალი, რომელიც ორ მონათესავე სულს აშორებს. ოვანეს თუმანიანი ჩვენს საჯათნოვას წრფელად დაემოწაფა და მისი სიყვარულით დასინტეზა საერთაშორისო მაღალი კულტურა.

მაგრამ შიველ თავისი სიძულვილის ბოლჩას ვახსნიდა მაშინ, როცა ადამიანს თაღლითობას შეამჩნედა. ეჯავრებოდა შფოთისა და მუღლის ავტორები, ეჯავრებოდა ყველა ის ტურისტები, რომელნიც

ჩამოდიოდნენ ანიერ-კავკასიაში და არასწორ ინფორმაციას ათავსებდნენ ევროპულ პრესაში.

ერთხელ, კარგად მახსოვს, ხელში გეორგ ბრანდესის ახლად გამოსული წიგნაკი ეჭირა: „Армянский вопрос“, სადაც, სხვათა შორის, ეწერა: „...ქრისტეს დაბადების შემდეგ ორი საუკუნის განმავლობაში სომხეთს განაგებდნენ პართიელთა (პარსიანები) მეფეები, რომელნიც გასომხდნენ; შესაძლოა, რომ გამოჩენილი მეფეები ბაგრატიონთა გვარისა იყვნენ გასომხებული ებრაელები. — ტუნცა ისტორიულად ეს არ არის დამტკიცებული“.

— ბიქოს და, თუ არ არის დამტკიცებული, რა ვალაპარაკებს, იყავ შენთვის, რაღა! — წამოიძახა განსვენებულმა.

არ მოსწონდა აგრედვე პლატონ იოსელიანის აიტყვები: „უპირონი და უპურონი“, ქვათა ლაღადსაც შეებო „გადაჭარბებისათვის“.

მე არაფერი მიპასუხია. პასუხად ბუხარში ცეცხლმა გაიტკაცუნა: ჩვენ მაგიდას შემოვუსხედით და სპარსული ხილის სინოციურით გამთბარში ავლაპარაკდით ჩვენს ჩვეულებრივ ენაზე: ძველი ტფილისის აშუღების შესახებ.

მე და ივანეს თუმანიანი სააათნოვამ დაგვამეგობრა. შემთხვევითი როდია ივანესის სიყვარული სააათნოვასადმი: ივანეს თუმანიანიც უშუალოდ შეეწინდა პოეზიას და ორივე მგოსნის ტემპერამენტს და ელასტიურობას დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ლიტერატურის მეგობრები...

მარტო ის რად ღირს, რომ ივანეს თუმანიანმა — როგორც სომეხ მწერალთა ჯაჭვისიეს საზოგადოების თავმჯდომარემ — იქისრა სააათნოვას ძველის დადგა. ეს მოხდა 1915 წელს. ეს სადღესასწაულო დღე — როგორც ძველი ტფილისის მკვდრეთით აღდგომის ემბლემა — აღზად ეხლაც ბევრს ახსოვს.

სააათნოვა უცნაური ფენოშენი იყო... ჩემი მონოგრაფიის შედგენაში არანაკლები ღვაწლი მრუძლის განსვენებულს. რამდენჯერ თერთად დაგეთენებია, ერთხელ ივანესი ავად იყო, ექიმს ელოდდა და მე შევალე კარები:

„იმ კონიმ ჰეკიმ, იმ კონიმ ჯარემ,

ქუ ტეწნ ურამ დიდ, ურამ დიდ“.

(რად მინდა ექიმი, რად მინდა საღებნი,

შენგან მოცემული წამალი სხვა წამალი, სხვა წამალი)

მომადახა სააათნოვას ცნობილი ლექსი დი თავისებურის ღიმილით მიმიწვია სკამზე.

მე ეს ღიმილი არასოდეს არ დამავიწყდება.

ფაქტა

207811

55



ოვანეს თუმანიანი კალამი გვიხატავს ზედალურ სახეებს სოფლის ცხოვრებიდან, ქალაქის მოტივები არ ეხერხებოდა და თვითონაც გაფრბოდა. მას აქვს ერთი ჩინებული მოთხრობა სოფლის ბავშვის ცხოვრებიდან: „გ ი ქ ო რ“; სადაც მხატვრულ ფორმებში დასურათებულია სოფლის მიაშიტი ბავშვი, რომლის სასიცოცხლო ენერჯის ექსპლოატაციას ეწევა ქალაქელი შვეაბზე ალა. ამ მოთხრობას დღესაც ბავშვები უკრავდნენ ვერა მკითხველობვა.

მშენიერი სტილითაა დაწერილი მეორე მოთხრობა მონადირეთა ცხოვრებიდან: „ი რ ე შ ი“. აქ პოეტის ნახი სული ეფრება ადამიანის ძალმომრეობას და ესარჩლება უდანაშაულო, ტყეში თავისუფლად ნონავარდე პირუტყვს, ამ მოთხრობაში სულ რამდენიმე ნახაზობით მოცემულია ბუნების სხვადასხვა წარმტაცი სურათი.

„ა პ შ ა ლ“ — აეტორია პირადი მოვანებაა მათი ოჯახი წარსულიდან. მართალია, ეს „დღიური“ სულ ორიოდ ფურცელია, მაგრამ შეტად დამახასიათებელია ორი ერის „მტრული“ დამოკიდებულობის არასასიამოვნო შედეგებისა...

„გ უ ლ ა დ ი ნ ა ხ ა რ ა“ — ზღაპარია და აღნავობით ჩვენს „ნაღარქეკიას“ ემზავსება. ამ მოთხრობიდან ნათლად სჩანს, თუ რა წყაროებით იქმნება „საზოგადოებრივი აზრი“, და როგორ შეიძლება, რომ სრულიად უბადრუკმა, უბირმა და ჩია კენა, კარგი რეპუტაციის საშუალებით დიდ თანამდებობას მიაღწიოს.

მაგრამ ოვანეს თუმანიანის თავანკარა ნაწარმოებად ითვლება „ანუშ“. ანუშ — ლირიკული პოემაა: სიყვარულის ნატიფი სიმფონია. ამ ნაწარმოებში ჩართულია: სოფლის ადათები, მისი კირი და ღვინი, მტრობა და მეგობრობა, ბუნების სიქალწულე, დღეობა, ქორწილი, ჭიდაობა... ერთი სიტყვით. ამ პოემაში სოფელი მოცემულია მთელი თავისი კოლორიტით და ბუნებრივი სახით. ცნობილია, რომ უცხოელი მკითხველი, სომხეთის სოფლის რაობას ამ პოემით უფრო ადვილად შეითვისებს, ვიდრე სქელტანოვან წიგნებს კითხვით. *)

ოვანეს თუმანიანის თემები არ არის გახვიადებული გრძობებით დატყირთული; იგი თავისი ერის წარსულს სათუთად ეპყრობა და არასოდეს სომხის იარებს წარამარა არა სწეწს, როგორც ამას მისი თანამოკალმენი სჩადიოდნენ. მისი სევდა საკაცობრიო სევდაა — რომელიც ყველა ჩაგრულს ერთნაირად ენება.

წინადროის პოეტები, გამსჭვალულნი წინასწარ აყვიატებულ იდეით და თავიანთ ტენდენციურობით, ნაკლებ ყურადღებას აქცე-

*) „ანუშ“, სხვათა შორის, გადაღებულია ევრანზე და დაწერილია აგრდდე ოპერად.

დნენ აგრედე ლექსის გარკანს, მის ტექნიკურ აღნაგობას. რასაკვირველია, მათ ბევრი შედეგრი მოეპოვებათ, მაგრამ მათი ერთსახეობა, ნაწილობრივ მაინც, აქედანაც წარმოსდგება.

მართალია, ოვანეს თუმანიანის ლექსს პირველ ხანში აკლდა ხმოვანების დინამიკა და მხატვრული კონცეპცია, მაგრამ თანისთანობით მისი ნიჭი ჩამოიქნა და აფერადდა: მშობლიური სურათები, ბავშური მოგონებანი, თავის სამშობლო ღორის მთა-გორიანი ადგილები, ხალხური ლეგენდები და სხვა — კვლავ გაცოცხლდნენ მის მდიდარ მეხსიერებაში და უკვდავების სიმწვანით დაიდაუნენ.

მისი ლექსის ფორმა შინაარსის ზიარია.

სანიშნოდ დავაახელებ: „ფარვანას“, სადაც სულის სამართლის ძიება (უკვდავ ცეცხლის საძებნელად წასული რაინდები) ლამაზ ლეგენდარულ სიმბოლოშია გამოხატული... მაგრამ ბოლოს მაინც

„ველას ერთი ზედი ჰედება,
ძიებაში ეველა ქვედა“
(„ფარვანა“)

ზღაპრები — ეს ხალხის კოლექტიური შემოქმედება — ოვანეს თუმანიანის მადლიანმა ნიჭმა ხელნეორედ გააზღაპრა.

მას, როგორც ხალხის შვილს, ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა ხალხური სული, ამიტომაც, რომ პოეტი ერთ თავის ლექსს ასე ათავებს:

მე მდიდარი ვარ: ხალხს შევწირე ღმერთსა და ვლიცა, —
თვითონ მტერსაც კი იმონებდა ჩემი ვალობა;
მე ამას სოფლად ხელნეორედ ხომ ვეღარ მოვალ,
უკან ფებრუნებ ჩემს სამშობლოს, რაც მიწყალობა.
(„ჩემი სიმღერა“).

აიღეთ მისი პატარა საბავშვო ზღაპარი, „ძალღი და ქატა“, რომელიც მის ნაწარმოებთ შორის ყველაზე ადრეა დაწერილი (1886). აქ თუმორის თხელ მარმამის ქვეშ გონება-მახილურად ვადმოცემულია ქატისა და ძალღის ისტორიული უმძრახობა... შეიძლება თამამად ითქვას, რომ სომხეთში არ არის არც ერთი მოწიფე, რომელმაც ეს ლეგენდა ზეპირად არ იცოდეს... ჰუმანიტად, მის ლეგენდებს დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს. ამ შენობევაში ოვანეს თუმანიანი ჩვენს ძვირუას აკაკი წერეთელს გვაგონებს...

აქ მაგონდება ერთი მისი ზღაპარი — „უბედური ვაჭრები“, — რომელიც ბავშვობიდან მახსოვს:

ლამურა და ფარფატა (ყაჩკა) დაძმობილდებიან: ერთად ვივაჭროთო. შეჰკრავენ პირობას, მაგრამ ფული? სად იშოვონ შესაფერი თანხა? მივლენ ეკლის ბუჩქთან და დიდი ხეწმის შემდეგ „ბარათით,

სარგებლით* გამოართმევენ საკმაო ფულს. ღამურა დარჩება დუქანში, ხოლო ფარფატა ჩაჯდება გემში და გაემგზავრება უჩინმაჩინის ქვეყნებში; მოივლის სპარსეთს, ინდოეთს, არაბისტანს, შვეიცარიის ბითუმად საქონელს (მარგალიტს, ქირმანშალს, ინდისხორმას, ფესტულს), დატვირთავს გემს და დაბრუნდება სიბარულით... მაგრამ ზღვაზე ასტყდება დიდი ფრთონა, ჩასძირავს დატვირთულ გემს და საწყალ „ვაჰარს“ საქონელი დაეღუპება. ვადარჩება მხოლოდ ფარფატა. რა ქნას? სირცხვილისგან ველარ ბრუნდება ამხანაგთან; არ შორდება ზღვას და ეძებს თავის საქონელს... აი, რატომაა რომ იმ დღიდან ამ დღემდე ფარფატა სულ ზღვაზე ფრინავს. ღამურა კი — აქაოდა მოვალემ არ დამინახოსო — დღისით აღარ გამოდის გარეთ, მხოლოდ ღამ-ღამობით ფრინავს ხოლმე. ეკლის ბუჩქი? ეკლის ბუჩქი? გაჯავრებული ყველას ედება: ეინც ახლოს გაუყლის, ეკალს კალთაში ჩაავლებს და ჰკითხავს: ის ჩემი უნამუსო მოვალეები ხომ არსად გინახავთო!

ჩვენ ეს ზღაპარი არ გაგვილექსია; თუმცა საფუეტი საბავშვო ლიტერატურისთვის საინტერესოა, მაგრამ პოემა კი შეტად გაქვიანურებულია და მოსაწყენი. შემოკლება და შეკეთება ავტორის ხსოვნის შეურაცყოფად ჩავთვალეთ.

სულ სხვაა მისი შესანე ლეგენდა: „ერ თბ წვეთი თაფლი“: აქ თავისებურად არის განმარტებული ომის წარმოშობა და მისი შედეგები. ისტორიულად მკირე მიხეხებს დიდი შედეგები მოჰყოლია. აქაც ერთი წვეთი თაფლი ჰხდება იმ დიდ მორევად, საიდანაც კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ ამოსულა. ამ ლექსის ღრმა ნაოქები მარტივი სტრიქონების ღიმილითაა დაუთოცული.

რაც შეეხება მის წერილ ლექსებს — რომელიც არც ისე ბევრი აქვს განსვენებულს — ისინი ხომ შეტისმეტად ღირიული, სადა და ჯანსაღია.

ამ წიგნში ოცანეს თუმანიანი ნაზია და მომხიბლავი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ სომახური ნაწარმოები ქართულ ენაზე უფრო თავისებური და ძარღვიანი გამოდის, ვიდრე სხვათა ენაზე. აღბად ეს ჩვენი ენის თავისებათა შედეგია. ავტორის ზოგიერთი სტრიქონი თავისთავად მწკრივდებოდა ჩვენს თარგმანში, თუმცა ზოგი სიტყვა კი, ურჩი ბავშვივით, დიდ მოყვრებას თხოულობდა*).

*) ესარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვასხენებ მხატვარ გ. ბა-
 შინჯალიანს ზოგიერთი სიტყვების განმარტებისათვის, და პოეტ მ. ა. ი. ა. ნ. ს.
 დაუხარებელ თანამშრომლობისათვის.

ჩვენ ეცდილობდით, რომ თარგმანში ორიგინალის სურნელმა გულსახვედ დაგვეტოვებია. სასტიკად ვიცავდით ლექსის კონსტრუქციას. რითმას (ჯვარედინს თუ მოღვედილს), სტილს, სახეს.

ჩემი მიზანი იყო განსვენებულის ხსოვნის წინაშე ჩემი პირობა პირნათლად შემესრულებინა (ერთხელ, ბაასის დროს, მე და ოვანესი ერთმანეთს დავპირდით ჩვენი ნაწერების თარგმნას) და მსურდა, რომ ოვანეს თუმანიანი—ეს საჭარბოვლო საუკეთესო შეგობარი—ჭარბოვლო ხალხის წინაშე ნამდვილი სახით წარმედგინა. ამ შემთხვევაში, ჩემთვის, როგორც პოეტისთვის, თარგმნა შემოქმედების ერთგვარი ანტრაქტი იყო.

მე ოვანეს თუმანიანი მიყვარდა, როგორც პოეტს პოეტი, მიყვარდა რაღაც პრიმიტიულ განცდებით, ღრმად და მისი სულის შეგრძნებით. მისმა უახრო სიყვდილმა ეს გრძნობა უფრო გააღრმავა.

მოკვდა დიდი გრძნობის მატარებელი; მოკვდა ადამიანი, რომლის ბადალსაც საუკუნეები მხოლოდ ერთხელ იძლევიან.

„ის კაცი იყო, ვთუ შეგფერის კაცსა კაცობა,
აწ იმის მზავესა ველარ ენახაჲ ჩუმა სიცოცხლეში“.

მის ოჯახში ველარ შევალთ შუბლგადაშლილნი და სახეიმო სერობის დროს ჭიჭის ველარ გამოვამშრალებთ ჩვენი ოვანესის დღეგრძელობისათვის; დაე, ეს თარგმანი იყოს შესანდობარი იმ ძვირფასი მიცვალებულისა, რომლის ხსოვნაც ჯერ კიდევ არ ვაციებულა ჩვენს გულში.

მე ჩემი პირობა შევასრულე.

ი. გრიშაშვილი.

წიგნები

ჩემი სიზღვრა

მე მდიდარი ვარ, საუნჯე მაქვს გულში ფარული,
მაგრამ ფულისთვის ოქროს ხეხილს ვერ დავემყნები;
ჩემი სამდიდრე სიკეთეა და სიყვარული,
პოეზიისთვის შევიყვარე ყველა ქვეყნები.

საესე მაღანი ანაზღველ თუ სხეას უჭრეზა—
ნე ხერხემალად დამაქვს ჩემივ ლექსის კედელი.
რამდენიც უნდა გავცე ხალხთა გასაჩუქრებლად,
მაინც მზღვა არის უღვეელი, დაუშრეტელი.

გული მაქვს ცხელი, უხვი, ღია—ვით დღე მკათათვის,
სხვის სიყვარული გულს მივიკარ ხატად და ჯვარად.
ვინ რას დამაკლებს! მე ჩენს დოვლათს ყველა კაცთათვის,
ჩემი დიდების მწვერვალნიდან ვაფრქვევ ერთგვარად.

მე მდიდარი ვარ, ხალხს შეეწირე ღხენა და გლოვა.
თვითონ მტერსაც კი იმონებდა ჩემი ვალობა,
მე ანა სოფლად ხელმეორედ ხომ ველიარ მოვალ,
უკან ვუბრუნებ ჩემს სამშობლოს, რაც მიწყალობა.

სომეხთა სევდა

სომეხთა სევდა—ზღვა უნაპირო,
 ტალღა აშლილი და მოგროვილი;
 სული დაეძებს ცისფერ საფირონს,
 იწვის კავშით მოოქროვილი.

ხან აღელდება, საკუთარ სულში
 ეძებს გასაქანს და აღოქმულ კიდეს;
 ხან მოქანცული ჩადის უფსკრულში
 და ებუტება ზღვაურ სიმშვიდეს.

მაგრამ ამ ლტოლვის არა აქვს ბოლო,
 არ სჩანს ნაპირი და ატეხ ზღვის ფსკერი,
 და სკოცხლობს ტანჯვით, რომ კვლავ იბრძოდოს,
 უსაზღვრო სევდით გადანაფერი.

რისთვის

X

—რისთვის ვადამივიწყებ
ქალი შევითხებოდა.
—რისთვის ვადაგვევიწყებ?
ბანა აძლევდა ხეობა.

—ნეტავ რისთვის მყნდურით?
ლექსისთვის საღ მკალიან;
ხვედრი მავეს უბედური,
შევიკვალე ძალიან.

—მსურს ეგ დარდი მიკვარდეს,
აზბობს ქალი დამტკბარი.
—ჩვენ წაეიღებთ შენს დარდებს,
იმეორებს მთა ბარი.

—არ მინდა, ნეგობარო,
გრძნობა გულს შემპარავი.
შენც დამტოვე, მთა-ბარო,
არ გამტყონაეს არავინ...

ჩემი დარდი... მითხარი,
ვით ავიხსნა, კეთილო,
გული... გული ღრმა არი
და ბავგ—დაკეტილი.

რუბაიეზი

1.

მე გაეარტყი მერცხალს ქვა, არაფერი არა სთქვა,
დაიჭრა და წავიღა.
და მას შემიღევ მარად წამს, სისხლიანი მისი ფრთა
არ შშორდება თავიდან.

2.

სიზმრად ეიხილე ცხოვეართა ჟარა
და შემეკითხა ერთი მათგანი:
„ღმერთამი გიციოცხლოს შენი ბატარა,
როგორ გიამა ჩემი ბატანი?“

3.

უამრავი ხელგბით
ეინ მეძახის, ეინა?
— ჯან! სამშობლოს ტყეო,
ოქვენა გულში მაქვს ბინა.



ქველევური დალოცვა

ამწვანებულ კაკლის ქვეშ, ზურმუხტოვან მდელოზე,
ზურნის ტუში ისმოდა ყოველ სადღეგრძელოზე.
რომ ლეინოში ჩაეკლათ განვლილ გზების კაპანი —
ჰქეიფობდნენ, ღრეობდნენ ჩენი შამა-პაპანი.

ჩვენ კი — სამი ჯეელი, ერთი სკოლის ძმობილნი —
ქუდმოხდილნი მორჩილად, გულზე ხელდაწყობილნი,
ვიგონებდით სიმღერებს მათთვის საგანგებოდა
და შაერი ჩენის ხმით ტკბილად იშანგებოდა.

გავათავეთ სიმღერა, ფეხზე აღგა თამადა,
თეფშზე ლეინის ჰიქები გაამწკრივა სამადა —
და დაკვლოცა, და გრძნობა ასე დაგვაზიარა:
„ო, იცოცხლეთ, ბაღლებო, მაგრამ ჩვენებრ კი... არა!“

ღრო და ეამი წავიდა, და წავიდნენ ისინიც,
ჩვენს ცელქ ჰანგებს დაეტყო ნალელიანი სისინი,
ეფიქრობ, რად დაგვიტოვეს გულში სიტყვის იარა:
„ო, იცოცხლეთ, ბაღლებო, და ჩვენსავით კი — არა!“

თქვენ წახვლით! თქვენს ხსოვნას ნათელი და ცხონება!
დღესაც სუფევს ჩვენს სულში ძვირფასი მოგონება,
როცა ვლოცავთ ჩვენს შეილებს, ვიმეორებთ ჩვენც მარად:
„ო, იცოცხლეთ, ბაღლებო, და ჩვენსავით კი — არა!“

განშორების ჟამს

X
 განშორების ჟამს, მეგობარო, უკანასკნელად
 როცა ცრემლების არშიებით დაიგარსები—
 გამოხედვაზე შე შეგატყობ... ნე ვიგრძნობ ხელად,
 რომ ჩემზე ფიქრობ მთელი შენი ნაზი არსებით.

თუ შენს სახეზე ჩემი დარდი ჩრდილად იალებს,
 და მგლოვიარეს დაგეტყობა ღრმა სიმძიმისილი—
 ო, გეფიცები, მეგობარო, ჩვენს ტრფიალებას:
 მოვკვდები მშვიდათ, ნეტარებით, პირზე ღიმილით.

შენმა ქვითინმა თუ საფლავშიც ხმა ჩამაქსოვა,
 და შენი ტრტობა სკამარემდე პირნათლად უზიდუ—
 თვით სამარეშიც ვინუგეშებ, რომ კვლავ გახსოვარ,
 რომ ძველებურად, მეგობარო, გიყვარვარ კიდევ!...

სომხეთის მთავრა

†

გადაგვხედი ბრძოლა მრავალი,
ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა,
ჩვენი გზა არის მძიმე საველი:
მივდივართ ზღვით, მივდივართ ნაღლა—
სომხეთის მთებზე,
მიუვალ მთებზე.

გულში აღთქმანი გვიწყვია მუნჯად,
საუკუნეოგან ნაანდერძვეი;
ჩვენ წინაპართა მიგვაქვს საუნჯე
და ამ სიმდიდრით მივდივართ ზევით—
სომხეთის მთებზე,
აზიდულ მთებზე.

რამდენჯერ მტერი, ტლანქი და მავნე,
ქერა მიწიდან, ბნელ უდაბნოდან—
ესაფრებოდა ჩვენსა ქარავნება
და ჩვენი სისხლის დაღვრას ლამობდა—
სომხეთის მთებზე,
სისხლოვან მთებზე.

ო, ჩვენს ქარავანს დაშლილს, დაყოვილს
აღარ ამშვენებს ძღვევის აღამი.
ეს, ასეთია სომხეთის ყოფა,
მიგვაქვს კრილობა დაუთვალავი—
სომხეთის მთებზე,
მგლოვიარ მთებზე.

ნუ თუ არ გვეყო ტანჯვა დიადი?
ლოდინმა თვალი სვედით დაჩრდილა.
როს გველირსება ჩვენ განთიადი?
როდის ამოვა ბრწყინვალე დილა—
სომხეთის მთებზე,
ზურმუხტის მთებზე?!

საქართველოს პოეზიას

არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
 როდი ხმაურობს მკლედ და დუნეთა.
 მის ამაყ აჩრდილს დღეს თქვენც მიჰყვებიო —
 ვერა გძლევთ ტანჯვა სატუნეთა.

ახალმა ხელმა ტამდე აღმართა,
 ძველი ლოცვები ხანგადასული,
 და საქართველომ კვლავ გაამართლა
 მშვენიერება უკედავი სულს.

თანამოძმენო! საღამო თქვენდა,
 პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრათ,
 და არაარატმა — როგორც ლეგენდა —
 გული გაიპოთ თქვენს შესახვედრად.

შემოღამების მიმქრალი შუქი,
 დე, შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს,
 აინთოს ძმათა ორი პატრუქი,
 გზა გაუნათოს სიხარულს ჰვიადს.

დე, ჩვენი ლექსის ნაბ კისარტყელამ
 მოსპოს ყურაგთა სისინი მტრული,
 დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
 ბედნიერებით გადახლაპრული!

კავკასიონის ქალარა ვრებს
 ჩვენ მოვეწოდებთ საერაო ლხინზე.
 ჩემი ქამანჩაც ტკბილად იმღერებს
 თქვენი მგოსნების შემოძახილზე.

დავრჩეთ, ქურუმნო, ძმად და მეგობრად,
 შეექმნათ ოჯახი ამხანაგური!
 და ხელოვნების ტაძრისთვის მწუკობრად
 ყველამ მიუზიდოთ თითო აგური.

დღეს ხალხი სისხლით თუმც იწურება,—
 ეს დავგრჩეს მაინც ძველ გაკვეთილად:
 რომ ერთი ერის უბედურება
 ვერ ვადიქცევა სხვისთვის კეთილად.

მაშ რუსთველურად დავკრათ ჩანგს ხელი,
 თავში მოვექცეთ მსოფლიო კიბეს,—
 ვიყენეთ გულუხუნი. გვწამდეს სახელი.
 ვინც დარდიმანდობს, ვერ იღარიბებს.

ვის შეუძლიან, რომ გადაგვთელოს,
 ჩვენს სულში ღმერთი არ იწვის განა?—
 დე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
 არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა!

არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
 როდი ხმაურობს მკლედ და ღუნეთა.
 მის ამაყ აჩრდილს დღეს ჩვენც მივყვებით,
 ვერა ვძლევს ტანჯვა საუკუნეთა.

წიგნი

კალი და კახა

1.

უწინ თურმე ფისუნიას
 დაეძარტა ეს ამბავი:
 კონი იყო ხელობითა —
 თბილ ქულების შემკერავი.

ძალს სკიოდა, და თავლია
 როს დარბოდა სხვისა კერად —
 ნახა ტყავი და ჩვენს ფისოს
 მიუტანა შესაკერად.

— გამარჯობა, ძმაო ფისო,
 ჰა, მასალა ყველაფერი,
 ოღონდ ქული შემიკერე,
 ჩემი თავის შესაფერი.

ხელფასისთვის ნუ იდარდებ,
 გამოძარტე, რაც კი გსურდეს,
 ოღონდ სიტყვა დანაპირი
 თავის დროზე შემისრულდეს.

— რა გაწუხებს, ჩემო ცუგა,
 რა გადარდებს, თვალის ჩინო,
 გაგონილა, რომ მე, ფისომ,
 შენთან პირი შევირცხეინო?

ქურქი ხომ არ შემიკვეთე!
 ერთი ქული არ გჭირია?
 წადი, იყავ არხეინად:
 მზად იქნება ამ კვირია.

შენი ნახვა მე ყოველთვის
 მია... მია... მიაშება.
 მაგრამ ფულზე ნუ ვივაკრებთ,
 ასეთია ჩემი ნება.

დანიშნულ დროს, — როცა დილა
 ვარდს უყრიდა ოქროს საკენქს, —
 ჩვენი ცუგა გაეშურა
 ოსტატ თისოს ღუქნისაკენ.

ოსტატი რომ არ დაუხედა,
 აიბხიკა ცუგამ კუდი:
 „აღბად პირი შეირცხვინა,
 ვერ შეყვრა ჩემი ქუდი!“

ძაღლმა ღრენას მოუხშირა:
 „კატავ, საით დამეშალე!“
 ბიჭმა უთხრა: „ოსტატს ეძებ?
 მოიცადე, მოვა მალე!“

2.

ქურქაქმული შოდის კატა,
 ჰშეყენის რხევა ამაყური,
 ძაღლი კარზე დაიხაზა,
 ააცქვიტა ორივე ყური.

ულეაშს თათი გადაუსვა,
 გაბრაზდა და დაიყვირა:
 — რა ილაჯი გამიწყვიტე,
 არ გასულა ჯერ ხომ კვირა?

ადვილი ხომ არ გგონია?
 ენუ შაობდი დღე და ღამე,
 ეა-ეს არის შენი ტყავი
 პირის წყალით გადაენამე.

— დალოცვილო, რაღას ჯავრობ,
 აგისრულე ხომ ყოველი?
 როგორც მითხარ, სწორედ იმ დღეს
 წასადებად ამოველი.

შენ ქურქში ხარ, მე-კი მცოვა,
 თაელია ვარ, გენაცვალე,
 რა გაჯავრებს? მზად არ არის!
 მითხარი და მოველ ხვალე.

კარგად იცი, შორსა ვდგევარ,
რასა მტანჯავ, ნეტავ რისთვის?
ლიბს რომ ხშირად გავისარჯო
ამ, ამ, ამ, ამ, ამ ტყევისთვის?

დაეთხოვა ძალლი კატას,
ფიქრობს: გაწყედეს კატის რჯული,
მთელი დილა განაცდინა,
შინ ებრუნდები გატანჯული!

3.

ძალღმა კატას თავის ქელი
მიაკითხა კიდევ ხშირად.
მაგრამ კატა სულ იტყუებს,
არ იტყევა პირდაპირად.

ამჟამად კი ჩვენმა ძალღმა
მეტე ველარ მოითმინა:
ეკა კატას გაშმაგებოთ,
შეუყვება, შეუღრინა.

დაიხარჯა უამრავი
სიტყვა შწარე, სალანძღავი,
აირია ერთმანეთში —
ღეღა, მამი, კარვი, ავი.

„ქურდი ფისო“, „ქაჩად ძალღო“,
შოისპოდა ორიე მზრიდან.
ერთი კლანჭებს იღესავდა
და მეორე კოუებს ჰყრიდა.

საქმე ისე გაზვიადდა,
საქმე ისე გაიზარდა,
რომ ამ დავას ეერვინ მოსპობს,
სასამართლოს წესის გარდა.

მაგრამ ვიდრე ჩვენი ძალღი
ამ საქმეზე ხალხსა ჰკრებდა,
ვიდრე ექილს იშოვიდა,
ვიდრე გზაზე ყველას ჰყეფდა. —

ჭონი თვისი მთლად გაკოტრდა,
 თავს დაედო ქუდი ხარკად,
 ცამ ჩანთქა თუ მიწამ სკამა—
 გადიშალა, გადიკარგა.

4.

და მას აქეთ ჩვენი ძალლი
 გულში ბოლმას დაატარებს,
 ყველგან ეძებს თავის ქუდსა,
 უკაცუნებს ყველას კარებს.

სადაც კატის დაინახავს
 დიდს, პატარას, კარგს თუ ავსა,
 მიეარდება, მოხტება,
 ედავება თავის ტყავსა.

და კატა კი—ის პირშავი—
 შეჭვრულტუნებს დღე და ღამე:
 „აკი გიოხარ, შენი ტყავი
 ნერწყვით ასე გადაენამე“...

ფარვანა

1.

იქ, სადაც მთები: მთინი, აბული*)
ამაყად ზეცას ესაუბრება—
ოდესღაც მთებში გამოქვადული
იდგა შუის კოშკი ოქროს-ღრუბლებსა.

როგორც არწივი ფრთა-მონაეარდე,
სცხოვრობდა კოშკში მეფე ხნიერი—
ერთად-ერთ ქალზე იკლავდა დარდებს,
ქალაროსანი და გულხშიერი.

ამ სასახლეში მეფის ასული
ლურჯ კამარის ქვეშ იღურჩუნებოდა—
თვით ჯვირანი—მთახე ასული—
მის მოქნილ ტანთან მკრთალად ჩნდებოდა.

ახალგაზდური მისი იერი
ელვის სხივებით მოსაედა არეს—
ხოლო მეფე კი სვებედნიერი
დასტრფილვებდა ფარვანა-მხარეს.

ბუნებამ წესი ველარ დამალა:
გადანიშალა კოკორი ვარდით—
მამამ მოიხშო თავის ამაღა
და შათირები დაგზავნა მარღათ:

„ნახეთ რაინდი, მონახეთ გმირი,
რომ იყვეს ღირსი ჩემი ქალისა,
ჰქონდეს იმედი თავის ძალისა—
და... მიეცემა მეფის გვირგვინი.

*) აბული და მთინი მთების სახელებია ჯავახეთში.

„შენოკრბით ჩემთან, ჰეი, რაინდნო,
 ქალის წინაშე წარსდევით ყველა, —
 ჩემი ასული იმას გაჰყვება,
 ვინც ბრძოლის ცეცხლში მტერს არ დაინდობს“.

II.

და განთქმულნი ოდიდან
 ხმლებს ათამაშვებით —
 რაინდები მოდიან
 დარაბტული რაშვებით.

თავს უმშვენებთ ხუჩვები,
 ტინს ფოლადის ჩაჩანი.
 უკვირთ ყველას უჩვევი
 მღვთის სიტყვა ნაჩქარი.

და სასაზღის კარებთან —
 როგორც მთას ცისარტყელა
 მტერთან გასამკლავებად
 დაირაზმა აქ ყველა.

ფარვანეთის თვორ ქიმებს
 ხალხი ბლომად აწყდება:
 — ბედი ვის გაუღიმებს?
 — ქალი ვისი გაბდება?

III.

დაჰკრეს ბუკი. მუფის ასულს
 წინ მიუძღვის ქალთა კრება,
 ჰკავს შთოვარეს, შუქით გავსილს —
 მუფის ქალის აკოკრება.

სიყვარულის საოცრება
 შეიმოსა ეარდის ფიფქით,
 რაინდები ტყბილ ოცნებამ
 ვაიტაცა ცხრა მოის იქით.

მაგრამ მღვდე მოღუშულა —
 ვით ღრუბელი სასტიკ სეტყვის —

და თავის ქალს გაბედულად
ასე ეტყვის... ასე ეტყვის:

„ამოიჩიე, ჰა, ვინც გინდა შენ,
სახელოვანი გმირი, ქვბული.
ჩემო ასულო! შენს თვალთ წინაშე
წარმოვადგინე ვაჟკაცთ კრებული.“

„თვითეულ მათგანს ხნალი აქვს ბასრი —
მაგრამ იღბალი უღიმით შერთილად,
მათი გულები სძვებს ერთი ახრითი —
საჯაროდ სცადონ თავიანთ ძალა.“

„აი, ეხლავე, ყველანი ერთად,
ჩემო ასულო, გამოვლენ ბრძოლად —
და იომებენ სასტიკად, მკვეთრად:
რომ ღირსეულის შეიქმნე ცოლად.“

„მაგრამ როდესაც გამარჯვებულნი
შემოერთყმიან ჩვენსა სასახლეს
შენი სანეფო, შენი რჩეული,
ჩემო ასულო, დაგვისახელე!“

მეუემ ანიშნა ხელით მეომრებს,
რომ გასულიყვნენ ბრძოლისთვის ველად,
მაგრამ, ვით ყენესა ნიამორისა,
ისმის ქალის ხმა ნაზად და მწუელად:

„მე არ მინდა ომის სუსხი,
კაცთა ლენის ოხზივარი,
მე არ მინდა სისხლის ქმარი, —
ო, მე მინდა სულ სხვა... სულ სხვა...“

რაინდები განრისხებით
შეეკითხნენ მეფის ასულს —
„მშენიერო, გვითხარ, რა ესურს,
რომ არ შევძლოთ ჩვენ ამ ხმლებით?!“

„თუ ისურვებ, თუ შენც გინდა,
 მოგერთმევა სასახლეში
 მზე, ახალზე უახლესი—
 ზღვის ფსკერით რომ ამობრწყინდა;

„თუ გვიბრძანებ, თუ შენს ყელსა
 დაჰშეენდება, მოუხდება,—
 ცას გარდავქმნით ზურმუხტებად,
 ოქრო-ვერცხლით მოვრწყავთ ველსა“.

— „მე არა მსურს ოქრო-ვერცხლი,
 მე არა ვთხოვთ მზიურ ლაღებს,
 ერთი ნატვრა მაგალაღებს:
 უკვდავების მინდა ცეცხლი“.

„ვინც იქნება უშიშარი,
 ვინც მომიტანს უშრეტ ცეცხლსა—
 მას შეეწირავ სიცოცხლესა,
 ის იქნება ჩემი ქმარი!“

მეფის ქალის სასახელოდ
 რაინდები ახალისდნენ,
 შემოახტნენ ცხენებს ხელად,
 გზად გაკაფეს შტვერთა სისქე,
 უკვდავ ცეცხლის საძებნელად
 გაიქროლეს ტყისკენ, ზღვისკენ.

მაგრამ დრო კი მიდის მარად
 და ამოოდ ელის ქალი—
 არაყინ სჩანს, არა, არა,
 შორის გზიდან მოშავალი:
 სამუდამოდ დაიღარა
 რაინდების გზა და კვალი.

IV.

— „ნუ თუ, მამავ, დამივიწყეს,
 გმირებს აღარ ვაგონდები?
 სხვა ცხოვრება მათ დაიწყეს—
 მე ამოოდ აქ ვლონდები?“



— „სხვა ცხოვრებას მათ ვინ აცლის,
უნდა გული დაიმშვიდო,
ახ, რამდენი ბრძოლა მკაცრი
მათ მოვლით შენთვის, შეილო!

უნდა განვლონ უკალ-ზამბი,
სადაც ეწმა ღამეს ითევს —
სად შეიღთავა გველაზაბი
უდარაჯებს უკედავ ნათელს“.

განვლო წელმა, ქალი სტირის,
ქალი ისევ ცრემლს უნდება,
— „ახ, მამილო, ზემი გმირი
ნუ თუ აღარ დაბრუნდება?

თვით სიზმარშიც ცრემლი ცხელი
წამწამებზე აბნევს ბროლებს.
მესიზმრება: ცუცხლსა ცხენით
ჩემსკენ ვილაკ მოაქროლებს.

აი, მოდის... ეკოცნი მხედარს...
აი, ცუცხლი მე მომართო.
შეღვიძება და... რას ვხედავ:
ველაე მარტო ვარ, მარტო, მარტო...“

დღე დღე სცვლიდა, წელსა წელი,
იკვებოდა მთა და ბარი,
მაგრამ მგზავრი სანატრული
არსად არი... არსად არი...

— „ო, მშობელო, ნუ თუ გმირმა
ვერ გაუძლო აღის სიციხეს?
თუ ეწმამა გამიგმირა?
დამივიწყეს... დამივიწყეს...“

„შემიბრალე, მამავ, ემარა!“
მაგრამ მამა საცოდავი

შვილს ვერაფრით დაეხმარა...
 და დაბარა შეფემ თავი.

V

დრო გავიდა, შეფის ქალი
 სულ ამოდ ვლის მეზაერსა,
 ლოდინისგან შესაბრალი
 კოცხალ აჩრდილს დაემზგავსა.

აქვითინდა, თვალთა უპით
 გადმოიღვარა ცრემლი ცხარე...
 ცრემლთა ზღვაში, დაიღუპა
 სახელმწიფოს ტურფა მხარე.

ო, ასულმა თვის წამება
 იმდენ ცრემლით დაიტერა:
 მეფე, ხალხი, სპა, საწეფო,—
 მის ცრემლებში ჩაიძირა.

და იმ აღვილს—სად სასახლე
 ცრემლთა ტალღამ გადაჭფარა
 ამბობენ, რომ არის ეხლაც
 ტბა-ფარვანა, ტბა-ფარვანა.

VI

თქმულეზაა: როცა სანთელს
 შეუღამე მორცხვად ანთებს—

ფარვანათა მთელი კრება
 ხელად სანთელს მიეკერება.

ო, ნურაეინ ნუ იფიქრებს,—
 მწერს სანთელი გარს რომ იკრებს.—

ეს მწერია, მხოლოდ მწერი,
 სათამაშო, დასაჭერი:

მასში არის გადსხული
 ფარვანეთის გმირთა სული.

მათ იხილეს ზღვები, მთები...
გამოისხეს ბოლოს ფრთები—

და ჰფრინავენ მინდორ-ველად,
შაკლავ ცეცხლის საძებნელად.

ეხვევიან სანთელს გარსა
და ცეცხლი კი არ სწანს არსად.

ყველას ერთი ბედი ჰხვდება:
ძიებაში ყველა კვდება.
დღესაც სანთლის აღზე სწყდება
ფარვანების მთელი წყება.

ერთი წვეთი თაფლი

ერთ სოფელში ერთ მცდეუქნეს
 არ გააჩნდა კვირა-უქმე.
 უყენებდა თვალებს მტერსა—
 ასალებდა ყველაფერსა.
 ერთხელ მწყემსი პრგე, მიღალა,
 ქოთნით ხელში შთა-გორიდან—
 თავის ერთგულ შავის ძაღლით
 ბარს საეაქროდ ჩამოვიდა.
 — შა, როგორ ხარ, თაფლი არი?
 შეიშმუშნა აქ ვაჭარი:
 ხომ არ ხუბრობ, ძმავო ჩემო,
 აი, თაფლი! ნახე ვემო!
 ეახ! თაფლი მაჭეს იმისთანა,
 რომ ჩაატან თითებს თანა.

*

ვაჭრის სიტყვა, სჯა, ბაასი,
 დანიშაქრა თაფლის მზგავსად.
 აქ ახსენა გლეხმაც ღმერთი,
 მაგრამ თაფლის ერთი წვეთი,
 აწონის ღროს, ვით აღმასი,
 დაეწვეთა მიწას ნაესად.
 ბზზს გაჩნდა ბუზი ხელად
 დადერილ თაფლის შესასწეღად.
 ვაჭრის კატამ რა ეს ნახა,
 ბუზის დასჯა განიზრახა—
 დაჭრა თათი.
 მაგრამ მწყემსის შავი მურა
 კატისაკენ ვაეშურა
 ვით ჯალათი —

შეუტია,
შეტყუვია,
დაუნჯებია
თავი, კეფა:
წაუჭირა
კბილი ყელში
და შიგდო
სადღაც ხერხელში.

— ჩემი კატა! — ჩემი კატა!
აქ უკუარი შუროსგებით
ძაღვს გვევია გაშმაგებით,
მოუქნია მძიმე რკინა
და ფარების შემნახველი
დააწვინა
მწყემსის წინა.
მოქკედა ძაღლი მწყემსის მკველი—
და მკვდარს მკვდარი მიემიტა.

*

— ობ, მარჯვენა ჩემი ხელი:
ჩემი ლომი, ჩემი მხსნელი:
დავიღუბე, დავიქვეცი...
რა მიყავი, შე... შე ჩარჩო!
ლამის აქვე წენც მივაბრჩო!

აქ მეცხვარე, როგორც მხეცე,
ეცა ვაჭარს კომბლით ხელში,
ვატშალა საფეთქელში
და ეს ჩენი სოუდაგარი
ძირს დავცა უცბად მკვდარი.

*

მოქკლეს! მოქკლეს! მოგვეხმარეთ!
ბაუ! ეინ ბართ, ხალხო, გარეთ!
შკედელობაა, მოდით ჩქარა...
და გაისმა ყვლავ მუჭარა.

ხალხმა ძახილს დაუფერა,
შიატოდა სახლი, კერა.

ვაით, ფუით, წყველით, კრულვით,
რიგი ფეხით, რიგი ურპით,

ზედი-ზედა:

მანა, დედა.

ამები, დები,

მაშიდები,

სიმე, ქალი,

მაჭანალი,

კოლი, შეილი-

ბერი, ჩვილი,

მისწულეები,

ნათლულეები.

იქ აიდღერი, იქ სიამარი —

აეშალა ყველის ტამარი,

გამოეხბათ ფრთები ორბის —

ყველა შორბის, ყველა შორბის.

— ეჲ რა პქენი, საზიჲღარო...

— უნდა სისხლი დაიდუაროს.

— მოსაკლავად ჩამოხვედი?

— წიაუერიეთ, ჩქარა, ლევედი!

ნიესია ხალაი შწყემსსა,

სეკემუნენ საწყალს და ნაცემსა

აღარ ჰკონდა ღონე, ძალა

ბრბოსთვის ხელი შეეშალა.

რადგან მხსნელი არცინ ახლდა,

შწყემსიკ მოჰკვდა თავის ძაღლსიან.

*

შეფთვალეს სოჯლის თემსა

ეს სიკედილი ნათი შწყემსის —

დასტიროდა ყველა შწყემსსა:

„ეს რა შობდა? ეა რა გვესნის!“

ასტყდა მთაში ღრიანცელი...

დარბის ხალხი იოჯით, ცელით,

ზოგს ეპირა ტანტი ფარად,

ზოგს ფიწალი მოვბარა.

ზოგს აეღო ხელში დანა,
ზოგიც შამფურს წაეტანა.
ზოგს — ჩაქუჩი, ქაფია, ცელო,
და ამრიგად დარაზმული
უქუდიოთ და ფეხ-ში შველად
ერთმანეთის მისაშველად
ჩამოვიდა ხალხი ბარსა.

— რას გრჩოდნენ ამ საწყალსა!
— რა ნამუსით, რა სინდისით...
გაგონილა, დღისით, მზისით
ხურგში ჩაპრან მურმტარს დანა?
— ო, მკვლევლობა ამისთანა
ჯანა არის მოსაიმენი?
ეინც მოუსპო ჩვენს მწვევს დღენი,
ნუ გექნებათ ძმებო, შიში.
ნივიტანოთ იერიში
და ეს ხალხი კუდიანი
მოვსპოთ დედამუდიანად.

და, ჰა, აღსდგა ხალხზე ხალხი,
დატრიილდა ომის ჩაობი,
მტერსა მტერი გაუმკლავდა
და ერთმანეთს მკლავდა... მკლავდა...
სჩვენდნენ, სჭრიდნენ,
წუალში ჰყრიდნენ.

გაცოცხებულ მხეცებს ჰგავდნენ,
აღარავის არ ზოგავდნენ,
არ ინდობდნენ თვით მესობდნენს:
სწვავდნენ მავშეებს, ქერივებს, ობღებს,
და ერთ წუთში ეს სოფელი —
ერთღროს წყუდრო საწყოფელი —
ასე უცბად, ასე ხელად
გადიქცა ბრძოლის ველად.

მყის აცნობეს ბარის მეფეს,
რომ აქ სისხლი ააშვევეს,
რომ შელახა მოიბ საზღვირი,

რომ ჩატბორდა სისხლის ღვარი
 და სოფელი იქცა ნაცრად.

აქ აღელდა შეფე ბრძენი,
 ხალხს აუწყა განაქენი
 და ბრძანება გასცა მკაცრად:
 „გეუწყებათ, ხალხო, ყველას:
 საბელმწიფო ელის შევლას.
 თავს დაგვეცა უცბად შეზი,
 ვანადგურდა მთელი მხარე.
 აზნაურო! მუშავ! გლეხი!
 ვადაძვივით ხელი ხელსა—
 მიაწურეთ ბრძოლის ველსა—
 და სამშობლოს მოეხმარეთ!
 ხალხის გმინვა ადის ცაშდე,
 სისხლი შოდის ჩემს ტახტამდე.
 მე ვავგზავნე უკვე ჯარი,
 რომ მთის ხალხი უმეცარი
 დიხსაჯოს და ცოცხალი
 აღარ დარჩეს აღარც ერთი!
 შედგრად, ძმანო, ჩვენთან არა:
 ზარბაზანი, ძალა, ღმერთი.“

მთის მეფეშვიც ამივე დროს
 მოუწოდდა თავის ჯარებს:
 „ჩვენს ქვეყანას მშვიდა და მყუდროს
 მტერი უმსხვრევს ციხის კარებს,
 დაივიწყეს ცის და მიწის
 კანონები, წესი, რჯული:
 ორი მხარე ცეცხლში აწვის
 ტყუილის კვამლით გართულები.
 აქ ბირველი დამნაშავე,
 ყველამ იცის, არ ვართ ჩვენა,
 დაარღვიე ბარბა ზავი,
 ცოდვამ აღარ მოასვენა.
 დაეიბრუნოთ მიწაწყალი
 ჩვენის ოფლით მონაწერი...
 წინ, მხედრებო! ხელში—ხმალი
 და ვიძიოთ შური... შური“.

და დაიწყო ასე ომი
სასტიკი და ქედღიკცხელი.
და ეს ხალხი, სისხლის მდომი,
იბრძვის, როგორც გიჟი, ხელი.
გაისმოდა ყოველ კლხით
კენესა, გმინვა, წყველა, ბოდვა,
და ქვეყანა, ღვთის ნაკურთხი,
წყდართა სისხლით ირწყვებოდა.

და მისდევდა
წელსა წელი.
მაგრამ სევდა
უწინდელი

ხალხში მძაფრად ზაითესა:
ვერ მოისპო გლოვა, კენესა.
ვიღისა აქეს შრომის თავე:
დარჩა ყანა დაუბნევი,
დადგა ჯარა, ჩაქრა კერა,
მიწა ცრემლით გაიკერა.
აქ შიმშილი, იქ კი—ჭირი,
ხალხს დაუდგა გასაჭირი,
სიკედილს დააქეს ბასრი ცელი,
რჩება მხარე ცარიელი.
და ამ მკვდრებში ცოცხალთ წუება
სულ ერთმანეთს ეკითხება:
—თუ საიდან, როგორ, როდის,
ეს ომები რისთვის მოდის!

3 0 0 0 0 0 0

ანუშ

ბროლოგი

მთის ვერიები ღრუბლის ქულაზე
ჩამომსხდარიყვნენ ნაზად და ობლად —
და ორ საფლავის ამოსაშრობლად
ცრემლებს აფრქვევენენ თბილს და უნახეს.

ვით შორჩილი ბალები —
სათუთ სიოს ტალღებში
უხვეოდნენ ჩუმად,
შთეარის აბრეშუმად.

გუნდს შოსდეველა გუნდი,
მწკრივად,
ყოველმხრივად,
ცრემლის იაგუნდი
უფრქვეოდათ მძივად.

და ანუშის საფლავს, დამწვარს სიყვარულით,
დასტიროდნენ ასე, ზათუთქელის გულით:

„ბადიებში შვიდ წყაროდან
წყალის ჩასხმა ვიხაროდა.

შვიდ ბუჩქებთან ვარდს რომ რგავდი,
ჩვენს დობილებს სახით შგავდი.

მკითხაობდი ვარდის წყალზე
და ფიქრობდი მომავალზე:

— სივად, წყალმა ჩადა შატვათ
ვა შიშვავათ, ვინე ვიყავადა! —

შავრამ ვარდი დასქენა ადრე
და შენც ველარ ინივარდე.

სამბარეში დღეს ვინ უმხერს
 მაგ თქალებს შიგ თირუნებს!

მამ, სულეხო, ძირს დაეშვიო
 და აჩუქეთი ცრემლი პეშვიო“...

ყვაეილები გაბნეულან ფერებად
 და ამბობენ: „ნეტა რა გვემღერება!
 ეს ფიოთლები ლიმის სისხლით შევსვიაროთ:
 აღარა გვეყავს არც ანუში, არც სარო!“
 ჩურჩულებდნენ ყვაეილები ამგვარად
 და მიწაზე იღვრებოდნენ ხამცვარად

ვიდრე ცამ დილა არ შეითვისა
 და არ აქადა გოდება ცამდე,
 ეს ფერიები—სულეხი წოისა—
 ასე მოსთქვანდნენ გაითიადანდე,
 ზეცა აფეთქდა სხივეთს წაღმად,
 ცაზე ისი ჭირადნებს ანთებს,—
 სულეხი გაჭრენ შთების ვადაღმა
 და მიამღრეს მანჩქერის კალოებს.

პირი პირველი

1

მიხმობს, მესახის უილო სევდა
 ჩემს პაპისეულ ძვირფის მამულში,
 ფრთხამალ ოცნებითა გადაფერონდები
 თქალის და გულის სანატრელ მხარეს.
 მე იქ მიწელს ჩემი ჯალაბი
 სადაც ხამოარში შეაფულ ცეცხლიან,
 მჭიდროთ და ირველივ შემოგარსულნი
 მოათქვამენ არაცს ძვირფას წარსულზე,
 და მავონდება, თუ ვათ სტაოგრობდნენ
 ოდესღაც ლორში გმირი დეეები.

ჩენო სამშობლოე! შენი ზეობა
 მთებს უელის აფრხელს ლეგენდაირულად.

შენს გარეშემო მთის მწვერვალებად
გაქცევებულან თული დღეები,
აზობენ: ძველად მათ მოიტაკეს
ალაგიონის მთების ასული
და როცა ზემს იხდიდნენ ლორში—
ალ-დღე, ბედ-დღეი და სხვანი კიდევ—
ქორწილის ღამეს გადიქტნენ მთებად.

II

სალამი თქვენდა, ძველო ნაცნობნო!
ტყევე, გამოხრდილო მთების მყერდებით —
სალამი თქვენდა! რანდუნი კარგი
მოგონებანი მამსოვს თქვენ შორის.
გაჭქრა, წაყიდა ოქროს წარსული,
ვით გახაფხულის ფერადოვნება.
და თქვენც, ყანებო, მწიფე თავთავით
იღარ ამწევენებთ გაწლილ გარეშოს.
ახალგაზრდობის ცუცხლიან ღღებებს
სუღით ობოლი ვეჭებ ამაოდ!
რატომ არ ცოცხლობთ ჩემებრ სიცოცხლით?
რატომ არ ძაღმძს ჩემის ღეჭვებით
ჩაგიდვათ სული, ძვირფასნო ღანდნო?
ახ, ნეტავ სიზმრად მაინც მეჩვენოს
ჩემი წარსული ხელშესახებად —
ხორცაკრეფილი, სუნთქვით გამთბარი.
მოვედ! მგოსანი გინმობს, გეცაბის...
მოვედ! მგოსანი გემუდარება!

III

და ხავსმოდებულ მთის თაღებიდან,
და ხწირფოთლოვან ტყეთა სიურცქში
მე შესმის ჩემი ყრმობის აცილი
წარსულ ცხოვრების გამოძაბილად.
ო, მოგონება ცოცხლად ნახული
წამოდგა მკედრებით და აიწალა:
ეს იალაღი, სოფლია ხმაური,
ალაჩუხები, კვამლი მოლურჯო;
აგერ განთიადს ჰკოცნის ღრუბელი,
ციმციმებს ნამი და მღერის მწყემსი:

IV

✦ — „ქალო, დარჩი კარავში, ზოიფარე ფარდები.
 ნუ დადიხარ გარეთა, თორემ შემეყვარდები.
 გადვიქცევი აშულად, კლდეზე გადაყვარდები.“

სალამურმა წკრიალით
 სევდა ვერ დამიფარა. —
 უპატრონოდ, იოლად
 დამფუანტა ცხერის ფარა.

✦ ქალო, რა უღმერთო ხარ! დამწეი ეშხის აღიოთა,
 დამიბორკე ფეხები ნაწნაეების რკალითა.
 ო, მეტს ველარ მოვითმენ — მოგიტაცებ ძალითა.

ანუშ! შენი თვალები
 დამესავით შავია.
 რატომ არ გებრალეები?
 სარო დამნაშავეა?

მაგრამ გფიცავ, თუ შენს თავს, შეყვარებულს ვნებითა
 შენი ცრობი დედ-მამა არ დამითმობს ნებითა —
 სისხლს დავიქცევი! და გულსა დავიქოლავ ქვებითა.

რა გიხდება, რა გშენის,
 წარბები კამარულად.
 მე ვერ გავძლემ უშენოდ —
 ✦ მოგიტაცებ ფარულად!“

V

და მდერის სარო ტრიალ მინდორზე,
 ანუში სახლში ველარ ჩერდება.
 — დედი, ხომ ვესმის! ეილაც გვეძახის...
 გეყოფა, ანუშ, მაგდენი თრევა!
 სად გაგონილა, აბა მიახარი,
 გასათხოვარი ქალის წანწალი?
 ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ზმა დაირხეს
 და დაგივარდეს სახელი ცუდი.
 — დედი, ხომ ხედავ ზურმუხტ უერდობზე
 როგორ ხსხასებს ღოღო და ბაღბა —
 წაეაღ და მოეკრეფ სადილისათვის...

ჰო: ამიღლებს დღეობაც არის!
 რა გენადლეება, წაველ, დედიკო,
 და სხვებთან ერთად ვიმღერ - „ჯანგულუმს“.
 — ანუშ, ცელქობა აღარ შეგშენის,
 დღეს საბატარძლო ქალი ხარ უკვე.
 უნდა ერიდო ვაჟთან შეხვედრას —
 X ქალის ნამუსი დაიკვა მტკიცედ —
 ხომ იცი ნაძრახს...

— ო, ღმერთო ჩემო,

გული ვალაღებს, გული მიკენესის,
 ფართხაღებს, როგორც გალიის ჩიტო —
 ლანის მკერდიდან ამოწივარდეს.
 აღბად მოგველის უბედურება.
 რა შემართება, მითხარ, დედიკო!
 ეს წინათგრძნობა რას ნოასწავებს?
 ეხ, წაველ გარეთ, ავიღებ კოკას,
 იქნებ შეც კულზე მომეშვას დარდი.
 აგერ ტოლებიც მიდიან წყალზე.

VI

ქალებს ჩადები შეუდგამთ მხარზე —
 წყაროსკენ მწყობრად ეშურებიან.
 ნარნარის რბევით ზოლტავენ ბილიკს,
 ანკარა ხმებით მღერობენ ნაზად:

X კლდის გულიდან ცივი წყარო
 მოთამაშობს, მონავარდობს,
 ვაჟი მთებში უწყინარად
 გულდამწეარი ქალზე დარდობს.

წყაროც, მოიდან მოვარდნილო,
 იკლანები, როგორც გველი —
 ვინძლო ეშხით გააგრილო
 მოსიციხული მწკანე ეელი.

ვარდის თასი სპეკალ ცვარით
 ამოაესე, ვადანამე,
 და ნიღამო ვადამწეარი
 ანუგეშე დღე და ღამე.

აგერ წყალში მზის ძაფებად
 ებედავ სატრფოს წავად ბურვილს,
 წყაროს გრძნობით ეწაფება
 და ვერ იკლავს მაინც წყურვილს.

X
 კლდის ვუღიდან ცივი წყარო
 მოთამაშობს, მონაეარდობს, —
 ეაფი მთებში უწყინარად
 გულდამწვარი ქალზე დარდობს!*

VII

ნისლი ჩამოწვა ბარში მთებიდან...
 ველარ ისვენებს შობუკი დედა.
 შიშობს, ვაი თუ ანუშს წყაროზე
 მოულოდნელად შეემთხვის რაზე.
 ბინდი შექდება. ღამის წყელიადი
 ხავსიან სერებს გადაეფარა.
 ნადირი სტოვებს საკუთარ ბუნაგს
 და ავაზაკი სდარაჯობს მგზავრებს.

დედის თვალები აპობს სიბნელეს:
 ცდილობს გაიგოს ქალის გზა-კვალი —
 გადმოღვია ქიშზე, რომახიანად
 ეძახის შვილსა: „ანუშ, დაბრუნდი!“
 — ამ ბნელ ღამეში სადა ხარ, ვისთან,
 მთებში რა გინდა, შე უსიბუხვილო!
 კარგს რას შეიძენ ღამ ღამე თრევით,
 სახიფათოა შენთვის მანდ ყოფნა!
 და შემოიკრა ხელი მუხლებზე:
 „უაიშე, აღბად, შეეშთხეა რაზე!“

ბინდი მტყდება, ღამის წყელიადი
 ხავსიან სერებს გადაეფარა.
 ნადირი სტოვებს საკუთარ ბუნაგს
 და ავაზაკი სდარაჯობს მგზავრებს.

VIII

- გაჩნდვი, სარო, დედა ნეძახის.
- გემუდარები, დარჩი, ნუ მიხეაღ!
- დამლუპაე, სარო, დედა შეიტყობს...



განა არ ვიცი, მატყუებ მხოლოდ,
დიდი ხანია მოგბეზრდა ანუშ.
მე ვიტანჯები, ესტორი უშენოდ,
შენ ბუღბუღივით იღებ და ლაღობ.
აბა ამდენხანს რად მალოდინე?
თვალნათლიე მოველ მიმოშალამდა,
მე შენს ლოდინში დამწყდა თვალები
და შენ კი მიინც არ სჩანდი არსად.

„ამბობენ, რომ ძველად ძეწნა
ქალის სახეს ატარებდა;
თმები კობტიდ ჩამოეწნა—
სატრფოს თვალებს ახარებდა.

ერთხელ, როცა პაემანზე
მოელოდა მიჯნურს იგი—
გაღბსვენდა. ცხელ სილაზე
იშლენოდა ტბის ციგლიგი.

მეგრამ ფაქი არ მოვიდა—
ამაოა ქალის ხეწნა—
აჭვითინდა და გლოვიდან
გადაიქცა მტირალ ძეწნად.

აგონდება ქალის ლაწევებს
ვათის სიტყვა დანაპირი—
დაბრილ ტოტებს წყალში აწვევს,
ერთ ადვილას სდგას და სტირის.

— არა გრცხვენიაან? ნუთუ ღირსი ვარ
ნავ საყუდურისს.
განა სიმღერით ათხას ქება
შენ არ გაკუთენე?

ღამით სალამურს როცა ეაკენესებ—
ვალვიძებ კლდეებს—
ნუთუ არა გრძნობ, ჩემი ოცნება
შენ ერთს გეძახის!

როცა გშორდები, შენი თვალები
 გხას ნინაოებენ,
 და ჩემი გული მხოლოდ შენ გულთან
 საუბრობს სევდით.

დადუმდა მწყემსი. და ეზნაკრავი
 ქალის თბილ მკერდზე დაემხო მუნჯად.

IX

ცვლავ დაბლობისკენ გაისმის ხმები:
 — ანუშ, არ გესმის, შემოდი სახლში!
 დედის დაძაბილს ქალმა ხმა მისცა:
 — ბაუ, მოედივარ, დედი, მოედივარ!

ანუშ! დალალი ჩამოგეწალა.
 რად აგელეწა ლოყები წითლად?
 კანკალებ? რისთვის? რამ შეგაწინა —
 თითქოს წველი ხარ მონადირისგან
 შეშინებული და დაგეშილი!
 რა უყავ კოკა? რა უყავ წყალი?
 სად დაგავიწყდა, ქალალია?

— რა სულელი ვარ, როგორ შეეშინდი,
 ციებ-ცხელებამ დამრია ხელი...
 ღმერთო! რანდენი უცნობი დამხვდა.
 თათრები... დიად, ბლომა თათრები
 ჩვენს მდინარეში დაბანაობდნენ.

— ანუშ, დაქალდი და მაინც ანცობ?
 რად ხარ მზინარა, შე უგერგილო!
 მომეცი კოკა, მე წავალ წყალზე...

და ხელში კოკით, წყველით, ბუნღუნით,
 წყლის მოსატანათ წავიდა დედა.

ბერი მორჩ

1

ამადლებია. დღესასწაული.
 ყვავილთა ნობი აღვივდა მოღზე.
 მამ რაღას ელით, ნაზო ასულნო,

შემოეფინეთ ამ წიების კალთებს —
 შეპკონეთ ვარდი ნაირფერებად,
 ჩაუთქვით „ვიქაკს“ თქვენი საბედო;
 სიმღერით, ცეკვით, ღებნით, ღრეობით —
 ადიდეთ, ქალხო, შაისის დილა:

ამაღლების მთებო,
 აზიდულო სვეტად.
 გავეშუროთ, დებო,
 ვარდის მოსაწვეტად:

ნეტა ვის უყვარვარ,
 ჩემზე ვინა დიქრობს?
 რატომ შენი არ ვარ,
 ბედი რათ არ მიხმობს.
 მთვარის მკრთალი ქარვა
 სვედის კანდელს მიქრობს.

ამაღლების მთებო,
 აზიდულო სვეტად.
 გავეშუროთ, დებო,
 ვარდის მოსაწვეტად.

იადონის სტვენამ
 ვაღვიძა ნარდი,
 ზოგს აჩუქა ღებნა,
 ზოგს ქორწილის დარდი,
 თუ მალატობ შენა
 რისთვის შეგიყვარდი? ✕


ამაღლების მთებო,
 აზიდულო სვეტად.
 გავეშუროთ, დებო,
 ვარდის მოსაწვეტად.

ყოველ გაზაფხულს ღამაჲ ქალისთვის
 მოაქვს სხვიადსხვა არმაღანები —
 ზოგს გულის მურაზს უსრულებს ხელად.
 ზოგს ჰხვევს კეშნის თაღს სამოსელში.

II

ისმის სიმღერა „ჯანგულუმისა“...
 პანგებში მთები აახშიანა.
 ქალებმა ქილა ჩანოიტანეს,
 რომელიც ლამით ასე თქმულია—
 უმბრაზი წყალით დაედგათ ბანზე.
 მოგროვდნენ ერთად ქილის გარშემო
 ჩაუთქვეს ბედი და „ჯანგულუმით“
 თითო ნიშანი ჩაჭყერა ყველამ.

მისანი ქალი, როგორც მთის ვარდი,
 ბის და მკითხაობს დობილთა შორის:

— ქალო, ქალო, შენი ბედი
 ან რამლებით შემიტყვია:
 შენს საყვარელს უცაბედათ
 გულს გაუპოვს ცხელი ტყვია! 

ანუშე შეწუხდა. ქალები შეკრთნენ:
 — სულ ტყუილია, არ დაიჯერო!
 — შარჩიელობა ვაპართობია!
 — კულს ნაადრევად აღარდიანებ...
 — ანუშე! ვაპდანტე მუქი ფიქრები
 და შემოსძახე ჩვენთან: „ჯანგულუმ!“

— არა მაქვს ბედი, ბედი არა მაქვს!
 ნუ თუ აღსრულდათ ფიქრობს ანუში—
 შე ხომ აკენიოვე ვარ დაწყველილი.
 ერთხელ ჩვენს ოჯახს ესტუმრა მგზავრი,
 გადმოხვეწილი შორია ქვეყნიდან—
 მღეროდა, ხტოდა, და მოწყალებას
 ხელგაშვერილი ითხოვდა თურმე.
 დედას კი ეთქვა: რა დროს თმთენია,
 არა მცალიან— შიტირის ბავშვი!
 „დაე იტიროს მთელი სიცოცხლე!“
 ეთქვა იმ დაეროშს და წისულიყო.

— მოგვლია რაღა! შენც გჯერა ერთი!
 — „ვიგაკი“ მხოლოდ ხუმრობა იყო.



- ჩვენ გულთმისანი ხომ არ ვართ შართლა,
- აბა, ქალებო, განვაგრძოთ მღერა:

..იღბლიანო ქალო,
 სიტყვი, რა გავალალებს!
 კრემლი ლამაზ თვალებს
 უნდა მოაკალო!

რჩეული ბარ სხვებში,
 უნდა გაიხარო —
 შენი სატრფო სარო
 სდგას მთასავით მთებში.

ამაღლების მთენო —
 აზიდულო სვეტად,
 ვარდის მოსაწყვეტად
 გავეშუროთ, დებო!-

პირი მისამე

I

ქორწილს იხდიან ზამთარში სოფლად,
 ისმის ყიჟინა, ზურნა, დაფდაფი,
 ციკაბო მთიდან მწყემსების გუნდი
 ბარში ესტუმრენ ღოთ მაყრიონებს,
 სიმღერა, ცეკვა, ზმა და ზაირი,
 ახალგაზდებით გაივსო ბანი,
 ზელად გაკეოდა წრე ხელკაეებით
 და ფალავანდებს ასახელებენ:
 ..აბა, ბიჭებო, ვინ ვის აჯობებს!-

სარო გამოჰყავთ ძაღვის-ძაღათი...
 მეორე მხრიდან მოჰგვარეს მოსო,
 (მოსო ხომ ძმაა საროს სატრფოსი)
 ხუმრობენ, ბტიან, ლაზღანდარობენ,
 და საჭიდაოთ ზომავენ არეს,
 ქალებს შიშისგან უცენდათ გული,
 და ვაეები კი ხალხს აქეზებდნენ...

სარო და მოსო დასდგნენ პირისპირ,
 შემოიკეტეს ჩობის კალთები.

ჯერ მიწას დაკრეს ორივე ხელი
 და მერე უცხად ეცნენ ერთმანეთს.

მაგრან ძველთაგან უკვე თქმულია —
 რომ მჯობთა მჯობი არ დაიღვეა.
 და ორმა მწყემსმა ორმა ჯომარდმა —
 ერთი-ნეორე საჯაროდ კრივეში
 ღონით არ უნდა დააბეჭავოს.

როგორც შეშენის მთის ფალავანდებს,
 ისე ჭიდაობს ორი ვაჟკაცი,
 ხან ცივ მიწაზე ენარცხებიან,
 ხან ისევ ერთად სდგებიან ზეზე.
 სიანს, თანაბრობი ღონეა მათში.

სულ ტყუილია მთვრალთა ყიყინა:
 „ყოჩაღად, ბოქო!“ „ჰა, არ ვაჯობოს!“
 ეს გართობაა მხოლოდ ხალხური,
 ვანა მწყემსს მწყემსი გაუმკლავდება!
 მაგრამ უეცრად დობილებ შორის
 სარომ იხილა ანუშის სახე
 და თითქოს საროს თვალი დაუბნელდა:
 გადაავიწყდა ძველთაგან ძველი
 ამხანაგური ადათი, წესი,
 ივრძნო კუნთებში მდევური ძალი —
 სურდა საჯაროდ ანუშისათვის
 მარიფათობა ეჩვენებინა —
 იხელთა სარომ დრო შესაფერი
 ორივე ხელი ჩასჭიდა მოსოს,
 ძირს დაანარცხა ანაზღვეულად
 და მუხლის თაფი გულს დააჭირა.

ხალხი განგაშებს, ხარობს, იციწის.
 და განარჯვებს ულოკავს საროს.
 მიჰყავთ დარბაზში და ფალავანსა
 სვამენ ეჯობთან მარჯვენა მხარეს.
 მაგრამ ამავე დროს ალუწილ სახით
 მის სდარაჯობდა ანუშის ხედვა:
 „არა გრცხენიან, სარო, რა ჰქენი!
 არა გრცხენიან, ზემობ კიდევ.“

II

ო, ანუში ანუში ავერ შენი ძმა
წამოდგა, იხმობს მოპირდაპირს:
— „ჩართი არ არის, ხუშრობა იყო,
მე შინდა ბრძოლა — ვაჟივის იგი
კაცი არ ვიყო, თუ ზევარჩინო,
მოვიღეს რაღა.“ მაგრამ მის სიტყვებს
ხალხი დაკინებით გაუხმაურა:
— სად ეჩხირება? გაგვიღი, ბიჭო?
— განა არ ვეყო გვერდების ვევა?
— სჯობს ჯიბნეტუკი ჩოხის კალთები,

III

შეუთავიკოვლილ მოსას სტანჯავედა
ბოლმა და შარხი საფანჯრაკო,
ფარტუო ღზინი, დასტოვა ხალხი,
გაშორდა კვლას, მაგრამ დაკინვა
არ შორდებოდა კვლავ იმის ქურუბს.
— რა მომივიდა, ვაი სირცხვილო,
ნუ თუ დავმარცხდი მე სამუდამოდ?
სირცხვილი ამ ჩემს ახოვანებას,
ჯერ არ მქონია ჩოხის ბეჭები,
ასე მიწაში ამოვანგულდი,
მოახვეით კაცი ძირს დამანარცხა...
როგორ გამთენიდე ეხლა ქალენში?
ეინ რას იფიქრებს! ან რას იტყვიან!
რა დამრჩენია? მო: ორში ერთი —
ან თითისტაოი, ან-და სამაოე.

IV

— ძეაო, ჩაივღ ხმელი გარქაშში,
რად ვსტრს დაღუროს შენი დის სისხლი?
ო, შეშინბოლ! ძეაო, იწამე!
საროს სიყვერულს აიარ ვნატრულობ.

მოსოს ფეხებიან ასე მტირადი
საბრალო ანუშე დახოქილიყო,
მოსო კი... მოსო ფეხ-ასხმილ ხანჯალს
გაშმაგებული ატრიალუებდა:

— მაშ შექონფეიცე წმინდა და-მობა,
 რომ საროს აღარ გავკარები—
 თორემ ამ ხანჯლით—ფეიცეცე ნაშალმერთს,
 ებლაც გაგორღვევ მაგ გულის ფიცარს.
 — რა საჭიროა ფეიცი მონისა,
 განა ძმის სურვილს და ეურჩება?
 იწამე ჩემი! შე არ ვატყუებ...
 საროსთან ყოფნა არ მიწერთია.
 ჩვენ სხვადასხვა გზით წავალთ ამიერ.
 — სტუტი! შენ საროს ვერ დაიფიწყებ—
 მე შესმის შენი ჩემი ტირილი,
 რომ გულისძილში ბოდავ მის სახელს.
 — აგრემე შენს ძმობას დაენაცვლები,
 ნუ ეშურები, ძმაო, ჩემს მოკვლას.
 ცოტა მადროფე... ცოტა მაკალე...
 მე შეგისრულებ თხოვნას, ძვირფასო,
 საროს გულიდან ამოვირეცხავ
 და მხოლოდ ერიგულ დათ გადვიტყევი.

V

ასე დამთაერდა სოფლის ქორწილი —
 ორ ძმობილ შუა ჩაეარდა მტრობა.
 შეამაველნი ბევრსა ცდილობდნენ
 და შერიგება ველარ მობერბდი.
 ჯიუტი მოსო ბრახობს, უარობს,
 საროს არ აძლევს ანუშს საცოლედ —
 სურს სიყვარული ქალის გულიდან
 ცხელ ხანჯლის წვერით ამოაკალოს.

ვინ იცის! იქნებ მარტოდ ყოფნის დროს,
 სტინჯავდა მოსოს შურისძიება
 და მწყემსის ჯაერის ამოსაყრელად
 ავი ზრახვები თავს ევლებოდნენ!

ვინ იცის! იქნებ უმთუარო ღამით
 შეზობლის ფარას დაეცეს მტერი
 და ცხერებს ყელეები გამოულადროს!

ეინ იცის! როცა დღიურ სიციხედით
სოფელს დაქანცულს მიეძინება
სადმე მეზობლის თივების ზეინა
გაანიავოს ქიაკოკონამში!

პირი მემონე

I

ღრუბელთა ჯარი ცის დასავალზე,
ეთი აქლუმები, დადიან ხანტად.
პარველმა სხივმა გაქრა მწვერვალებს
და კარდისფერად ცა დაისერა.
წამოიშალა მთელი სოფელი,
თოფებით ხელში გარბიან ტყისკენ
ოითქო ნადირი მოგარდნილიყოს...
და ქალები კი მოედევნენ ბანებს.

II

აგერ მოხუცი გამოიწნდა ხალსნი.
ჩიბუბი ხელის გულზე გაბერტყა.
ჯერ ჯეველები გახაენა მღევრად
და მერე ქალებს უამბო ასე:
— ღამე ნახევრად ვადისთულიყო
და მაინც რული ვერ მოშეკიდა.
შუკებ მონესმა ქუფა ძაღლების
გასამბნევებლად დაუსისინე.
ირგვლივ სიჩუმე. ვეფიქრე: „ნუთუ
სოფელს ნადირი ეწვია სტუმრად!“
ძაღლი გაბრძა, ღამე ვლავ ბნელობს.
მივწექი. ძილი არ ნეკარება,
და ამ ბნელ ღამეს ძლივს გავაჩივ
თუ ორი ჩრდილი როგორ გარბოდა.
მათ ჩაუარეს ჩემს ქოფაკს გვერდი...
ამაზე მეტი არა ვიცირა!“

აი, რად ასტყუდა სოფლად ვანგაში
აი, ნაკვალევს რისთვის ზვერაგდნენ
ოღრმე ანუში საროსთან ერთად
ღამით იდუნალ ვაპარულაყო.

III

მთვარე იცელება, ხალხი დაბრუნდა,
 ამოა იყო მათი წადილი—
 მღვერებმა შტერი ეერ მოაყლიეს—
 ხელცარიელი დაბრუნდნენ სახლში.
 შეყვირებულია გამხედარობა
 ახალგაზრდობას მოსწონდა გულში,
 მაგრამ მოსო კი ვერ ისვენებდა
 დარბოდა ტყე-ღრე, სინჯავდა ნაცვლკეს
 დი შიშველ ხანჯლით ჩასაფრებული
 ორივეს სიკვდილს ნატრობდა ბრახით.

IV

ვარდიშახ! აბა გამალე ქერი,
 და იმეოიხავე, ხეალ რა მოგველის?
 წუხელ სიზნარში—დამიდგეს, თვალის
 ვილაც უცნობი წგნაერი შესტუმრა.
 ეს კი არ ვარგა: დარღს ნიშნავს, მგონი,
 მგრე ვიხილე: ტრიალ მინდორზე
 საროს ცხერის ფარა დაჭხაქსლოიყო
 და კაცთა მოდგმის ხმაზე ბოლოდნენ.
 რას ნიშნავს ნეტა? ბედი ბრმა არის,
 ღვთის საიდუმლოს ვერეინ მისწუდება.
 იმ დაობლებულ ცსოუართა ხმები
 ეხლაც ნიწივის ყურებში ზარად,
 კიდევ რა ენახე: საროს შშობელი
 დაღანტულ ცხერებში ვადასულიყო
 აფრიალებდა სახიან ბაღდადს
 და ცხერებიან ერთად ცეკვავდა ღინით:
 ცხერები კი.. ცხერები სტიროდნენ ცხარედ.
 ვარდიშახ! მითხარ, რას ნიშნავს ესა?
 — ცუდი სიხშიარი გინახავს, დამო,
 ჩემო მანუშაკ, აი, დახედე,
 ეს ქერი როგორ ქეშად დაეცა!
 შავ ვზასა ნიშნავს, ესაც საროა.
 ღმერთს შევევედროთ, რომ დაიფაროს
 საბრალო სარო და იმის დედა.

წინ — ბედისწერა და შურგში — ნეტარი,
ვინ შეიბრალდეს საბრალო საროს?
მოყვარე იქცა ხასტიც დღეშისად. —
საბო შველივით მოგებს შეუბიზა.

ბინდი დაკვა, მოყვრდა ვდელი,
ცვანასტეილი — ყორმინა სხივი
მსუბუქის ცადალია გადაიწვერა —
საბო ეს სვედრით შურგის ბაიასი.

აო. კვიცანო მთებო!
ამართლებო შეკად
თქვენთან ღრუბლის კაბა
შორსხედ დარქვენი
გამოვუშვე თქვენსტენ —
შეშიფარეთ შეკა.

შიწავ, მწვანე ჩიოი
აღუზივით გშენის,
გააღრწავე ჩქარა
ნაბრალდემი შენი,
ჩაიხუტე საბო
ობოად დასაჩქენა.

დაობლებულ ანუწს
ვილა აიშელებს?
ვინ გაუზნობს ნეტრდის
შაწაწინა მტოვლებს...
აღბად ჰააიქოლად
შეკოი გაიხეტებს.

პარი მსხუმე

პატრივარული და შერცხვენილი
ძირს დამსობილი სტაიროდა ანუშ
შეგროვილიყუნენ სოფლის ქალენა
და სინანულით შესციკაყებდნენ.

გადახვეწილო მისი ძმა — მოსო —
 ანუშის ზედზე არ იყო შინა.
 სამაგიეროდ მოხუცი მამა
 საბრალო ანუშს სწავლიდა ისე:
 — კრულვა შენს სახელს, შე უნამუსო,
 ფიციის განტეხო და მოღალატე!
 გვირგვინის ტოტი დაგემტეუეს თაეზე
 და გაგიშავდეს თეთრი მანდილი.
 მტერთან წახველი ვანა ვალულად?
 ოხ, რაღა პირით უნდა შემხედო...

აღელდა მამა და წახყდა თმებში...
 მაგრამ გარს ხალხი შემოეხვია —
 ხელიდან ქალი გააგდებინეს.

ხმა აღიმაღლა აქ სოფლის მღვდელმაც:
 — რას ერჩით საწყალს! დაგეტოვეთ შარტო-
 ანუშ! გულწრფელიად გამენდე, შეილო,
 შითხარი, საროს ნებით გაჰყევი —
 თუ მოგიტყუა ნაძალადევად?
 გიყუარს? შითხარი, ნუ გეშინიან
 შეყვარებულებს გადაგწყურთ ჯვარსა...

ხმაური. ოხვრა. ვიწი. ყიჟინა.
 — მოჰკლეს! ვინ მოჰკლეს? მოსოჰ! სად? როდის?
 არიქა, წყალი! ღმერთო ძლიერო!
 — ანუშ! ა, ანუშ! ჭირს მოსდევს ჭირი.

11

ვით გაჩაფხულის ნიაღვრისაგან
 სავსე მდინარე შიობის ღრილით
 ისე ამ სოფლის ჯგუელაკობა
 მთებიდან ბარში დაეშვა ხელად.

ო, ეს რა არის! ო, ღმერთო ჩემო!
 ხასხასა მდელი სისხლს შეუღებავს.
 შრიახანე დევბეღ ჯებირს აწვდება
 და სიბრახისგან ცოფებს ჰურის ირგვლივ.

დარბაისელი მოხუცებულნი
ერთ შალალ კონცხზე გადმომსდარიცენენ
შეწუხებულნი, ჩაფიქრებულნი
ამბის ვაგებას ელოდნენ უჭაად.

ღრიალებს ქვევით დეებედის ხევი—
რუხრუხებს, როგორც ქუხილი ცისა,
და თითქოს გვამცნობს ფეხამბარობით
უბედურების უბედურებას.

III

ხალხის წინაშე, სააეშეშლილი,
შლეგინივით ვაივლის შოაო.
მველელის თვალებში შიში დასკურავს
და განადითრი ეერაეის ამჩნევს.
შივიდა სახლოან. დაავდო ქული.
დაქიდა თოფი მკედარი გველივით.
ხარდაცემული, გარინდებული,
სულგანბული ბალხს დააშტერდა.

უცბად შოისმა ქალის ქეითინი:
— ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა!
და საროს დედა ვაფთრებული
ივლეჯდა იმებსა, იხოკდა ლაწვექს.

IV

უბედურ დედას უბნის ქალები
მწკრივად მისდევდნენ მკედრის სანახავად.
ჯერ დაითირეს საბრალო სარო
და შემდეგ—როგორც ჩვეულებაა—
საკუთარ მკედრებზეც აფრქვიეს ცრემლი.
ხოლო ჭაბუქნი, საროს დისტეში,
ცხედარს დუშილით შემოაპხევოდნენ
და იგონებდნენ მის ეაქაკობას.
დედის კივილი ჰავრს არხევდა,
შავად ბურვილნი მოსოქვამდნენ მწარედ.

ახ, ანუშ! რატომ სხვა არ გიყვარდა—
რისთვის დაღუპე საწყალი მწყემსი?

ვინ ანუგეშებს ხნიერ დედის,
 ვინ შეაგროვებს დაფანტულ ჟარას,
 რა ეშველება სოფელს უმწყენსოდ!
 მთების სიბარულს ვილა გვიძლერებს!

ამხანაგები გავლენ სამწყესოდ
 და სარო გვერდით არ ეყოლებათ.
 მისი ძალი კი გეზობლის ბანზე
 გაიღმუილებს შესაზარაიად.

ო, მწყემსის ნაცვლად სახლში დარჩება
 თაყდალუოსმული შიშივე კომბალი —
 რომელსაც, ნიშნად შიშივე ვლოვისა,
 ამხანაგები შეღმურავენ.

და იმ ხანჯალსა, წელზე რომ ერთყა
 დედა დაჰკიდებს გრძელ ტახტის თაეთან:
 თავის ქარქაშში ჩასაჯანგაყად.

ველარ გაბზედავს დედა მთის კვერნაქს —
 სადაც უკრავდა სალამურს მწყემსი
 გულჩაკეცილი იჯდება სახლში:
 შეილის წარსულზე იფიქრებს მხოლოდ.

ეს! ნუ აღვიძებთ ძველ მოგონებებს...
 სჯობს დაივიწყო წარსული, დედა!

სადა ხარ, შეილო, ნუ თუ ეგ თვალი
 აღვრისით აღარ შემომინათებს?
 შეილო, ეგ კუბო ნე შეკუთვნოდა
 რად შენედავე? რისთვის წამართვი?
 ვაიმე, შეილო, ხმა გამე... გესმის!

მაგრამ ცხედარი ტკბილ განსვენებით
 ესვენა ყლად, ბაგედაკრული,
 ხელნი დაეწყო გულს ჯვარედინათ
 და ამა ქედანის მოთქმა, მუდარა,
 საბრალოს აღარ ეკურებოდა.

დაბინდდა, გლოვა ოდნავ შინელდა,
 ჭირისუფალნიც შიმშილფანტენ —

მხოლოდ დევბედი, მძაფრი დევბედი,
ვით მგლოფარე, დაულალავად
სკეძდა, გრგვინაედა, იმღურებოდა.

V

და საროს ნეშტი სადათ, უბრალოდ
იქმე, დევბედთან დაასაფლავეს —
და წვილი მიწის ჩაიკრა მიწამ.
მხოლოდ ადამის ნირშუუცელელად
დოსტებმა ჩუნად დაღვარეს ცრემლი:
მხოლოდ მთის აშულს, მთის საცეცხლურმა.
შაშპრა-სოსანის სუნით გაიზბარმა,
ჩამოუქმია მთის საქმეველი;
მხოლოდ დევბედმა ხაო-აყრილმა
თეთრი ბუტბუტით აუგო წესი
და სულთათიანა მიუგალობა.

დაასაფლავეს, მორჩა, ვათაედა.
და ახლად გაჭოილ საროს საუღავზე —
განსვენებულის პატივსაცემად
საროს დოსტებმა თვითთულ ჰეშვით:
მიწის ტაგრუტი დაუდგეს ძეგლად
რომ უსახელო მწყემსის სამარე
მიწის პირიდან არ აღკვილიყო.

პარი მემქნე

I

ვამოხატებულდა, მთა და მიწდორო
მწვანე ხაკერდით გადიხნა;
ჰერცხალთა გუნდი თბილ ქვეყნებიდან
ისეც ესტუმრენ ანუშის სოფელს.

წყლის პირად დადის ერთი ასული —
კაბის კალთაში ფროცებს კენკებს.
მღერის, ბუტბუტებს, იციანის, სტირის,
და საპახუხოდ ზანს აძლევს მიუბი.

— ვის ეძებ მინდვრად, ლამაზო ქლო,
 დაკარგულივით რად იარები?
 ვისზე ჰღერი ცრემლებს, ვის გლოვობ ნეტა?
 იქნებ მაისის ვარდი მოგინდა
 და ამ წყლის პირად ვერ გიპოვია?
 ო, იქონიე ცოტა მოთმენა —
 ჭალო ლამაზო — მოვა მაისიც!
 იქნებ დასტირი სატრფოს სამარცს?
 ო, ამაოა ცრემლი, გოდება
 მიწამ წაგართვა გულის შურაზი,
 მიცვალე ბულებს ვერ გააცოცხლებ!
 ნუ ლუბავ მაგ შენს აბალქალობას,
 ნუ ისწულე ცრემლებით თვალებს. X
 აჰყე ცხოვრების ჩარხის ტრილისა,
 გადაივიწყე მიწაში მყოფნი,
 იმხიარულე და სხეაც ახარე.

— გზად მიშავალო! შენს რჩევასტრვილს
 ვერ შევიფარდებ ბედ-დაწყველილი.
 გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობისა!
 გმადლობ, უცნობო, გწყალობდეს ზეცა! X
 გისურვებ შეგხედეს კარგი საბედო —
 აბალგაზღობის ასაკვავებლად;
 შე კო... წილად ნხუდა ვიება, ტყეება.
 ვერ მოვიკალი წყურვილი ცრემლის.

II

დაეხეტება ანუშ მთაბარად,
 მღერის და სტირის, სტირის და მღერია,
 აბნეულია მისი სიმღერა —
 ნაღვლიან ხმაზე ბოდავს და მოსთქვანს;
 — ჩემო იმედო, სად დარკარგე!
 ჩემთვის ქვეყანა დაცარიელდა.
 დაყრუვდა ჰანგი საღამურისა.
 ძაძა გლოვისა ჩაიკვეს მთებმა.
 რატომ ამდგნხანს აღარ ბრუნდები —
 სადა ხარ, სარო! სადა ხარ, სარო!

„ცხერის ფარასთან ძაღლი ჰვოდებს,
მიწა ცრემლით დაღბა.
ეს ვინ არის, არხევს ტოტებს —
ოხ, ქარია, ალბად!

ჩემო კარგო! გძინავს სულა,
ვაიღეიძე ჩქარა!
დაფანტულა, დაქსაქსულა —
უპატრონოთ ფარა.

ოქნებ მიწის ცხელმა სუნმა
ისე გამოვათხო
რომ დაჰკარგე ჩემზე ზრუნვა,
დაივიწყე სატროფო!“

ზეცამ სიბნელე შემოიფრთა.
მივბს გადაეულო ყვავების გუნდი.
— ასი სიცოცხლე რომ მქონდეს ერთად.
შენ შემოიგწირავ, ოღონდ დაბრუნდი!

„მალა კორდზე, ბუჩქის ძირას,
ქვებმა რაღაც სთქვეს.
სამარეში ვისა სძინავს,
მწყანე ნაბდის ჭეუშ“

„ჩუ, დაირები სტირიან ქარში,
იგერ დუღუკი! ლბინია, ლბინი.
რა ქორწილია! გამოდიოთ კარში —
ნუთუ არ გესმით ცხენის ჭიბვინი?“

„ფუ ეშმაკსა! ფუ ეშმაკსა!
ყველას ჯვარი სწერია!
იკი გითხარ: სატროფოს შმაგსა
ვინც ენლობა — შტერია.“

⊕ სასველი

„აქ დაასვენეთ ჩემი ნხის კუბო.
აქ — ყვავილებთან! გესმით თუ არა?
— რად მილაღატე, შე მატყლარა,
მამ უნდა შენთან მეც დავიღუბო...“

„შეკუბოვე! კუბო
ჩქარა შეგქარ ფართე!
ერთი ორივესთვის,
მასთან მინდა ძილი:
უნდა დავიბრუნო —
საროს კოცნა ჰმართებს,
საალერსოდ გვიცდის
დიდი ცაცხვის ძირი!“

„სარო! ტანად სარო,
ლამაში ხარ ისევ!
სარო, სიბალისევ! X
სევდას რისთვის მი'ვევ,
მთების ზესადარო?“

სარო! სარო! სარო!“ აბ,

III

ღვებედის პირად, — სადაც ქარაფი
გამოქვაბულა საბედისწეროდ, —
ხავსით შესდროულ ცივ სამარეში
ამაყი მწუქმსი მარხია ობლად.
საბრალო ქალი შეშლილი სახით
სათლავს გრველდღე უვლის გარშემო,
დღისით ვერ იშრობს თვალუბზე კურცხალს
და ღამით რული არ ეკარება.
მაგრამ ნუქათად ანუშის მოთქმას
შეესიტყვება მიწა ნამარდი!?

შრიღლებს ქარი, ნავარდობს ქარი!
საროს მაგივრად ერთრჩელება:
— ანუშ! დავამსხვრევ მიწის ბორკილებს!
ანუშ! სინათლეს ვიხილავთ შალე!

შმაგი ღვებედიც ჩვეულებრივად
ესაუბრება თავის სამსხვერპლოს:
— ანუშ, მოუნდე ჩემს ფაფუკ ტალღებს.
წავიყვან უცნობ ვლემის მხარეს
მე დავანახებ შშეენიერ საროს.

და ანუშს თითქოს ეურს ჩაცობა
დედის ძახილი: „ანუშ, დაბრუნდი!“

მაგრამ დუმილმა მოიცვა არე,
ირველივე საჩუმემ ჩამოიარა,
დამუნჯდა ქარი... დადუმდნენ მთები.

მხოლოდ დევბედი, მღერიც დევბედი,
ქვებიდან ქვებზე ჩამომდინარე
მოსთქვამს და ჰგოდებს მარად და მარად: †
„ანუშ, ჩემი მარ!“ ..ჩემი ხარ, ანუშ.“

მეორე

ამბობენ: ღამით, ამაღლებსას —
როს ყოველ სულდგმულს მიფინება,
როს უცოდველი დუმილი სუჟვეს
სააქაოსა და საიქიოს —
ცა ერთი წუთით გადაისნება,
და ძირს ჩამოდის ერაზხევა უფლის... †

და ორი სული შეყვარებულთა,
ბედმა რომ ცოცხლად დააკალკევა —
მხოლოდ ერთ წუთით, მხოლოდ ერთ წამით, †
დაქმნებიან ვარსკვლავეთიდან —
ჩაეკვრებიან ერთი-მეორეს...
და შერე ისევ ცის ალაყაფი
მზის ურდულებით დაიხურება.

მთხრობები

ბ ი ქ ო რ

გლეხკაც ჰაშბოს ქობში ერთი აურზაური იყო.

ჰაშბომ მოინდომა თავისი თორწეტი წლის ვაჟის — გიქორას — ქალაქში წაყვანა, რომ რაიმე ხელობა შეესწავლა და კაცი გამოსულიყო.

გიქორის დედა კი ეწინააღმდეგებოდა თავის ქმარს და ქვითინით ამბობდა:

— მოიგონა რაღა! უსუსური ბავშვი იმ დასაჯცვე ქვეყანაში უნდა ჩააღბოს.

ჰაშბო თავის გადაწყვეტილებას მტკიცედ იცავდა.

ერთ მშვენიერ, მაგრამ მოწყენილ დილას, შინააურებმა და შეზობლებმა გიქორა სოფლის სახლვრამდე გააცილეს, ორივე ლოყები დაუკოცნეს და ლოცვა-კურთხევით ქალაქისკენ გაისტუმრეს.

გიქორას პატარა დაჟ, ზანი, სტიროდა, ხოლო ძმა, გალო, რომელიც დედას ხელში ჰყავდა აყვანილი, ტიტინებდა:

— გიქოოლ! საით, გიქოოლ!

გიქორი მოწყენილი გაუდგა გზას, თვალები კი სახლისკენ რწებოდა.

დიდ ხანს მოსჩანდა სოფლის განაპირას ნათესავებს შორის გიქორას დედა, რომელიც წინსაფართო იწმენდა კრემლებს.

გიქორი ხან წინ გაუსწრებდა თავის მამას, ხან კი ფეხდაფეხ მისდევდა. აი, უკანასკნელად მიიხედა — უნდოდა ერთხელ კიდევ დაენახა თავისი სოფელი, მაგრამ ის უკვე გოკაცებს ამოჰფარებოდა.

კრტა ხანს შემდეგ გიქორამ ნაბიჯს უკლო.



— აბა, გიქორჯან, მარჯად, ცოტა კიდევ მოუმატე ნაბიჯს და მალე ვიქნებით ქალაქში—ამხნევებდა თავის ვაჭა ჰამბო.

თვითონ მხრებზე ხურჯინი გადაეგდო, რომელშიც საგზაოდ ჩაეწყო პური, ყველი და ცოტაოდენი წვეკა ჩიბუხისთვის.

სიღამო ეამს, უღელტეხილზე გადასვლის დროს, მტრედისფერ ღრუბლებში გამოჩნდა გიქორას სოფელი.

— მამილო, მამილო, ა, ჩვენი ქობი!—წამოიძახა გიქორამ და თითოთ ანიშნებდა, მაგრამ ცისდასავალზე არავითარი ქობი არ მოსჩანდა.

უემოაღმდით. მიუახლოვდნენ ერთ-ერთ სოფელს და აქ ესტუმრნენ თავიანთ ნაცნობს.

ტახტზე ყუითელი სამოვარი შეშინებდა. ყმაწვილი ქალი ჩაის სამზადისში იყო: რეცხავდა ჭიქებს და ასხაძდა ჩაის. დიასახლისს ეცვა წითელი, ლამაზი კაბა. გიქორამ, დაინახა თუ არა ეს კაბა, საშინლით მოიწონა და გულში გადასწყვიტა: როგორც კი ფულს ვიშოვი, სწორედ ამისთანა კაბას ვიყიდი და ჩემს დას—ხანის—გაფუგზავნიო.

ვახშმის შემდეგ სტუპარ-მისპინძელი ტახტზე წამოწვენენ, ჩიბუხებს მოუკიდეს და მისლიათი დაიწყეს.

ლაპარაკობდნენ ჯერ გიქორის მომავალზე, მერე გადავიდნენ ოპზე, სიძვირებზე და სხვ. გიქორი უსმენდა—უსმენდა და მოქანცულს იქვე მიეძინა.

მეორე დღეს, როგორც იყო, ქალაქს მიაღწიეს და ნაცნობ მოხუც მეჯინებსთან ბინა დაიდეს.

დილით მამა და შვილმა ბაზრისკენ ჩაიარეს.

— ეი, ძმობილო! ადგილზე ხომ არ გინდა დააყენო ეგ ბავშვი?—ჰკითხა ერთმა მედუქნემ.

— დიახ!—უპასუხა ჰამბომ და ხელი მოჰკიდა თავის შვილს.

— მაწ ჩემთან დაიყენე, რაღა! უთხრა ვაჭარმა.

ეს იყო ბახაზი არტემა.

თანახვად პირობისა, გიქორი მოვალე იყო ერთი წლის განმავლობაში ეხვეტა ოთახები, ელაგებინა ქურქელი, ფეხსაცმელი ეწმინდა და სახლიდან დუქანში საქმელი ეზიდა; ერთი სიტყვით — ესრულებინა ყოველივე წვრალმანი საქმე, ხოლო ერთი წლის შემდეგ გიქორა უნდა გადასულიყო დუქანში და ასე თანდათანობით მას ელოდა წარჩინება.

— ხუთი წლის განმავლობაში არაფერს არ მოგცემ, — გამოთხოვების დროს უთხრა ექპარში ჰამბოს, — საცა სამართალია, პირიქით, შენ უნდა მომკე, რომ შენს შვილს რამე შევასწავლო. ეგ ხომ ჯერ მათოდ ხამია, გამოუცდელი...

— მართალსა ბრძანებთ, ალაჲ! ეგრეც რომ არ იყოს, მაშინ ხომ თქვენთანაც არ დამქირდებოდა ამის ჩამოყვანა... იპიტონ გაბარებთ ჩემს შვილს, რომ იქნება გონება გაეხსნას, ცოტა ქუთა შეიძინოს...

— შეიძენს და აგრე! ნიკოლას იცნობ? ისიც თქვენგანგებრია, აი! შევირდად მკაედა. დიდი ხანი არ არის, რაც დუქანი გააღო, ყველაფერი ეს ხომ ჩემი წყალობით მოხდა! თუმცა ბოლო დროს, მართალია, პირი შეირტყვინა. ისე რაღა, ერთი წყვილი ჩაის კოვზი საღლაც გააქრო და კიდევ რაღაც რაღაცეები აწაპნა.

— ვაიმე! ვაიმე! აბა რასა ბრძანებთ! ჩემი შვილი და ქურდობა? ერთი გაზედოს: ქჩოში ხელს წავაეღებ და პირდაპირ მტყარში გადავუძახებ.

— მო, ვნახოთ! თუ ხელმრუდე არ იქნება, მაგისათვისაც ბეირია.

— ავი მეც იპიტომ ვუდილობ, რომ ხეირიანი შვილი გამომივიდეს: ისწავლოს სიტყვა-პასუხი, არ დარჩეს უცოდინარი, იცოდეს ვის როგორ დაუხვედეს. როღი მსურს ჩემი შვილი მე დამეჭვავსოს და მთელი თავისი სიტკაცხლე ვაატაროს ტანჯვისა და ეჭვმაში. მაინცა და მაინც არც ისეთი ხებრეა ჩემი ბაღლი, სოფლის სკოლაში ანბანსა სწავლობდა. ცო-



ტა რამე ესმის... ოღონდ გეხვეწებით—არ დასტოვოთ უყურადღებოდ... ხომ მოგეხსენებათ, ხამია, პატარა...

ვაჭარმა დაამწვიდა გიქორის მანა, დაჰპირდა მზრუნველობას და წასვლისას უბრძანა შინაურებს:

— დააღვიძეთ ამათ ჩაი!

3

მამა და შვილი ისხდნენ ვაჭარ არტემის სამზარეულოში.

— აბა, შვილო გიქორ! შენ იცი, როგორც მასახლეობ! ვნახოთ, რა გამოვა შენგან. იყავი ვაჭარჯე, მწყაითი. ღმერთო, შენ მომიმართე ხელი... წაიბუტბუტა ჩამომ და თან წეკოთი ჩიბუხი გასტეა.

გიქორი კი თვალებს აქეთ-იქით აცუცუბდა.

— მაშელო, რატომ არ არის აქ მუხარი?

— ესენი, შვილო, ლუმელს ანთებენ. აი, მოდი, გარჩენებ...

— არც კალო აქეთ?

— რის კალო! რა კალო! ეს ქალიშვილი, შვილო! აქ გლეხები ხომ არ სცხოვრობენ, რომ ლეწონ და ანიაკონ?

— მაშ პური საიდან აქეთ?

— ყიდულობენ, ჩემო კარგო! ფულით ყიდულობენ: რძეს, კარაქს, შეშას; წყალი რა არის, წყალი—იმაშიაც კი ფულს იხდიან.

— ვა!

— მაშ რა გეგონა! ეს, შვილონიხა, ტფილისია! შენ ყოჩაღად იყავ და მაგისტანებს გაიგებ!

— მაშელო, ეკლესია? ეკლესიაც აქეთ ამათ?

— როგორ არა! ესენიც ხომ ქრისტიანები არიან ჩვენსავით!... მიუერთხილდი კი, ხელმწიფობა არ გასწიო! შენს გამოსაცდელად, შეიძლება, განგებ ფული დაგდონ ძირს—არ მიეკარო და, თუ ააღებ, უსათუოდ ქალბატონს ან ბატონს მიუბრუნებინე და უთხარი, რომ იპოვნე, თორემ...

— აქ პრისტავებიც არიან?

— მაშ როგორ გგონია! უღროოდ აქეთ-იქით არ დაიქცეო ხეტიალი; თუ ხელში ჩაგვიარდეს ფული, არ ვაფლანგო, ვახსოვდეს ჩვენი სიღარიბე, თავს ვაფურთხილდი, არ ვაცივდე, თუ ვისმე ჩვენებურს შეხვდე, უწყველად ბარათი გამოატანე...

ასე არიგებდა პამბო თავის ვაჟს. ხამუშ-ხამუშ პირიდან ჩიბუნას გააბოღებდა და უღვაშდებზე ხელს გადასვიამდა გიქორი კი სთვლემდა.

— საქმელად მოგცემენ ნასუფრალს, მონარჩენებს, ნამტვრევებს, შ-ხდება ისიც, რომ თვითონ ისადილებენ და შენ არაფერს დაგიტოვებენ? რა ვუყოთ, მოსამსახურის ზვედრი ასეთია, უნდა მოითმინო... დღე დღეს გაპყვება, დაღამდება—გათენდება და გარელის... განაგრძობდა მამა თავის დარიგებას, გიქორას კი თავის შაშის მხარზე თავი დაცხარა და ტკბილად ეძინა.

4

ვაქარი არტენა და მისი ცოლი ერთმანეთს ეკამათებოდნენ. ცოლი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მსახური მოუხეშავი გამოდგა, გამოუტყდელი სოფლელი; ქმარს კი უხაროდა, რომ ხუთი წლის განმავლობაში მოსამსახურე უფასოდ ეყოლებოდა.

— შეგიყვება, მთელი საუკუნე ხომ არ იქნება ვგვით!— არწმუნებდა არტენა თავის ცოლს.

— შეგიყვება, წვილო, ამა ტყუილ-უბრალოდ გულის რაზე იშფოთებ?— ემუღაჩებოდა დედამთილი.

მაგრამ ნატო არა სკარებოდა და ცრემლმორცული თავის ბედს სწყევლიდა...

5

გიქორი უკვე სამსახურშია. ზის ვაქარ არტენას სამზარეულოში. თავზე ბატონის ძველი ქუდი აქვს ჩამოფხატული, აცვია ბატონისავე გამონაცვალი წიღები, ლურჯი ხალათი... ერთი სიტყვით, გიქორი თავიდან ფეხებამდე გამოცვლილია.

ზის სამხარეულოში გიქორა და ფიქრობს. ფიქრობს, თუ
რად წამოვიდა სოფლიდან, როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს?
შემოდის ქალბატონი ნატო.

გიქორი იქვე ზის.

ქალბატონმა რაღაცა წაილაპარაკა.

გიქორმა ფერაფერი გაიგო...

— შენ გელაპარაკებინან, დათვის ბელო!

გიქორი შეკრთა. გიქორი ოფელში გაიწერა. სურდა შეშ-
კითხებოდა, მაგრამ ვერ გაბედა... ქალბატონი გაანჩხლდა და სამ-
ხარეულოდან გავარდა.

— ეს არგასახარელი! ეს ხებრე! ეს სამიწე! რა უბედუ-
რებაა ჩემს თავზე; ელაპარაკები, ის კი აღვილიდან არ იძვრის,
კრინტსაც არა სძრავს.

«ესლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული, გაიფიქრა გიქორამ,
— ნუ თუ ასე მალე და ასე ცუდად უნდა გათავებულებო ყო-
ველივე? რა მემუელება უხლა? მინა მინც მყავდეს აქ»...

ვიდრე გიქორი ფიქრებში იყო ჩაფლული, სამხარეულოში
ბუნებურით შემთავდა ვაქარ არტემას დედა.

— აბა, რატომ არა დგები, როცა ქალბატონი შემო-
დის? — ასწავლიდა დიდი ქალბატონი, — როცა რასმე გკითხა-
ვენ, უნდა პასუხი მისცე ხოლმე. ეგრე ხომ არ შეიძლება? მო-
ხუცი ასწავლიდა გიქორს, თუ როგორ იდგმევა სამოყარი,
როგორ უნდა გასწმინდოს წაღები და დარეცხოს ქურქველი...

გარდა ამ კეთილ მოხუცისა, დანაბრენნი მხოლოდ სტან-
ჯავდნენ გიქორს...

დღეებში ბიჭები აბუხად იგდებდნენ, საწყალს «თისივავს»
ეძახდნენ. ხან თავში ჩაპკრავდნენ, ხან ცხვირს დაუჭერდნენ
და ხან კი ქულს ჩამოუფხატავდნენ ხოლმე თვალეებზე; ყოველ-
საფე ამას აიტანდა გიქორი, რომ შიმშილს არ შეეწუხებინა.
უქმელობა კი მეტისმეტად აწუხებდა.

რა კარგი იყო სოფლად! თავის საბღში! როცა მოში-
დებოდა, გიქორი ამოიღებდა კიდონიდან პურს, ქილიდან
ყველს, იქავე სჭამდა და შერე გაიქცეოდა მინდორში სათა-

მაშოდ, ერთ დიდ ყუფას კიდევ იღლიაში ამოაჩრიდა: იქ საღმრთო
მე ხის ქვეშ, წყაროსთან ჩამოჯდებოდა და გულიანად შექ-
ცოდა ხალმე.

აქ კი სულ სხვა წესები იყო შემოღებული: რაც უნდა
მშვიდრი ყოფილიყავი, შუადღემდე უნდა მოგეამინა და გი-
ქორის რიგი კი სულ უკანასკნელი იყო. ეს დაწყებული სა-
დილობის საათი ისე გაქიანურდებოდა, რომ ჩვენს გიქორს
გული უწყუბდებოდა!

პირველ ხანებში ითმენდა, მერე კი დაიწყო სუსნაობა.
რაც კი ხელში მოხვდებოდა სადილობამდე, — პურის ნამცეცი
იქნებოდა ეს, თუ ვამოხრული ძვალი, — ყველაფერს ეტანე-
ბოდა. მერე დაიწყო განჯინებში ფათური და ბოლოს ისე შე-
ეჩვია მსუნაგობას, რომ ქვაბებიდანაც კი იღებდა მოუხარშავ
ხორცს და სჭამდა.

მაგრამ რომ შეამჩნიონ? მაშინ? რასაკვირველია: ცუდად
დათავდება საქმე! აშკარაა, დაიქურენ... როგორ მოიქცეს? გა-
იპაროს? ვისთან? როგორ? იცის გზაკვალი თავის სოფლისა?
იცნობს ვისმე? მამა! საბრალო მამა... როგორ გმუდაჩებოდა,
როგორ არიგებდა, როგორ ანუგეშებდა: „დღე დღეს გაპ-
ყვება, შვილო, დაღამდება, გათენდება და... გაივლის“... გი-
ქორს თითქოს ეხლაც ესმოდა ყურებში მამის სიტყვები: „დღე-
დღეს გაპყვება, შვილო, დაღამდება, გათენდება და . გა-
ივლის“...

ii

ვილაცამ დარეკა.

გიქორას ნაბძანები ჰქონდა, ვიდრე კარს გააღებდა, იფ-
რევე შეეტყო, თუ ვინ მოვიდა და რისთვის! გიქორი გავიდა
აივანზე და დაინახა უცნობი ხალხი.

— ეო, თქვენ, ვინა ბართ? — გადასძახა აივნიდან.

სტუმრებმა ახედეს მოსამსახურეს. ქალებმა გაიციუნეს, ბო-
ლო ერთმა მამაკაცმა გაისწორა სათვალე და ჰკითხა:

— ქალბატონი ხომ შინაა?

— რა გნებავთ მერე?



— შენ გკითხავენ, შინაა თუ არა? — გაჯაერდა სტუმარი.

— თქვენ რა საქმეზე მოსულხართ?

ხმაურობაზე გამოვიდა ქალბატონი.

— აი, დაგწყევლოს მამაზეც იცრება. ჩალი ჩქარა და კარი გაუღე! — ჯაერობდა ქალბატონი, ლანძღავდა უფიქროს მამასახურებს და ზედაც თავისი ქმარი მიაყოლა.

სტუმრები გამოჩნდნენ. დიასახლისი ნაძილადვეი ღიმილით მიეგება:

— აა, მობრძანდით, მობრძანდით! რამდენი ხანია არ გვინახვიხართ... რად დაგვივიწყეთ?

— ეს პორტოველი სად გიშოვიათ? — ეკითხებოდა ერთი სტუმარი დიასახლისს, სხვები კი დაყინვით ზვერაგდნენ საწყალ გიქორს.

— თუ ეგრე გშურთ, შემიძლიან დაგითხოვთ, — ღიმილით თვე შეესუშრა დიასახლისი და სიცილ-ხარხარით შეფიქრდნენ სიღარბაზო ოთახში.

გიქორი ნატომ სადღაც გაგზავნა.

პორტოველი მისხლმების შემდეგ, სჯა-ბაასის საგანდ ისევ გიქორი გახდა.

— ო, ნულარ გკითხავთ! სისხლი გამიშრო მე გლესაქლავ, შესწივლა ნატომ სტუმრებს, — რომ იცოდეთ, რამდენ ტანჯვის ვიტან წავის გლლისთვის. მინდა დავითხოვო, მაგრამ არტემა არ მანებებს, ხომ მოგეხსენებათ ჩუმი ქმრის ხასიათი: „საწყალიაო, სოფლის მიქია და რა მოეთხოვებაო, ერთ ლუკმა პურს ნუ გამოვაცლით, გაიზრდება და გამოაწოვრდებაო!“ მაგრამ როდემდის... მე კი ჩემი დამეპართა და!

— ოპო-პო-პო! ნუ იტყვი, ნუ იტყვი! ეს მოსამსახურეები ნამდვილი უბედურებაა ჩვენთვის, — გაისმა ყოველმხრივ ქალებში და ლაპარაკი ვადავიდა ხერხოდ მოსამსახურეებზე, ახალ ამბებზე და, როგორც ეს დედაკაცებს სჩვევიათ, სხვა და სხვა წვრილმანებზე.

სწორედ ამ დროს მთლად ოფელში გაწუწული მოგარდა გიქორი.

— ქალბატონო, ხილი მოვიტანე...

— კარგი! წადი! — წაიღუღლუდა აღეწიღმა ნატომ, ხოლო სტუმრებში კი გიჭორის სიტყვებმა ერთი სიცილი-ხარხარი გამოიწვია.

— აღუბაღზე კი აღამ ბრძანა ძვირია და ნუ იყიდო...

ზოგიერთმა ქალმა სიცილის შესაკავებლად ცხვირსაოცი მიიფარა პირზე, ხოლო დანარჩენები — უხერხულოების დასათვარავად — ამბობდნენ, რომ მართლაც აღუბაღი ძალიან ძვირია და ეხლა ვილა ყიდულობსო. შემდეგ უსაყვედურეს დიასახლისს: რა საქიროა ხილი? შინც და შინც ხილისთვის ხომ არ მოესულვართო!

ღარცხვენილი დიასახლისი სკდრილობდა საქმის გამოსწორების:

— ღმერთმა უწყის, რა უთბრეს და ამ ბრიყვმა კი როგორ გაიგო.

— აი, აქვე მიწა გამისკდეს, თუ ვტყუოდე, ქალბატონო, — შიამიტად დაიფიცა გიჭორამ.

7

ნატომ ვააცილა სტუმრები. ვაალმასებული თავის თავს ელაპარაკებოდა და თან სუფრის აღაგებდა. ჰკრულავდა გიჭორს, იგონებდა ბიჭის უმჯავს საქციელს, სწყევლიდა უსმართს და თავის მეუღლეს.

— ნუ ჯაერობ, შეილო, ყველაფერი გამოაკეთდება!... ეგ ჯერ ხომ ხამია... შეეჩვევა და ყველაფერი თავის რიგზე იქნება... ო, ღმერთო ჩემო, ნეტა როდის შეღივდება სიკვდილი... ჰკენესოდა მოხუცი დედაბთალი.

— იპოენე, რალა, სალაპარაკო დრო; ხამიაო! თუ ხამია, ადექით და თქვენ გააკეთეთ მაგის საქმე. მე თქვენი ყმა კი არა ვარ! — რძალიმა ხმა აიმაღლა და ქმრის მოსვლამდე სულ ბუხლუნებდა და იწყევლებოდა.

როცა მოისმა არტემას თეხის ხმა, ნატომ უფრო და უფრო აახმაურა ჭურქელი.



— გითხარი, დაითხოვე მეთქი, დაითხოვე მეთქი! თუ წესიერი მოსამსახურისთვის ფული არ გემეტება, ნე ვიბუშავებ ამის წაგვირად. სჯობია უმოსამსახუროდ ვიყო, ვიდრე ცისმარე დღე ასე ვიტანჯებოდე. მტერი ხომ არა ხარ ჩემი?...

— რა ამბავია, რა მოხდა? — ჰკითხა ბაზაზ არტემამ და შუა ოთახში გაჩერდა.

— ესღა მაკლდა! სირცხვილისგან დავიწვი... მერე ყველას წინაშე... შეეტაკა ცოლი ქმარს და გაფითრებულმა ალუბლის ამბავი უამბო.

— ვაა! — წამოიძახა არტემამ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!... ამოიოხრა კეთილმა მოხუცმა. არტემამ მოიხშო გიქორი.

გიქორი ძლივს მოათრევდა ფეხებს.

— მოახლოვდი! — დაიღრიალა ვაჭარმა.

გიქორი შეკრთა და ერთ ადგილზე გაქვავდა.

— შენ გეუბნებიან, მოეთრიე!...

გიქორმა დააბირა მისეულა, მაგრამ იმავე ადგილზე გაჩერდა.

— რა დავაბირე, შენ მუტრუკო, ჰა? შენ არ გითხარი, რომ ჩემი ნათქვამი ქალბატონისათვის გადაგეცა? შენ კი სტუმრებთან წამოაყრანტალე, არა? „აღუბალი ძვირიაო!“

— შე... შე... ქალბატონს... — იმართლებდა თავს გიქორი.

მაგრამ ვიდრე გიქორი ორ სიტყვას გადაამბდა — არტემამ გაუშალა და ერთი მაგარი სილა სტკიცა. გიქორს თვალებიდან წინწყლები გადმოსცვიფდა, თავი კედელს მიახალა და იატაკზე დეცა. არტემა შესდგა ფეხებით და სცემდა, სცენდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— მაშ ალუბალი ძვირია, ჰა! მაშ ალუბალი ძვირია, რაღა!

გიქორს წამოესარჩლა დიდი ქალბატონი. ბავშვებმა მორთეს ყვირილი. არტემი მოშორდა გიქორს, მაგრამ თვალეზვადმოკარკლული ქშენით მაინც დიდხანს იმეორებდა:

— მაშ ალუბალი ძვირია, ჰა! მაშ ალუბალი ძვირია, რაღა!

— ვაიჰე, დედა! დედა! — ჰკენესოდა გიქორი ოთახის კუნჭულში და შიშისაგან კანკალებდა.

როცა დარწმუნდნენ, რომ გიქორი, როგორც მოსამსახურე, ოჯახისთვის არ ვარგოდა, დუქანში გადაიყვანეს. გიქორის მოვალეობა იყო ფართლეულის მიტან-მოტანა მუშტრებისათვის, ნავაჭრის დაკეცვა, დუქნის დაგვა-დასუფთავება, ხოლო თავისუფალ დროს იდგა კარებში და მუშტრებს იწვევდა.

აი, გიქორს დუქნისათვის სადილი მიაქვს. ფერმკრთალი და გაცრეცილი მიდის ხილზე ქვაბებით ხელში და ბატონისეულ ფეხსაცმელებს მიაფრატუნებს. ხილქვეშ მტკვარი ემსხვერვეა ქარვასლის კედლებს. მორევთან ტალღა-ტალღას ატრიალებს და ყრუ ხმაურობით იწევს მეორე ხიდისაკენ.

ნაპირთან შორი-ახლოს ტორტმანობს მწვანე ნაფი, რომელშიაც მოსხანს ორი კაცი. ერთი ბადეს ეწევა, ხოლო მეორე სდგას ნიჩბით ხელში და ნაფს უყარაულებს.

— უსათუოდ დაიჭერს, გაიფიქრა გიქორამ და მიაშტერდა მებაღურებს.

გამოსწიეს ბადე, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა.

— აბა ეხლა ერთი ჩემს იღბალზე გადისროლონ ბადე!

გადისროლეს, მაგრამ მის იღბალზედაც ბადე ცარიელი ამოათრის.

— თუ აგრეა, ეხლა მოდი, ჩემი დის, ზანის, იღბალზე იყოს!

ბადე კვლავ ცარიელი ამოსწიეს.

— მაშ ეხლა ჩემი ძაშია გალოს იღბალზე!

მაგრამ გალოც უიღბლო გამოდგა.

— მაშ ეს...

ამ დროს ქარვასლის კარებთან ვაისმა რაღაც ხმაურობა; რომელიღაც სპარსელი მღეროდა და თან შაიმუნს თანამეშებდა. ხალხი ხმ სანახაობას ყოველი მხრიდან ეტანებოდა და ანაზღად სპარსელის გარშემო კარგა მოზრდილი ბრბო მოგროვდა. გიქორმა სცადა ხალხის გარღვევა, რომ უფრო ახლო დაენახა



მაიმუნის ოინები, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს ვერ გახდა. ბოლოს, როგორც იყო, შედგა თითის წვერებზე, კისერი წაიგრძელა და სკდილობდა წრის შუაგულის დანახვას.

— სად ეტენები, შე ლაწირაკო, მიდიხარ გაიარე, რაღა! შეუტია ვილაცა კინტომ და თავში ჩაფარა.

გიქორი გონს მოვიდა. ვაახსენდა დავალება და ღუქნისკენ მოჰქურცხლა.

12
96



სადანო ემს გიქორი მოკუნტული აქვდა სამხარეულოში. ჯერ კიდევ თვალეებზე ცრემლი არ შესრობოდა, არტემას სილაქებისაგან ატყეცილი ლოყები ეწვოდა. ჯერ ქალბატონის წრისხანე ზმა არც კი დამცხრალიყო, რომ სტვენით სამხარეულოში შემოვიდა არტემას ნოქარი ვასო; ვაომ რომ შენიშნა მტირალი გიქორი, დოინჯი შეპოიყარა და დიდგულად ჰკითხა:

— შენ, ეო, ვირო, კლუბში შეგაჩერეს, თუ გუბერნატორმა სასწრაფოდ დაგიბარა?

გიქორმა თავი უფრო ჩაქინდრა.

— არ გესმის? შიპასუხე შელქი!

გიქორი სდუმდა.

— სად გვდევ, რატომ თავის დროზე არ მომიტანე სადლი? ერთიც ვნახოთ, შიმშილისგან მოგეკვდარეცყავი, მაშინ...

ამ სიტყვებით ვაო მიუახლოვდა გიქორს, გამოიქიმა მის წინ და დონივრად ჩასთხლიშა თავში. ბავშვი მიეკრა კედელს და ორივე ხელით სახე დაიფარა, ვასოს უნდოდა, კიდევ გაერთყა, მაგრამ ეზოდან არტემას ლაპარაკი მოესმა.

— აი, ილა მოდის და ნახავ, თუ რას გიხამს! დავმუქრა ნოქარი.

„მომკლავენ.“ — გაუელვა თავში გიქორს და თავზარდაცემულია სული განაბა.

ბაზახი არტემა უკვე დაქმყოფილდა იმით, რომ გიქორის ცემით ღუქანშივე მოიჯერა გული. ეხლა კი განკარგუ-

ღება გასცა, რომ უსადილოდ დაეტოვებინათ, რათა მასაც
გვემა, თუ რას ნიშნავდა შიმშილი...

კეჭა-ქუხილმა გადაიარა.

თუმცა გიქორი დამშვილდა, მაგრამ მაინც ესმოდა ქალ-
ბატონის ლანძღვა-გინება:

— ნეტა რისთვის ინახავ მიგ უჯიათს... პანდური და
მაგის ჯანი!..

10

გიქორმა ბალიშში თავი ჩარგო, საბნის ქვეშ მოიკუნტა
და სული გატვრინა, ვასო კი ლილინებდა თავის საყვარელ
სიმღერას და თან ვახშავს შეექცეოდა. საბრალო გიქორს არ
ეძინებოდა. დილიდანვე უკნელს, ნაცემს და ნამტირალევს,
მშიერს კუჭზე აბა რა ძილი მიეკარებოდა! ხანდახან კი ფრთხი-
ლად გამოჰყოფდა თავს საბნიდან და შესტოცავებდა ვასოს.

— როგორია? კარგია მშიერი კუჭით ძილი? არ გეძინება
განა? — დაციფნიო ჰკითხა ვასომ და გადაუჯდო ერთი ნატენი
პური, — აჰა, ხეთქე! მაგრამ ფრთხილად კი, აღამ არ შე-
გამჩნიოს.

გიქორი ეცა პურს, შეიფუთა საბანში და დაიწყო ჩუ-
ხად ჭამა. სკაპდა და ფიქრობდა: გააზენდა მამის სახლი, წირ-
სული დრო, როცა დანივარდობდა თავისუფლად, აზხენად
სადილობდა ყანებსა და მინდვრებში. გიქორას ხსოვნაში გაი-
ღვიძა იმ საღამოს სურათმა, როცა მამამ გადასწყვიტა მისი
ქალაქში წამოყვანა, დედა კი სტიროდა და ეწინააღმდეგე-
ბოდა.

— დედიკო, ჩემო კარგო დედიკო! აღბად წინასწარ
გრძნობდა შენი გული, თუ რა მწარე იქნებოდა ჩემი ცხოვ-
რება ქალაქში! — ოხრავდა გიქორი, ილუქმებოდა და თან ემი-
ნოდა, რომ ბატონს არ მიესწრო.

მეორე დილას კი გიქორი ჩვეულებრივად იდგა ბაზარ
არტემას დუქნის წინ...

გიქორის მოვალეობა იყო—მღვარიყო დუქნის კართან და გამვლელ-გამომვლელისათვის ექო საქონელი და მუშტრები მოეწვია.

— რა კრიქა შეგიკრავს და გაჩუმებულხარ, დაუძახე მუშტარს, რაღა, შე ყურყურავ!

— მობრძანდიო, ბატონო, მობრძანდიო!... ეპატიეგზოდა გიქორი ხალხს.

ნოქრები გიქორის ქცევაზე იღრიჭებოდნენ.

რა ექნა! გიქორს უბრძანეს მუშტრის მოყვანა, ისიც დაურიდებლად კალთებს აგლეჯდა გამვლელ-გამომვლელთ და დაჟინებით იწვევდა დუქნისკენ.

ზაფხულშია, პაპანაქება სიცხის დროს, ისე დაიღლებოდა საწყალი ბავშვი, რომ ქანცმიღვლელს მუხლი ჩაეკეცებოდა და ზეზვეურად ჩაემინებოდა ხოლმე.

როგორც კი ჩაათვლემდა გიქორი, მისი ტოლ-აშხანაგები ხუმრობით ცხვირში ბურნუას შეუყრიდნენ. გიქორი წამოიჭრებოდა და ცხვირს დააცემინებდა. ეს ართობდა სიცხისაგან მოთენთილ ვაჭრებს და ერთი სიცილ-ხითხითი იყო ბაზაზხანაში. არტემა კი შეუტევდა:

— კიდევ დავგძინა? რა ვითბრეს? აკი მუშტრებისათვის უნდა დაგეძახა?

— მობრძანდიო, ბატონო, მობრძანდიო, — ბურტყუნებდა გიქორი.

დუქანში კი კვლავ სიცილი ისმოდა.

ერთხელ, ასეთ დაძახების დროს, გიქორმა თვალი მოჰკრა ორ გლეხს, რომელნიც მისი სახლიკაცები აღმოჩნდნენ, იცნო, გაეკიდა და კისერზე შემოეხვია.

— ბიჭოს! ველარ ვიცანი, — წამოიძახა ერთმა მათგანმა და მიმართა თავის აშხანავს:

— ბაღლო, შენ, კაცო, იცანი?

— თვალეზზე ვატყობ, ვინც არის, — თავმომწონედ უპასუხა გლებმა.

გიქორი მართლაც საშინლად გამოიკვლია: გახდა, ჩაშოქენა, თავის თავს იღარა ჰგავდა, ტანისამოსიც სხვათაირი ეცა და რა გასაკვირველია, რომ ძნელი საცნობი გამხდარიყო...

— კაცს დამზავსებიხარ! შენც, როგორი ტანისამოსი ატვია! თითქოს გაყოჩაღებულა კიდევ... აღტაცებული ამბობდა გლებკაცი.

— ეჰ, რაც გინდა სთქვი და ჰამომ გვაჯობა, ძმაო, ჰხედავ, როგორ კაცად აქცია თავისი ვაეი! ჩვენი შვილები კი მელორეგბად უნდა ჩაკედნენ.

გიქორმა სეტყვისავით დააყარა კოხეები:

— დედაჩემი როგორ არის? ბაღლები? რატომ მამა არ ჩაშოვიდა? ჩვენმა ძროხამ ხბო მოიგო? ხომ არაფერ მომკვდარა ჩვენს სოფელში?

— ყველანი კარგად არიან და შოგიკითხვს კიდევ — უპასუხეს გლებებმა, — მხოლოდ ლუკას ვაეი გარდაიკვალა და მოხუცმა მარტოიტამაც შენი ჭირი წაიღო, სხვა ყველანი კარგადა ვართ, ღვთის მადლით!

— რატომ მამა არ ჩაშოდის?

— თვითონაც ძლიერ უნდა, მაგრამ ხომ იცი, მარტოხელა კაცაა, ათასი საქმე აწევს კისერზე.

— არაფერი არ გამოგიგზავნეს?

— ფიე! თვითონ რა აქვთ, შენ რა გამოგიგზავნონ? ხომ იცი, რა დროა... წელს მოსავალი სრულდებით არ იყო, საცოდავი მამაშენი თავს არ იზოვავს, მუშაობს, წელემზე ფებს იღვამს და მაინც არაფერი გამოდის. განა ქალაქში გაქვია რაზე? ბირიქით, გროშები უნდა შეაგროვო და შენ დაეხმარო მამაშენს. აი, ეხლა სახელმწიფო გადასახადს სთხოვენ, მას კი ერთი სულის მეტი არაფერი აბადია.

— ჩვენები ხომ ყველანი კარგად არიან?



— კარგად კი არიან, მაგრამ აი, თქვენი მარჯვენა გულმოდარდა ბანიდან და მოჰყვდა.

— მოჰყვდა?

— უჰ, დედაშენი როგორ სტიროდა...

საუბრის შემდგომ ერთმა გლეხთაგანმა ამოიღო უბიდან წერილი და გადასცა გიქორს.

— აბა, რას დაგვაბარებ? ჩვენ ველარ განახავთ— დღესვე უკან მივდივართ. თუ რაზე გაქვს ჭისაგზავნი დედასთან და დებთან, ეხლავე გაგვატანე.

— რა გაგატანოთ? მე ხომ ჯერ ჯამაგირში არა ვარ? მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ის, რომ მე თვითონ მინდა წამოგყვით. დაბრუნება მინდა შინ... მომწყინდა...

— აი წამოური! ბიჭო, სოფელი გირჩევნია ქალაქს? იქ რა დავრჩენია? გვეგონა, დაქვეიანდი და ხალხში გამოხველი, სცხოვრობ ბატონიშვილურად, ახალ ტანისამოსში გამოწყობილხარ, ხელ-ფეხი სუფთად გაქვს; ჩვენ კი შენი იმედი გექონდა, რომ ეგება ჩვენი ვაყებიც და გვებინავებინა შენსავით, შენ კი— ვაიზე, ვაიზე— რატომ აგრე ლაპარაკობ, ბიჭო! სწორედ შენზეა გამოქრილი: „არა შეჯდა მწეწერი ხეა, არა იყო გვარი მისიო“. ასე ესაყვედურებოდნენ გლეხები გიქორს. ცოტათი გაუჯავრდნენ კიდევ, დაარიგეს, გამოეთხოვნენ და წავიდნენ.

გიქორი, დაბრუნდა თუ არა დუქანში, ამოეთარა დახლს და წერილს კითხვა დაუწყო.

13

„ჩემო საყვარელო შვილო გიქორ!

ქალაქ ტფილისში.

ჩვენ ჯანმთელად და ცოცხალნი ვართ, რასაც შენც გისურვებთ. ხელის ჩამორთმევეით და პირზე კოცნით მოგიკითხეს მამაშენმა, დედაშენმა, ხანიმ, მოსემ, მიკიჩამ, გალომ.

ჩემო შვილო გიქორ! ალბად შენც ვაიგებდი ჩვენს ვაჭირ-
ვებულ ცხოვრებას, გადასახადს გეთხოვენ, ფული კი არსაი-
დან არ არის. დედა და ზანი თითქმის შიშველნი არიან, და
ჩვენც ყველანი დიდ ვაჭირვებას განვიცდით... "შვილო გიქორ!
თუ რამე ფული გაქვს, ცოტაოდენი გამოგვიგზავნე, ტანსაც-
მელიც მოგვაწოდე, წერილიც გამოგზავნე შენს ყოფა-ცხოვ-
რებაზე. უნდა იცოდდე, რომ ჩვენი თეთრტუჩა ძროხა მოკვდა;
დედაშენი და ზანი თითქმის შიშველი დადიან"...

ამ წერილმა გიქორი ჩააფიქრა, ყოველივე სიტყვა სწვა-
და მის გულს.

„დედაშენი და ზანი თითქმის შიშველი დადიან... ჩვენც
ყველანი დიდ ვაჭირვებას განვიცდით!“

— ბიკო, დაუქავე, რაღა, მე შტარს! რას გაშტერებულხარ?
ყურუმსალო, ჭკუა-გონება ხომ ამ სოფლებებს არ გააყოლე? —
დაუყვირეს დუქნიდან.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! — გაჰკიოდა გი-
ქორა ბაზაზ არტემას დუქნის წინ.

14

დადგა ზამთარი. ქალაქი თოვლმა დაჰფარა. გაპარტახებულ
ვზოებში ქარი ზუზუნით დაჰქროდა და ქალაქის ღარიბ-ღატაკ,
ნოგანო ბავშვებს სტვენით ეხუტებოდა.

ქარმა გიქორიც მონახა.

სიფრიფანა ხალათის ამარა იდგა გიქორი დუქნის წინ და
კვლავ საცოდავად გაიძახოდა:

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით!

ქარმა უხილავი ბებუთოვით გიქორს ძელებში დაუბრინა
და საბრალოს ციება დააწყებინა.

გიქორი ისედაც დავრდომილი იყო, და ამ ვაკეებამ მთლად
დასცა და ლოგინად ჩააგდო.

15

ავადმყოფი გიქორა იწვა არტემას სამხარეულოში. ნო-
ხუცი ქალბატონი დღეში რამდენჯერმე შევიდოდა მასთან და
სიბრაღულთ შვითხავდა:

— ზომ არაფერი გინდა, პატარავ!

— წყალი!

მონუკი აწვდიდა წყალს, ავადმყოფი ხარბად ეწაფებოდა ქიქას, მოსვამდა და კვლავ სწყუროდა...

— შიგნეულობა მეწვის... წყალი კი რა ცუდია! ახ, ნეტა ჩვენი სოფლის წყარო იყოს... ნეტა ეხლა ჩემს სახლში ვიყო, დედასთან...

ბაზაზი არტემა ხათაბალაში გაეგბა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერ ნახა, რომ ჰამბო დაეგებებინა სოფლიდან... ბოლოს იძულებული გახდა ავადმყოფი გიქორა ქალაქის საავადმყოფოში დაეწვინა.

საავადმყოფოში მწკრივად იწვნენ ავადმყოფნი, რომელნიც ჰკენესოდნენ და დაუძღურებულნი ერთი-მეორეს საცოდაოდ გადახედავდნენ ხოლმე.

გიქორიც ამათთან მოათავსეს.

მამამ აქ იპოვნა თავისი შვილი.

— გიქორჯან, რა დაგეზარათა, შვილო! — ამოიოხრა ჰამბომ. სიციხიანმა გიქორამ ვერ იცნო მამა.

— ზე ვარ, შვილო, მამაშენი, ვერ მიცანი?

ავადმყოფი მაინც ვერ სცნობდა. გიქორი ბოდავდა და გაპიოდა:

— მიკი! ზანი, მამა, დედა!

— აქა ვარ, შვილო, დედამ გამომგზავნა შენს წასაყვანად. წამოხვალ? გინდა? მიკიჩა და ზანი ზანზე სხედან და გელთან, შვილო, თვალები დააწყდათ შენს მოლოდინში! გიქორჯან, ერთი სიტყვა მაინც მითხარი, გიქორჯან!

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — წამოიძახა ავადმყოფმა. გიქორი ლულულღებდა რაღაც გაუგებარ სიტყვებს და... იციწოდა...

რამდენიმე დღის შემდეგ ჰამბო შინ დაბრუნდა.

გიქორი ქალაქში დამარხა და მარტოკა მიდიოდა. ილღი-ღში განსვენებულის ტანისამოსი ამოეღო, რომ დედას, — ჩვეუ-

ლები მიხედვით — თავისი ვატი უკანასკნელად გამოეტორა. გიქორის ჯიბეებში იპოვეს ერთი მუტა ბრჭყვიალა დიღები, თერადი ქალაღდი, ჩითის ნაქრები და რამდენიმე ქინძისთავი, ალბად, თავის დის, ხანისთვის, აგროვებდა.

ჰამბო მიდიოდა ჩაუიქრემული.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამ გზით ჩავიდნენ ცქლოქში.

აი, სწორედ ამ ადგილას გიქორმა სთქვა: „მამა, ტეხები მტკივაო!“

აი, ამ ხის ქვეშ დასდნენ დესასუნებლად...

აი, გიქორს სწორედ ამ ადგილას მოსწყურდა წყალი: „მამა, წყალი შინდაო“...

აი, ის წყაროც...

ყველაფერი ისევ წინანდებურად დარჩა, მხოლოდ ის კი... აღარ არის...

მეორე დღეს, როცა ჰამბო უღელტეხილს გასცილდა, შორიდან სოფელი გამოჩნდა.

სოფლის საზღვარზე გიქორის დასახვედრად გამოსულიყვნენ: დედა, ხანი, მიკიჩა და მოხე, ხოლო პატარა ვალო, რომელიც დედას ხელში ჰყავდა აყვანილი, ენამოზღუქათ იძახდა:

— ცქლო გიქოლ, ცქლოა!...

ი რ ე მ ი

ერთხელ, შემოდგომაზე, ჩვენი სოფლის მონადირე ოსე-
ფამ ნაძვებით დაფარულ მთებისკენ სანადიროდ წამიყვანა.

აქედან ღამღამობით ორწოხებში ირმები ჩამოდიან, წაი-
ბალახებენ, განთიადისას კი მოსევამენ ანკარა წყაროს წყალს
და ისევ საკუთარ, მიუვალ ბუნებებში მიდიან.

ჩვენ მივდიოდით იმ ვარაუდით, რომ ღამე სოფლის გა-
ნაპირა მოსტანთან გაგვეთია შიძია ოვაკიმას კარავში, სისხამ
დილით კი სანადიროდ წავსულიყავით.

მივდიოდით: მე, მონადირე ოსეფა და ერთი ჩვენი სოფ-
ლელი ჯგელი ბიჭი, რომელსაც ოსეფას ბარგი მოჰქონდა.

ჩვენ მივდიოდით იმ განსაკუთრებულ აღტაცებით და-
ტვირთულნი, რომელიც, საზოგადოთ, მონადირეებს სჩვევიათ.

მივდივართ და ვმასღაათობთ ნადირობის შესახებ.

— ნადირის შეხვედრა ბედია, ყისმათი, — ამბობდა ოსე-
ფა, — მოულოდნელად გამოჩნდება და მოულოდნელადვე გან-
ქარდება. გამოუცდელი მონადირე თვალს ვერც კი შეაფლებს,
დაიბნევა, აღელდება და ნადირიც ხელიდან გაუსხლტება.
ჩემის აზრით, ნადირს დაინახავ თუ არა, მაშინვე ტყვია უნდა
დაუშინო, თორემ ვიდრე მიზანში ამოიღებ, ვიდრე თვალს
მოჭუტავ, — ის კიდევაც მთას გადაივლის.

— მაშ, ძია ოსეფ, როგორ ნადირობენ ხოლმე?

— კარგ მონადირეს დიდხანს არ სჭირდება ნადირის ძებნა:
კარგმა მონადირემ ნაკვალევით უნდა მიაგნოს ნადირს. მონა-
დირემ უნდა იცოდეს, სად იმყოფება ნადირი და რა დროს.
მივა დანიშნულ ადგილს და ელოდება. მაგრამ მონადირემ თუ

ყოლი და ძებნა დაიწყო—ამოა! მაშინ ნადირი უკილობლად შეიტყობს: ნადირს ისეთი განსაკუთრებული ყნოსვა აქვს, რომ... მაგალითად: თუ ქარი შენის მხრიდან უბერავს ნადირს—ის უეჭველად შეიგრძნობს და ყველაფერი დაილუპება.

ასეთი მუსაიფით უკვე შეუშინებლად მივუახლოვდით ოვაკიმას ალიაჩუბებს. მებოსტნე ოვაკიმას დაეგროვებინა კატაქი, დაენტოა ცეცხლი და გვერდით მოსწოლოდა.

— სალამო მშვიდობისა. ძია ოვაკიმ!

— გაუპარჯოს ძვირფეს სტუმრებს!! რა კაი დროს შემსწართ და... ვიწექა და ვუიქობდი: „რა კარგია ეხლა კარგი მოსაუბრე!“ თითქოს ღმერთმა მისმინაო... გახარებული დაფუსფუსებდა მოხუცი ოვაკიმა.

— შენ ეს გვიხარია, აქ მოგინადირობთ რასმე?—მოუთმენლად შეეკითხა ოსევა.

— როგორ არა! აი ჩემს ბოსტანს შემოეჩვია ერთი თხერი ირემი, დაღაბვროს ეშმაკმა, მთელი ღობიო გამიტიალა. მე კი არც თოფი გამაჩნია და არც ძაღლი მყავს... ირემი ზღთქი! ზის ირემი, ის ირემი კი არა—მთაა. რქები მუხის ოდენა აქვს.

— ეგ ერთი ირემი რა სათქმელია! შენ ეს მითხარი: საერთოდ აქ ირემების ყვირილი ისმის?...

— ისმის და ეგრე! მოსვენება პარმად გადამექცა, მთელი დამეები არა მძინავს. აი, წუხელიც ჩემი ბოსტნის ზემო მხარედან ისეთი ბლავილი ისმოდჯ, რომ მთელი დედამიწა ხანა ხარებდა.

— ღმერთო, შენი მადლის ჭირიმე!—სთქვა მონადირემ.

ძია ოვაკიმამ გაეგვიშალა ახალი თივა, თვითონ კი ისევ თავის ადგილი დაიკავა.

— ჩემის მოკლე ქუთით, ადამიანზე მკაცრი და უღმობელი არავინ არ უნდა იყოს დედამიწის ზურგზე.

— როგორ?

— როგორ და ისე. აი, ეხლა თქვენ... აგიღიას თოფები, მოღინაოთ და მოგინაოთ—მოეკლავთ ირემსა და ნანადირე-



„ვით დაფოკდებოთო, ირემიც ზომ ისეთივე სულდგმულია, როგორც თქვენ? აი, ცისმარე ღამე ირემი რომ სეფდლიანის ხმით გასძახის ამ არეს—ფეიქრობ ხოლმე: ისიც ზომ ეძებს თავის გულის მურაზს? იმასაც ზომ უნდა სიყვარული და ბედნიერება?“

— აბა, ერთი წიდეფ შემოსძახოს! მე ვუჩვენებ სიყვარულს და ბედნიერებას—დაცინვით შეესიტყვა მონადირე.

— ცოდვია, ხალხო, დიდი ცოდვია!—თავის ქნევით ამბობდა მოხუცი ოჯაქიმა და ხმამაღლა განაგრძობდა:

— აი, რაკი სიტყვამ მოიტანა, გვიამბობთ ერთ შემთხვევას.

— გვიამბე! გვიამბე!

— ერთ ზაფხულს შთაში მომიხდა ყოფნა. სახლიდან მაკნობეს, ჩემი შვილიშვილი ავად გამხდარყო და ჩემი ნახვა მონატრებოდა. ჩამოველ ბარში და სახლისკენ გავწიე. უცბად გამეხაზრა: მოდი, გავინადირობ, იქნება შევხვდე ჩემს საკბილო ნადირს მეთქი... და გზას გადავუხვიე. ვიხეტიალე. ერთი ცენახოთ, ტყის ბუჩქნარებიდან რაღაც ფაჩიფუჩი მესმის. ტოტები შეირბა. შეეფიქრიანდი: „შრიალი როგორღაც შაშვისას არა ჰგავს და თუ რამ ნადირია, რატომ ვერ ვხედავ?“ ბუჩქში ქვა გადავისროლე. დავინახე ირმის კობტა წაწალი, ყურები აეცქვიტა. ბუჩქი ისევე ატოყდა და შევატყე, რომ ირმის წაწალი გაქცევას ამირებდა; მოვიმარჯვე ჩემი ორღულლიანი თოფი და დავუმიხნე. თოფის დაცლა და ნადირის წაქცევა ერთი იყო. დაქრილმა მომაკვდავ ბაღლივით დაიწყო კრემლევა და კენესა. ძველ მონადირეთაგან გამოგონია, რომ ასეთ შემთხვევის დროს თუ დედაირემი სადმე მახლობლად იმყოფება, შვილს უთხოვდ მოხედავსო. მეც ბეს მოვეფარე და სულგანაბლლი წუცილიდი დედაირემს. აღარ მახსოვს რამდენხანს გასტანა ამ ლოდინში... მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დედაირემმაც არ დაიგვიანა... არა, ძმაო, ღმერთმა ყველა სულდგმული დაიფაროს იმ სანახაობიდან. იგი მოდიოდა, როგორც დედაკაცი, რომლის შვლიც უკანასკნელ წუთებს განიცდის და საჭიროებს დედის ნუგეშს. მოვიდა დახედა თავის უსულო ნაშობს, რომელიც მთლად სისხლში იყო მოთხრილი, დაი-

წყობა საცოდავად კენესა და თან უნით ჭრილობებს უღლოკავდა. ავიღე თოფი და უსიტყვოდ შინისკენ გავეწიე. მიველ შინ და რას ვხედავ: შეილიშვილი სულთმოპობავეა და ჰკენესის. არ დაიჯერებთ, ხალხო, მამაზეციერი მრისხანედეს, თუ ვსტყუოდე: ისე ჰკენესოდა ის ბავშვი, როგორც დაჭრილი ირემი. თვალვინს რომ ვხედავდი, ჩემი თავი ტყეში შეგონა. ბავშვი გარდაიცვალა. დედა მივარდა და დაიწყა საზარლად ქვითინი. დიდება შენს ძლიერებას, მაღალო ღმერთო, აბა რა განსხვავებია ჩვენსა და პირუტყვთა შორის? არაფერი, იმათაც ისეთივე განცდა აქვთ, როგორც ჩვენ, იმათაც ისე შესტკავათ გული, როგორც ჩვენ...

ამ მძიმე შთაბეჭდილებით ჩვენ რამოდენიმე ხანს ჩუმად ვიყავით.

— ძია ოვაკიმ, აშბობენ, რომ ირებსაც ჰყავს თავისი მფარველიო, მართალია? — შეეკითხა მებარგულე ყაზარა.

— მართალია, შეილო, ირემს ძლიერი მფარველი ჰყავს...

— მართლა?

— მაშ!

— ფირუმა ხომ ვაგიგონია? თავის დროს ის გამოჩენილი მონადირე იყო, იმის წასროლი ტყვია მიწაზე არ დაცემულა, პო-და, აი, ერთხელ ფირუმამ დასჭრა ირემი, ირემი გარბის, ფირუმა მისდევს. რაღა თავი შეგაწყინოთ, როგორც იყო, ირემი მიუახლოვდა ჩვენს „სახატე“ მუხას და მის ძირს ჩაიჩოქა*). ფირუმამ მაშინვე თოფი დაუმინა... მაგრამ უეცრად შიხა შეირხა, ვაილო კარი და მუხის ღრუდან გამოვიდა უმშვენიერესი ქალწული, რომელმაც მონადირეს ასე მიმართა: „პოი, უგულო ადამიანო! რა დავიშავა ამ უმანკო ქმნილებაში? რატომ სდევნი, თვალნარბო, გაუმაძლარო! კრულვა შენს სახელს! შეგახმეს მარჯვენა, რომლითაც გიჭირავს თოფი!“

*) ხალხში არის ვაერცულებული ერთგარი ცრუმორწმუნებთა დიდებან-
ვან ხეებს (მაგ., კაცის ხეს, მუხას და სხვ.) ანიჭებენ რაღაც თილისმა ძალას,
ხალხი ამისთანა ზეს არ ჰკადავს, ღვთობილდება, ეთავყავება, და ზოგჯერ საშო-
ცელოდაც აქვთ გადაქცეული.

ფირუშა ჭყვიანი კაცი იყო: მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე: ეს იყო მფარველი ირემისა. მონადირემ ხელად თოფი ჩირგვებში გადისროლა და... ჩირგვი ქალის წყევლამ მაშინვე გაახმო.

— აი, ეხლა შესის, ძია ოვაკიმ, თუ რად ამბობენ: ნადირობა დაწყველილი ხელობააო.

დაწყველილია, მაშ? ნადირობაც და თევზაობაც ორივე დაწყველილია. ეს ახალი ამბავი კი არ გეგონოთ: ყველა მონადირე უხსოვარ დროიდანაა დაწყველილი. მონადირის და მებაღურის ვული არასოდეს არ გაძდება. „ასლია ქაარიმას“ ამბავი ხომ იცით?*) ერთხელ ქაარიმაც დასწყველა მონადირეები, როცა ქაარიმა დამწვარი ვულით და სევდის ჩრდილით დასველებული ექებდა თავის ასლის, — შეხვდა დაჭრილი შველი: საბრალო ცხოველი ტანჯვით ჰკვდებოდა, ხოლო ნუკრი თვალეხში მუდარით შესცქეროდა. ეს რომ ქაარიმამ დაინახა, აიღო თავისი სახი და პატარა შიირი გამოსთქვა.

ჩვენ შევეხვეწეთ ძია ოვაკიმას, რომ „ქაარიმას ლექსი“ ემღერა. ძია ოვაკიმამ ხათრი არ გაგვიტება და თავის ვაზხარული ხმით გვიმღერა ეს ლექსი:

„ეხლა თქვენც ისმინეთ! ამ შთების გრებილებს
 ოხ, ბერჯერ ასწენია ამბავი ძველი:
 ერთ ხერხეულს გახფებულს მე ავიდონ ვიხილე —
 ამ შთებში სტიროდა დაჭრილი შველი.

სასტიკი ხუმრობით მსბურპლად დაჭრილი
 სტოვებდა ნუკრებსა: „აწ ველარ გიშველი.“
 კენესით და ყვედრებით სისხლში დაფერილი,
 ამ შთებში სტიროდა დაჭრილი შველი.

რად გინდათ, ღვთიანო, საზრდოთ ხორცეული?
 თოფს რისთვის ეხება ეაჯაკის ხელი?
 ისმინეთ, რას ამბობს ქაარიმა ვული:
 ამ შთებში სტიროდა დაჭრილი შველი!“

*) „ასლი და ქაარიმა“ ვახანტურბული სპარსული ლექსებია, რომელშიც მზატვრულად ასახულია ორი მიჯნურის დაუშრეტელი სიყვარული, — როგორც, მაგალითად: „ლეილა და მეჯნუნი“, „ვისი და რამინ“, და სხვ.

ყველამ დაიძინა. ჩემს თვალს კი რუსული აზრები ეჩვენებოდა. ხაზად მოსულ იდამიანს ამისთანა ადგილებში ღამით ადვილად არ დაეძინება: მას ესმის თიანთიერი ხმაური, თიანთიერი სურათი ეშლება თვალწინ.

როცა ქარი სიპინდის ფუჩქებს აშრივებდა, მე ოვაკიძის ბოსტანში გადაბოჯული ირემი შეგონა... ღამის წყვედიადში ვამჩნევდი რაღაც ჩრდილებს, რომელნიც თითქოს ჩემსკენ ირხეოდნენ. ვერ დავიძინე. დავტოვე ოვაკიძის სადგომი და გარეთ გამოვედი.

შემოდგომის წყნარი ღამე იყო. სიცივე თანდათან მატულობდა. მთა-გორებს ისევე წყნარად ეძინათ, როგორც ჩვენს მასპინძელს ოვაკიძეს.

ყაჩაღების ვარსკვლავი უკვე ამოსულიყო*), გამგზავრების დრო მოვიდა. გავალციე ჩემი შეგობრები, რომელთაც საჩქაროდ ჩაიცივეს ქალაქები და გზას გავუდგეით.

ჯერ განთიადი ირც კი მოახლოვებულყო, რომ ჩვენ უკვე თოვთომარჯვებულნი ჩავსაფრდით.

ჩვენ წინ მოსჩანდა დიდი და უტეხი ტყეწი.

ჩრდილი ნელინელ თეთრდებოდა. კლდეებმაც შრისხანედ გადაიხებდეს. ცა გაფერმკრთალდა. გამოჩნდა ვარსკვლავი აბიროზი, დაპჭერა დილის სიომ. ყვავილებმა დაარხიეს თავი ი თაებნი. ფოთლები აშარიშურდა. ტყემ გაიღვიძა. ბუჩქებში გაისმა ჩიტების ყვილი.

ჩემდა უნებურად მოვშორდი სიფარს და მოჯიდოვებულნი ბრგვლივ ვიკტირებოდი. ვხედავდი ბუნების ბედნიერ მეჯლისს: ვხედავდი განთიადს.

*) „ყაჩაღების ვარსკვლავი“ ეძახიან იმ ვარსკვლავს, რომელიც განთიადს ვარსკვლავის წინაშობრდება, ამ ვარსკვლავს ალტრელად მჭიან „ქარბან-ქარანი“ (ქართულად „ხარბარია“), შექარავენო, — რომელიც ცას შესკტირთან და ვარსკვლავებთ სენობენ დროს, — ერთხელ ანე მოსტყუედნენ: ეს „ყაჩაღების ვარსკვლავი“ მიიღეს თლომე განთიადის ვარსკვლავად: აივარა ქარაენი და გაუდგა გზას, მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ შუალამე იყო, ყაჩაღებმა იპარკებულს სიბნელით, დაეცნენ ქარაენს და გამარკვეს. მას აქეთ აღმოსაფლეთში ამ ვარსკვლავს — როგორც მაცოდუნებულს — „ყაჩაღების ვარსკვლავს“ ეძახიან.

უცხად მომესმა ხმაური. ტყეში, ცოტა მოშორებით, გაისმა მოტეხილი ტოტის ტყაცუნი... მივიხედე. ტყეში ჯერ კიდევ ბნელოდა, თვალით ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ მესმოდა კი ფრთხილი ნაბიჯები. გავიგონე ხველი ჩინჩხვარის მტყრევა, ვგრძნობდი, რომ ვიღაც მიხსლოვდებოდა. აი, გამოჩნდა კიდეც.

მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიხილე თავისუფალი ირემი ბუნების მშვენიერ წიაღში! იგი მოდიოდა, როგორც შეფე — შედიღური, ამაყი, ამპარტაფანი...

ის ნაწილობრივ იჩრდილებოდა ტყის სიბნელით. "შეჩერდა. ჯერ თავი დახარა, დახედა მიწას, მერე გარშემო და იმართა და სინარჩართი ჩემსკენ გადმოიხედა.

ეს გადმოხედვა არასოდეს დამავიწყდება. მე შევეკრთი. სრულიად დავიფანტე. ვცადე თოფის დამალვა... მაგრამ როგორც კი შევტოკდი, ნადირმა კისერი მიიბრუნა და გაქცევას ლამობდა. ამ დროს იგრიალა ოსეთას თოფმა და ტყეში საშინელი ტერციალი გაისმა.

ირემი გარბოდა.

— აი, ამოგივარდეს ოჯახი! — მისაყვედურა ოსეთამ და აფარდა კორღზე, რომ აქიდან უფრო ადვილად დაენახა გაქცეული ნადირი.

გათენდა.

მწვანე ბალახზე შევამჩნიეთ ხასხასა სისხლის კვალი.

ირემი დაქრილიყო.

გავყვივით ნაკვალევს.

— ჰხედავთ, რამდენი სისხლი დაუკარგავს ირემს? აშკარაა, ვხლა ხელიდან ვეღარ წაგვივა, — დაასვენა გახარებულმა ოსეთამ.

თითქმის დასალამოვდა, როცა მივაგენით ტყის სიღრმეში მწოლარე ირემს. ირემმა ჩვენსკენ გადმოიხედა. ვხედავდი, როგორ უბნებდებოდა თავის აწევა. თრთოდა, გვიცქეროდა ამღვრეტელ თვალებით. თითქოს უცხად მიხედა რაშიც იყო საქმე, დააპირა წამოდგომა, მაგრამ ისევ ჩაიკეტა თავის სისხლის მო-

რევში. მომაკვდავს აღმოხდა საშინული კვნესა, რომელშიც

ნართული იყო ტანჯვა და საყვედური ამ წყვეულ ქვეყნისადმი.
მონადირე მივარდა... შე მინდოდა რალაცა მეთქვა, მაგრამ მოკრძალებული ვიდექ ერთ ადვილს... ოსეთამ თვალის დაბამხამების უშალ სტაცა ირმის თავს ხელი და მშენიერი კისერი მოუფრიალა... შე კვლავ მინდოდა ჩაგრულიყავ, მაგრამ გვიან-და იყო... ოსეთამ იზიშელა ხანჯალი... შე პირი მივიბრუნე, ვითომ მთებს ვუცქეროდი. მომესმა ყრუ ხრილი. არ ეიცი რად, და იმ წუთში, თავში გამიელვა სიკვდილ-სიკოცხლის საკითხმა.

ო, რა საზიზღრად მომეჩვენა ეს წუთისოფელი!...

საწყალი პაცის პატიოსნება

სოფ. ღ-ში სცხოვრობდა ერთი საწყალი — ვაცვი, სახელად სიმონა. იგი სასოფლო სიჭინებში არ ერეოდა. აღბად გრძნობდა, რომ მის სიტყვას არავითარი გასაყალი არ ექნებოდა და იყო თავისთვის, განმარტოებული.

სიმონას ავლადიღება ერთი წაბლა ძროხა და ლამაზი ცოლი იყო. სიმონას ცოლს მეზობლებში ლაზღანდარობა და ქორიკანობა არ უყვარდა: იცოდა, რომ მდიდარ მეზობლებს იგი არაფრად ებრინებოდათ და თვითონაც შორიდებული იყო.

კაცმა რომ სულქვეშა სთქვას, ცოლ-ქმარს არც კი ესაქიროებოდათ სხვათა კარების აჯალღინება.

როცა ხენათგვის დრო დადებოდა, სიმონა მოურიღებოდა ისეთ გღენს, რომელსაც ხარები ჰყავდა, შურმა მისი, საქონელი სთვის, — და ამგვარად სიმონა ჯერ მეზობლის მიწის დაიწეშავებდა, მერე კი — თავისას.

ზოგჯერ კი, გაქირვების მცხედვით, ღობის შემორაგვისაც კისრულობდა, მეზობლებს ფიცრებს უზღიდვდა, თევზობდა, ერთი სიტყვით, ჩვენი კეთილი სიმონა არავითარ საქმეს არ ერიდებოდა და სცხოვრობდა თავისთვის, ჩუმაღ და ყუზად.

აღბად ამიტომ იყო, რომ არასოდეს არც კარგი მებაღური ყოფიღა და არც ხეირიანი კალატოხი.

გარდა ამისა, ერთი ნაკლი ჰქონდა: სუდილობდა, ოხუნჯი ყოფიღიყო, კილიკი, შქერმეტყველი, მაგრამ ეს დარგი როგორღაც არ ეხერხებოდა. ამის გამო სოფღღეღები ტუტუტუ სიმონას ემახღღენ.

— ერთხელ, — ამბობდა სიმონა, — ერთ ბატონს კედელი აფუშენე... გაეთავე თუ არა მუშაობა, ეუთხარი: ბატონო,

შაბაშის დროა, უნდა გიახლოვ. მიზოძეთ, რაც შეგვგება! პატრონმა ნამუშავეარს ახედ-დახედა და მიპასუხა: „თუ ბიჭი ხარ, ამაღამ ამ შენი აშენებული კედლის ძირში ღამე გაათიე, ხეალ დილით კი გასამჯგლოსაც მიიღებ, მაღარაჩიც გერგება და მერე კი ნება გაქვს, სადაც გინდა იქ წაბვიდე!“ მე, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი, გიფი ხომ არ კიყავი? ერთიც ვნახეთ, ჩემი აშენებული კედელი თავზე დამნგრეოდა. მივაფურთხე ყველაფერს და სახლისკენ გამოვწვი.

მაგრამ ყველა ხომ ამისთანა პირობის შესრულებას არა თხოვლობდა! თუ ისეთი დამჭირავებელიც, რომელიც სიმონას თავის ახზე მეტსაც აძლედა, რისაკვირველია, მისი ოხუნჯური ლაპარაკისათვის.

სიმონა და მისი ცოლი სუბოვრობდნენ თავისთავის ბედნიერად და ღმერთს მადლობას სწირავენენ, რომ ერთი ლუკმა პური მათ ყოველთვის გამოუღლეველი ჰქონდათ.

სიმართლე უნდა ითქვას, ამ ბედნიერების მიზეზი სიმონას არხინი გული იყო. თვალხარბ მეზობლებს ესეც კი ჰშურდათ!

— ასეა, ძეო, — ამბობდნენ სიმონას მეზობლები, — ჩვენ ამდენს ვმუშაობთ, წელებზე ფებს ვიდგამთ, დუქანიც გვაქვს, სახნავ-სათესიც და მაინც ვაინაჩრობით ძლიერს გამოვდივართ. სიმონას საქმე კი პირდაპირ საოცარია: საქონელია და — არ გააჩნია, ჯიბეში გროში არ უჭყავის, თავში ტკუა არა იქვს და ჩვენზე უკეთესად კი სუბოვრობს!

ესე შურდათ მეზობლებს სიმონას კეთილდღეობა და მაინც ტუტუცს ეძახდნენ.

— შენ ტუტუც სიმონას ოდენაც კი არ შეგიძლიან, — ესაყვედურებოდნენ სოფლის დედაკაცები თავიანთ ქმრებს, — ჰხედავ? სიმონამ ხამ-სამი კაბა უყიდა თავის ცოლს... მიშველ ფებს შიწახე არ აკარებინებს...

— სამაგიეროდ იმის ცოლი ღამახია. შენ კი არა გვავს — ფეთხუშო! — ხუმრობით უპასუხებდნენ ქმრები თავიანთ ცოლებს.

მართლაც და, სიმონას ცოლის სინატიფე ღვთის წყალობა იყო ამ ღარიბ ქობში. ის აშოლტილ პუმბულს ჩამოჰგავდა,

მორცხვად რომ უბრალო ბუნების ძირის ჰყვებინს, ჰყვებინს და სრულიად არა ფიქრობს, რომ სხვა, მინდვრის უშნო ყვავილები უყვითვეს პირობებში ჰხარობენ, რომელიმე თეთროცა წყაროსთან.

ჩვენი სუმბულისთვის საკმარისი იყო ცოტაოდენი მზის სხივი და თბიერება...

ამ მორცხვი ლამაზის სახელი დამაფიქვდა!...

სოფლის ბიჭებმა კი მეტ სახელად „გემრიელი ლუკა“ დაარქვეს.

სოფლის ახალგაზდობა სიმონის ცოლს თვალისა სქამდა. ცოლმა რამდენჯერმე შესჩივლა ქმარს:

„წყაროსთან ყაზოანთ გალუსტა დამხედება, დამაცქერდება და ამოიხრებს ხოლმე: „ლუკა, შენი“...“

„ვართუმანთ ფილო კი ჩვენს ჭიშკართან დამხვდა და თვალით რაღაცა მანიშნაო.“

„მიოხანთ არაჯელა გზაში ყასიდათ დამეჯახაო!“

— ნიჭივე ხილს შუღამ ქვებს ესერიან; ქალთა მოდგმის ბრალია; მეც ხშირად ასე მოექცეულვარ სხვა ქალებთან, — უპასუხებდა სიმონა.

როცა ოსტატ სიმონას თავის სოფლის გარეთ სამუშაოდ წასვლა მოუხდებოდა, — ყოველ შემთხვევისთვის, სიმონას ცოლთან ღამის გასათევად მუშობელ აკოფას პატარა ქალი რჩებოდა.

ღამ-ღამობით, ვიდრე დაიძინებდნენ, სიმონას ცოლი თავის პატარა რვა წლის მეგობარ მარუშას უნებობდა თავის საყვარელ ზღაპრებს: „ზურმუხტ ჩიტუნიაზე“, ან და — ვრთხელ დედინაცვალმა შვიდი გერი ორმოში როგორ ჩაჰყარა და ზევიდან წისქვილია ქვა გადააფარა, მაგრამ ბევრები არ დაიხოცნენ — ჭიშკის მკაულობდნენ, იპით იკვებებოდნენ, მიწას სთბრიდნენ და ბოლოს ქვესკნელის ერთ ზღაპრულ ქვეყანაში გაჩნდნენ. კადვე ბევრი არაკი იცოდა სიმონას ცოლმა და ამ ტკბალ ზღაპრებში ორბევს ტკბილად ჩაეძინებოდათ ხოლმე.

II

აი, დარაბებშიხურული სიმონას პატარა ქოხი. ღამე ძილივით წყნარია და სიზმარივით ჯადოსანი.

ასეთ ღამეს არაბეთის ძველ ზღაპრებში თუ შეხედება კაცი. მეყვსეულად ორი აჩრდილი გაშრილდა ხეებში და მიუახლოვდა სიმონას სადგომს.

ძნელი სათქმელია, რა განზრახვით მიიბარებოდნენ, ეს კია, რომ სიმონას სახლის კარები უცბად შეამტვრიეს.

შიგნიდან მოისმა საშინელი კივილი და ქელის ხმა: „ვინა ხართ?“, „რა გინდათ?“

კარი უცბად მიიხურა... ხმაურობა მინელდა...

ამ ღამეს ჩვენი სიმონა სხვა სოფელში იყო წასული, სადაც თონე უნდა შემოეღვსა და, აღმად, საწყალი ცუდ სიზმარს ნახავდა...

III

იმის შემდგომ, რაც სოფლის სასამართლომ სიმონას საჩივარი მოისმინა, რიგი ეწინააღმდეგებოდა, რიგი არცხვენდა, რიგი დასცინოდა; საერთოდ კი კველა ამ „ქუქუციან საქმას“ მოსპობას ურჩევდა.

— პო-და, თუ თქვენთვის ასეთი საქმე სასურველი არ არის, გაგვასამართლეთ, თორემ მე თვითონ გავუშკლავდები ყველას... ღრიალებდა სიმონა და ხიბრაზისაგან თვალებიდან ნაბერწყლებს აფრქვევდა. პატარა შარუშა კი გვერდით ამოსდგომოდა და ქვითინებდა.

— ყურებზე ხახვი არ დააჭრა, აი!— დასცინოდნენ სიმონას და ხამუშ-ხამუშ გადახედავდნენ ბრაღდებულს...

ბრაღდებული იყო ამ სოფლის თავხეხელადებული ერთი მოქვიფეთაგანი.

ლოთ სადროს— ასე ვხახდნენ სოფელში დამნაშავეს— ეცვა შალის ჩოხა, ნაოქიანი წადები, ქუდი გვერდზე აქონდა მოგდებული დარღვიანდულად, ყელს კი წითელი ბადღადი უშშევენებდა. იდგა შორიახლოს და სიმონას ზეპარაზე დაცვა-

ვით იღიწებოდა. ამ ფაქტთანს გარს შემოჰხვეოდა თავისი ჰამ-სონები, რომელნიც სერიის საყურებლად მოსულნიყვნენ.

— მოკლავ და მერე თქვენ იქნებით პასუხისმგებელი, — კვლავ განაგრძობდა ყვირილს სიმონა. მაგრამ მის გაცოდებას ყურადღებას არავინ აქცევდა.

— თუ მაგდენი შეგიძლიან, შე ჩერჩეტო, ის არ გერჩიენა, ცოლისთვის გვგდო ყური? — ჩაერიო ვიღაც ლაპარაკში და სავრთო სიცილი განიფიქია...

— ნუ იზამ მაგ ხაჟმეს, ახალგაზრდაა, რათ უნდა მოჰკლა? შეიბრალებ, — დასცინა ვიღაცამ და კვლავ სიცილი ასტყდა გარშემო.

სოფლის მამასახლისი კი ამ დროს ხან დაყვავებით, ხან ხუპრობით, ხან გაბრაზებით უჩრევდა სიმონას: „არა ღირს ამ ჭუჭყიან საქმის გამოკიდება და სჯობს თავი დაანებოო!“

— ვამბობ, რომ სისხლი დაიღვრება... უფკველად დაიღვრება, — დაბუჯითებით გაიძახოდა სიმონა. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ საშონა ერთი ბეჩავი კაცო იყო და ამდენი არ შეეძლო.

სან დროს ერთმა ამხანაგთაგანმა მამასახლისი გაიხმო განხე და რაღაცა ჩასტორჩულა, მამასახლისმა თავის მხრივ ჩუმად რაღაცა უთხრა სიმონას.

— არ მიინდა! — შეჰყვირა სიმონამ და ხელიდან გაუსხლტა მამასახლისს.

— თუ არ გინდა, მაშ მომგვარე შენი მოწამეები — მე საქმეს განვაგრძობ...

სიმონა არ შეკრთა.

— აი, მოწამე! თამამად მიუთითა მარუშაზე.

— ეგ ბაღლია! კანონის ძალით მცირეწლოვანთა ჩვენება მიუღებელია.

— ჩემმა კოლნა ხომ იცნო ეს არამზადა?

— შეიძლება შენი კოლი ხტუთის? კანონის ძალით ყოველი საბუთი უნდა დანტკიცდეს. მოჩივარის მშრილ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — განაგრძობდა მრისხანეთ მამასახლისი.

გაათრებული სიმონა ის-ის იყო უნდა მივარდნოდა მაშასადლისს, მაგრამ ძლივს შეეკავა თავი, პოლოს სასოწარკვეთილმა ჰკითხა:

— მაშ რა წყალში ჩავარდე? რა ვქნა?

— საქმის მდგომარეობა მოითხოვს გამოძიებას: მე შენი ცოლი შესამოწმებლად ექიმთან უნდა წავეყვანო...

სიმონას ელდა ეცა. სისხლი თავში აუფარდა. აღარ ახსოვდა სად იყო. ითასი პოროტი ვანზრახვა დაეძადა თავში.

— მაშ, წადით-და მომიყვანეთ ის ქალი, — ბრძანა მამა სახლისში.

ასტყდა ჩოჩქალი. ზოგი მამასახლისის აშოშშინებდა, ზოგნა ვზირი დააბრუნა ვზოდან, ზოგი კი სიმონას ლანძლავდა, რომ მისი საქმე ქუჩის ბაირალი გახდა...

პატარა მარუშა სიმონას ჩოხის კალთას ებლაუქებოდა და შიშისაგან იქეთ-იქით თვალებს იცეცებდა.

ამ დროს იმ ოთახში, სადაც საქმე ირჩეოდა, შემოგორდა ხოფლის შეძლებული მეფახშე — ილა პეტროსა.

— რა ამბავია? რა დრინაცელი გაგმართათ? — შიშართა ილა პეტროსამ ხალხს ისეთის განცვიფრებით, თითქოს ამ საქმის ვითარება პირველად ესმოდა.

ილა პეტროსას ყველაფერი უამბეს, მან თავი გადააქან-გაღმოაქანა და მიმართა ხალხს.

— მშ! თქვე ურცხვებო, აგილიათ თავი და სერს უყურებთ! რა ამბავია, რა ღმერთი გიწყრებათ?

გლეხებმა ამ სიტყვების შემდეგ თითქოს მართლად დაირცხინეს და თავები ჩაქინდრეს.

ერთი ამას დამიხედეთ და — ილა პეტროსამ ხელი გაიშვირა სიმონასკენ — რომ არც-კი სცხვენინ? ცოლის სახელი სოფლის საჯიჯგნი გახადა.

— მაშ როგორ გნებავთ? გაჩუმდე? ჩემი პატიოსნება შელახონ და გაჩუმდე? თავზე ლაფი დამასხან და გაჩუმდე?

— მაშ, რას აპირებ?

— სისხლს დავღერი! სისხლს დავღერი! — იი რას ვაპირებ!



— თქვენ, ეი! — მიმართა მამასახლისმა გზირებს — არ გაიგონეთ, რაც გიბრძანეთ? წადით და ამ წუთშივე აქ მომიყვანეთ ამისი ცოლი.

— შეჩერდით! — მრისხანეთ წარპოსთქვა ალა პეტროსამ. ხმაურობა ისევ მიწყნარდა. ალა პეტროსამ და მამასახლისმა ერთმანეთს რაღაც გაუზიარეს. ხალხი ისევ აჩოქებოდა.

— გაჩუმდით! თქვენ რაღა ბაყაყების წირვა დააყენეთ? ხალხის დაწყნარებისთანავე ალა პეტროსამ მიმართა დამნაშავეს:

- სანდრო, მოდი აქ.
- სანდრო მიუახლოვდა.
- ამოიღე ხუთმანეთიანი.
- ტყუილად რად ამოვიღო?
- შე შენ გეუბნები, ამოიღე მეთქი.
- ვა, რისთვის უნდა ამოვიღო?
- ისე, ხათრისათვის...

სანდრომ ფული ამოიღო და იღას გადასცა. სანდრომ ეშმაკურად ჩიციკინა უღვავებში და ამხანაგებთან მისვლა დააპირო...

- მოიცა! სად მიხვალ? სიმონ, შენც აქ მოდი!
- არ მოვალ! ეგ საკადრისი საქმე არ არის; მე ჩემი პატროსნება არც ფულით შემიძენია და არც ფულზე გავცვლი.
- მოგვიახლოვდი!

— ეთქვი და გავათავე — არ მოვალ!

— აკი ვითხარით, მომიყვანეთ მეთქი მავისი ცოლი, ვხუმრობ, თუ როგორ არის თქვენი საქმე? — ჩაერია ისევ მამასახლისი.

— მოიცაჲ... ნუ მიდიხართ! სიმონ, დამიჯერე, ბიჭო, მოდი ჩემთან!

- მიდი რაღა, გამოაბრთვი ის ფული...
- რა დიდი საქმეა, გადადგი ნაბიჯი.
- შე ტუტუტუკო, ხუთი მანეთი ხუმრობა ხომ არ გგონია? ჩაიდევ ჯიბეში და მოუსვი სახლისაკენ.

— მთელი წელიწადი რომ გემუშავა, მაინც ამდენს ვერ იშოვიდი.

საწყალ სიმონას ასეთი წაქეზება ყოველი მხრიდან ესმოდა, მაგრამ სიმონა ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ ძალისძალათი წაავდეს წინ და სანდროს დაუპირდაპირეს.

აღა პეტროსამ შეაერთა მათი ხელები, ფული მუტაში ჩაუტენა და დაიდრიალა:

- აბა, ეხლა პროშტი! პროშტი!
- პროშტი! პროშტი! — ჰყვიროდნენ სოფლელები.

სიმონამ შეუფხვებლად წაბარა თავი წინ და როცა იმის ტუჩებს სანდროს ტუჩები შეეხო, თავში რაღაცა ახრჩა გაურბინა... ცოლის ტუჩები გაახსენდა...

- აი, ყოჩაღ!
- გაამოთ!

შერიგება მოხდა.

როცა სასამართლოში მსჯელობა სხვა საქმეებზე გადავიდა, სიმონამ მარუშას ხელი ჩააფლო და დარბაზი დასტოვა.

— „შე კი ერთ თუმანს მივცემდი!“ — მოესმა სიმონას ვილაცის ხმა.

ახმაღ

პატარა მოგონება ძველი დღიურიდან

1

როცა პატარა ვიყავი, ყოველ ზაფხულს მთებში ვატი-
რებდი.

ძალიან მიყვარდა ჩემი დიდების სახლი.

მყავდნენ ბიძებიც.

მამაკაცებს შორის ჩვენს ოჯახში ყველაზე უმცროსი ახმაღა
იყო: ახმაღა—მწყვდისი.

ახმაღს ხშირად დავყავდი ცხვარში.

ღამდამობით კი, — ცხვარი რომ ფარეხში დაბრუნდებო-
და, — ახმაღა ჩემთვის საღაინურს უკრავდა.

ვარსკვლავოსან ღამეს კი დიდი ცეცხლის გარშემო პაპა-
ჩემი და ბიძები ტაშს უკრავდნენ, მუ კი პღველსავეით ეტრია-
ლებდი და ვცეკვავდი.

ახმაღა თათრის სახელდა.

ღორის შორეს რომ ეჭაშდით, სახლში მყოფნი, იცინოდ-
ნენ და ახმაღს ებუძრებოდნენ: „გაქრისტიანდი, ბიჭო!“ „გა-
ქრისტიანდი, ბიჭო!“

ვინც წვენი მწყვდისის სახელს ვაიგონებდა, რა თქმა უნდა
იტყოდა, ახმაღა თათარიო! მაგრამ, აბა, შემოასულიყვნენ ჩვენს
ოჯახში? ყველანი დარწმუნდებოდნენ, რომ ახმაღა— მსახური
კი არა— ჩვენი ოჯახის შვალი იყო.

ზართლიც და ახმაღა ჩვენთან ოჯახის წევრივით იყო: ვი-
სიც მოსიზრებდა, სახლში შემოიპატიებდა, უმასპინძლდებო-
და, ერთად ღროს ატარებდნენ. როცა მათხოვარი ჩვენს დე-
რეფანს მოადგებოდა, ან მეზობელი პურს დავეცესხებოდა,
ახმაღა თავის ხელით სკივრს ვაიღებდა და ვაუბოძებდა.

ოჯახის ქალებიც კი სხვიდასხვა საოჯახო საქმისათვის
ახმაღს შეეკითხებოდნენ ხოლნე: ისიც, როგორც ოჯახის გულ-
შემატკევაოი, სათანადო რჩევას აძლევდა. ზოგჯერ ბავშვებსაც
სცემდა ურჩობასავეს, წერე კი ელოლიაგებოდა ჩემ ბიძებ-
სავეთ.

მაგრამ ყველაზე ძალიან პირუტყვეები უყვარდა. თუ რომელიმე მათგანი ავად გახდებოდა, თვითონაც მათთან ერთად ავადმყოფობდა.

ო, ძალიან უყვარდა ახმადს ჩვენი ოჯახი. ოჯახსაც უყვარდა ახმადი.

ახმადი თუ ავად გახდებოდა, ჩვენ ყველანი ელოდებოდით. პაპა და დიდედა კი ავადმყოფს არ შორდებოდნენ—ღველიდნენ, ანუკეშებდნენ; გემრიელი ლუკმა იმისთვის იყო გადაღებული.

* *

ერთ დღის—მაგშევს რომ გამოგვედუიძან—დავინახეთ, უფროსები ძალიან ნაღვლიანად იყვნენ.

მიზეზი ახმადს წასვლა იყო.

დიდღედაჩემი ცრემლმორგული ბუტბუტებდა და ოთახიდან ოთახში დადიოდა; საქმის გაკეთების თავი აღარა მქონდა. რძლები უსიტყვოდ რაღაცას ამზადებდნენ და პაპაჩემი კი ქვავზე ჩამომჯდარიყო და ახმადს გზას უღოკავდა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, შეილო! ვუბნებოდა პაპაჩემი ახმადს, —სადაც წახვიდე, ქვაც კი აგიმწვანდეს. დანარჩენი შენი დღენი სიხარულით დაგელიოს. ეხლა კი დაიძარ, ახმად, დრო გადის, გზა გქელი გაქვს. ღმერთმა ზელი მოგიმართოს!

ახმადა ჩოხის კალთ ო ცრემლებს იწმენდა. მიუახლოვდა პაპაჩემს, პაპაც გადაეხვია, გადააქოცნა... თვალები კვლავ დაენიშათ.

— შენი ამაგი, ახმადჯან, ჩვენზე ჰალალი იყოს, არ დაგვაყვედრო... ჩვენი პურმარილიც დედის რძესაფით შეგერგოს, შეილო! არ დაგვიფიქო! შენი ბედნიერების ამბავი ხშირად შეგვატყობინე—რომ ჩვენც გაგეხარდეს; თუ რამ გაგიჭირდეს, ისიც შეგვატყობინე, რომ დაგეხაროთ. აბა, გენაცუა, ეხლა კი გაუღმქ, ღმერთმა კეთილი მგზავრობა მოგცეს!

პაპას კურთხევის შემდეგ, დიდედაც მოენვია ახმადს, მერე ოჯახის წევრებმა სათითაოდ გადააქოცნეს; ბოლოს ახმადა ჩვენსკენ მობრუნდა და ბეშევი დაგვოცნა.

* *

ორი ძროხა, ხმო, კამეჩი, ზაქი, რამდენიმე ცხვარი, ერთი დაბარგული ვირი ახმადამ წინ გაიგდო და გზას გაუღდა, უკან ორი ძაღლიც მისდევდა.

ჩემმა ბიძებმა ახალი გზის შირამდის გააკილეს. პაპაჩემმა შუბლზე ხელი მიიღო, თვალები დარქოლვა, და, როცა ახალი მთებმა დააჭირეს, უველანი სახლში დაებრუნდით.

სად წავიდა ახმადა?.. რად სტიროდნენ ჩვენს ოჯახში?.. მე, როგორც ბავშვს, არაფერი გამეგებოდა.

— დიდედ, სად წავიდა ახმადა? — შეეცქიახე დიდედაჩემს.

— სახლში, შეიღო!

— მერე სად არის მისი სახლი?

— სხვა ადგილას...

— ახმადა ვინ იყო, განა?

— ახმადა თათარი იყო, შვილო, ჩვენი მწყემსი. ეს, რამდენი წელიწადი მსახურობდა ჩვენთან, ეხლა კი... ქველი გაუთავდა, თივისი გასამრჯელო მიიღო და წავიდა.

— აღარ მოვა?

— არა!

* *

ამ ამბის შემდგომ დიდი დრო გავიდა.

ბატარაობიდან მე უკვე სიბერეში გადაველ.

ახმადს მეორეთ შევხვდი.

ეს იყო 1905 წელს, როცა ორ ძმას შუა სისხლი იღვრებოდა.

ერთ მოხუცებულ კაცს არ შეშინებოდა სიკვდილისა, ვადმოველო სამცხეთა უამრავი სოფელი, მოსულიყო ჩვენთან, ჩამოშადირიყო პაპაანთ სახლის წინ დიდ ქვაზე და სტიროდა. ცხარედ სტიროდა...

ეს მოხუცებული ჩვენი ძველი ახმადა იყო.

გულადი ნაზარა

ზლაზარა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნაზარა: კაცი ყოველად უყვარგისი და ზარმაკრი. ამასთანავე ისეთი მშვიშარა იყო, ისეთი მშვიშარა, რომ მოგვეკლიათ, ცოლის დაუხმარებლად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგინდა. ქალიჩუნა და ბედასლი ნაზარა დილიდან საღამომდე ცოლის კალთას არ შორდებოდა, აჩრდილივით უკან დასდევდა: ცოლი გარეთ გავიდოდა—გაჭყვებოდა, შემოვიდოდა—შემოაჭყვებოდა. რა ექნა—მარტოდ ყოფნისა ეშინოდა! გეზობლებმა მერ სახელილ „სია ნაზარა“ დაიარქვეს.

ერთხელ ჩვენი მშვიშარა ნაზარა ჩვეულებრივად თავის ცოლს გარეთ გამოაჭყვა.

მშვენიერი ღამე იყო: ნათელი და კაშკაშა.

— დედაკაცო, — სთქვა ნაზარამ, — რა ღამეა და... მერე რა აღვილად შეიძლება დავცეს ამალამ კაცი ქარავანს და გაძარცოს; იცი, დედაკაცო, გული მითქვამს—რაც იყოს, იყოს—ადე და ინდოეთიდან მომავალ შაჰის ქარავანს ჩაუსაფრდი და... სახლი ნადავლით აავსე.

— ხმა ჩაიწყვიტე, და, ცხდე შენთვის, — მიუგო ცოლმა, — ვითომ შენც რამე შეგიძლიან, რაღა?

ნაზარას ეწყინა:

— შენ, თი, ქოფაკო, ყოველთვის აგრე ნუ იცი ბოლმე. აბა რას შეუჩებო, რომ შეუჩებო? რა გენაღვლემა ქარავანს დავცე და სახლი დოულათით ავაგსო?

— შე შენი თავი არა მაქვს...

— მაშ კაცი არა ვყოფილვარ და ქუდი არა მბურებია. თუ დედაკაცის სიტყვას ავეყვე...

და რადგან ნაზარა კიდევ დიდხანს ბუზღუნებდა, ცოლმა ჯოქოლა მიაყარა: „ჯანდაბანდისაც გზა გქონიაო!“ სახლში შევიდა და კარები ჩაიკეტა.



დარჩა ნახარა ეზოში მარტოდ მარტო. საწყალს შიშისაგან სული ეფანტებოდა. ბევრი ემუდარა ცოლს, კარები გაეღო და სახლში შეეშვა, მაგრამ ცოლი ყურსაც არ იბერტყავდა.

რა უნდა ექნა? დარჩა იმ დამეს გარეთ. შიშისაგან კბილს კბილზე აკეპინებდა. უკვე განთიიღმა მოადღწია... მზემ ყური ამოჭყო და არემარე მორცხვად ვაანათა. გულდაწყვეტილი ნახარა ევლო კედელთან ჩაფიქრებული და მხვს ეფიცებოდა, გუნებაში კი ფიქრობდა: „ნუთუ ჩემი ჯალაბი არ შემოცოდებს, არ შემირიგდება და არ შემოიყვანს სახლში?“

ზაფხულის პაპანაქება დღე იყო. გამწარებული ბუზები ცოფიანებივით აკბინებოდნენ. ბუზებმა ნახარას მთელი სახე დაუხსნილეს, მას კი ცხვირის მოხოცვაც ეზარებოდა. მაგრამ როცა ჩვენა ნახარა ბუზებმა მეტისმეტად შეაწუხეს, ხელი მოიკნია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახეში ითბლიშა დახოცოლი ბუზები მაშინვე ძარს ჩამოაცივდნენ.

— ბიჭოს! ე რაღა ამბავია? — გადკვირვა ნახარამ, უნდოდა დაეთვალია. ერთის დაკვრით რამდენი ბუზი დახოცა, მაგრამ ვერ შესძლო: დათვლა ვერ მოახერხა. — ალბად, ფთასზე მეტი იქნებოთ! — გაიფურჩო.

— ვახ, რატომ აქამდე არ ვიცოდი, რომ ასეთი ყოჩალი ვიყავი? თუ ერთის დაკვრით ათასი ცოცხალი არსება დაეხოცა, მაშ რაღაა ვეუზივარ სახლში და შევცქერი ჩემს უბადროუკ დედაკაცს?

ადგა ნახარა და პირდაპირ მღვდლისკენ გაემგზავრა.

— დამლოცე, მამაო!

— დმერთი იყოს შენი მწარეფლი, შეილო!

— აი, მამაო, ასე და ასე დამეძარათა...

ნახარამ უამბო მღვდელს თავისი გმირობა და დასძინა, რომ მეტი აღარ შეეძლიან, ცოლს უნდა გაეყაროს, ბოლოს შეეხვეწა, მისი გმირული მოღვაწეობა მღვდელს პატარა ფარტიწაზე აღენიშნა, რომ გულად ნახარას მოქმედება საიდუმლოაო არ დარჩენილიყო და ყველას შესძლებოდა მისი ცოდნა და წაკითხვა.

მღვდელმაც აიღო ერთი ფალასის ნაგლეჯი და ხუმრო-
ბით წაუწერა:

აი, ნახარა დაუჯანბნელი,
ერთის მოქნევი: ათასის მკვლელი!

და გადასცა.

ნახარამ ეს ნაწერი მკვდილ კომბალს გამოაბა, გაიღო
მხარზე შაირალივით, ჩამოიკიდა ბლავვი ხმალი, შემოაჯდა
მეზობლის სახედარს და — ჰერი — გაუდგა გზას.

2

გაუდგა გზას. გაშორდა თავის სოფელს. შიღის და თეი-
თონაც არ იცის, საით შიღის! სოფელი კარგა მანძილზე
დასტოვა. მოიხედა უკან და... ერთბაშად რაღაც შიში იგრძნო:
სითამავე რომ მისცემოდა, დაიწყო ცხვირში ნიღნიღი; ხან
უსტევენდა, ხან საკუთათ თავს ეშუსაიფებოდა, ხან ვირს
უწყებოდა: რამდენიც შორს შიდიოდა, იმდენად შიში ემა-
ტებოდა და, რამდენადაც შიში ემატებოდა, იმდენად ხმას
უმაღლებდა, შოლოს კი ღრიალი შორათო, პატრონს ეიროც
აქცა და ასტყდა ერთი ორომტრიალი.

ამისთანა საშინელ ღრიალს გამო ჩიტები დაფრთხნენ,
კურდღლის ბაჭიამ ჩირგვებს შიაშურა, ბაყაყები ნაპირებიდან
ისევე ქაობში სტვიოდნენ, ნახარა კი უმატებდა და უმა-
ტებდა ღრიალს.

აი, შევიდა დაბურულ ტყეში. ნახარა შიშმა აიტანა,
ათრთოლოდა, საცოდავს ეგონა, რომ ყოველი ხის, ბუჩქის თუ
ქვის უკან, ყაჩაღი ან ნადარი იყო ჩასაფრებული. ჩვენი გუ-
ლადი მოგზაური კი დაგლეჯილი ჯორივით ღრიალვებდა და
ღრიალვებდა: ყურთა სმენა აღარ იყო.

ამ დროს ტყეში ერთი ვლევაკი გამოჩნდა; ხელში
ფშარი ეჩირა და ცხენს მიუძლოდა. უცბად სახარელი ყვირი-
ლი მოესმა. შეჩერდა.

— ვაიმე, ეხლა კი ჩემი აღსასრულის დღე დადგა, — წარ-
შობსთქვა ვლევამ, — აღბად ეს ადვილი ყაჩაღების მუნაგიაო — შია-
ტოვა ცხენი, ორი ფეხი ხომ მჭონდა, ორიც ისესბა და მოუღსო.

აი, როგორ სწყილობდა ყისშითი ჩვენს გულად ნაზარას
 შიღის ყვირილით გზაზე და რას ჰხედავს—შევაზმული ცხენი
 სდგას და ელოდება! ნაზარა ვირიდან ჩამობძანდა, დაყაჯრულ
 ცხენს შეაჯდა და განაგრძო გზა.

3

ბერი იარა თუ ცოცხალი იარა, ეს ნაზარამ ჩვენზე უფრო
 უკეთ იცის.

ბოლოს მიუახლოვდა ერთ უცხო სოფელს.

სად წავიდეს? ვისთან მივიდეს?

ერთი სახლიდან მოესმა ზურნის ხმა, შეაჩერა ცხენი, მიუ-
 ახლოვდა სახლს და,—რას ჰხედავს: ქორწილია გაჩაღებული.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს!

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისა!

შეიწვიეს და მოწიწებით დასვეს სუფრის თავში. საღვე-
 თესო სასმელ-საქმელი ნაზარას მიართვეს.

იღბალზე ნაზარა ქორწილში ვერაფერს იცნო, სტუმრებს
 ნაზარას ვინაობის გაგების სურვილი აღუქრათ. ერთმანეთს
 ხელს ჰკრავდნენ, ანიშნებდნენ: „ხომ არ იცნობ?“ „ვინ არის?“
 მღვდელმა, რომელიც ნაზარას თანამოინახეთ ჰყავდა, შის
 ჯიბეში მიმაგრებული წარწერა წაიკითხა:

„აი, ნაზარა დაუჯაბნელი,

ერთის მოქნევით ათასის მკვლელი!“

წაიკითხა და თავზარდაცემულმა წასჩურჩულა თავის მეზობელს,
 იმან—მეორეს, მეორემ—შესაშუს, შესაშემ—მეოთხეს და ერთ
 წუთში ბთელ სუფრას მოედო ახალი ამბავი:

„აი, ნაზარა დაუჯაბნელი,

ერთის მოქნევით ათასის მკვლელი!“

— მაშა, კაცო, ეს ხომ გულადი ნაზარაა!

— ძლივს არ ვიცანი!

— როგორ გამოცვლილა და...

წამოიტრამბა რამდენიმე სტუმარი.

გამოჩნდნენ ისეთი პირნიც, რომლებმაც დამსწრეთ უკმაშეს ზოგი რამ ნაზარას ვშირული თავდადასაუალიდან. მოიგონეს ერთად გატიარებული დრო, პურმარილი და ძველი პარიფაიაობა.

— თუ შართლა წავისთანა კაცია, რატომ თან არავინ არ ახლავს? — გაკვირვებული კითხულობდნენ ზოგიერთნი.

— ეგვეც მაგის ჩვეულებაა: არ უყვარს მსახურთა თანხლებით მოგზაურობა.

— ერთხელ მე შევეკითხე და იცით რა მიპასუხა: „რა თხრად შინდა მსახური, როცა მთელი ქვეყანა მე შემსახურებაო.“

— როგორ მოხდა, რომ ერთი ხვირთანი ხმალის აბა აქვს და რაღაც ენგანნი რკინა ხინოტკოლია?

— საქმეც მავაშია და: გშირობა ის არის, განგინი ხმლის ერთი დაკვრით დაპხოცო ათასი, თორემ აღესილ საქვერით ხომ ჩვეულებრივ გშირსაც შეუძლიან გშირობა.

განკვიტრებულია ხალხმა ფეხზე აღგომით დალია გულად ნაზარას სადღევრძელო, ხოლო ერთმა მკერმეტყველმა შემდეგი სიტყვით მიმართა: „წვენ დიდი ხანია ვვესმოდა, ძვირფასო ნაზარ, შენ დიდება, ვნატობდით შენს ხილვას, და აი, დადგა ის მგდნიერი დღე, როცა პირისპირ ვუვდავთ ჩვენს სიამაყეს“.

ნაზარან ერთი ამოიხუნეში და ხელი ჩაიქნია.

სტუმრებმა ერთმანეთს ანიშნეს ნაზარას ასეთი თავდაბლობა: იმის ერთ ხელის ჩაქნევას და უზრალი ამოთხვრამაც კი დიდ შნიშვნელობას აძლევდნენ.

ქორწილის ამუღმა ხელად ლექსიც გამოუთქვა მუნასობად:

„სალამი შენდა, ჩენო ნაზარი,
ჩვენო არწივო ქანგ-გაბასრულო!
შენი სავმენი, მტრისთვის საზარი,
შინდა ამ ლექსით დღეს დავასრულო.
აი, ნაზარა დაუჯაბნელი,
ერთის მოქმევეთ ათასის მკვლელი!“



შენ ხარ ჩაგრულთა ძმა, მეგობარო,
 შენში ძალაა ნუგეშეული;
 შენ ხარ მკურნალი ყველა სნეულის
 და ქვიფ-ობოლთა იმედის ფარი!
 აი, ნაზარა დაუჯაბნელი,
 ერთის მოქნევით ათასის მკვლელი.

მკლავი გაქვს რკინის, ხმა — აბრეშუმის,
 ხარ სიამაყე მთელი ერისა!
 ჩვენ რა ღირსნი ვართ შენი სიჭუმის,
 თვით შენი ცხენის ფეხთა მტყვერისა?
 აი, ნაზარა დაუჯაბნელი,
 ერთის მოქნევით ათასის მკვლელი!”

ვინც ქორწილიდან ბრუნდებოდა, მთავალს თუ ფხი-
 ზელს, ყელას პირზე ეკვრია:

„აი, ნაზარა დაუჯაბნელი,
 ერთის მოქნევით ათასის მკვლელი“.

ნაზარას სასწაულებრივ გამოობაზე და მის გოროზ გა-
 მოხედვაზე ყველა განცვიფრებით დაბარაკობდა. ნაზარას ისე
 გაუვარდა სახელი, რომ თვით ახლად დაბადებულ ბავშვებსაც კი,
 მის პატრუსაქემად — „გულად ნაზარას“ არქმევდნენ.

4

ქორწილის შემდეგ ჩვენი ნაზარა ისევე გზას გაუდგა...
 ვადაიარა ბამდენიზე მთა და გწვიდა ერთ ტრიალ მინდორზე.
 ნაზარამ ცხენი საბაღაიხოდ გაუშვა, კომბალი, წარწერიან თა
 ლასით, მიწაში ჩაბრქო, წამოწვა ამ „დროშის“ ქვეშ საგრილოდ
 და ძალე ხერინვაც ამოუშვა.

ეს მიდამო ეკუთვნოდა შვიდ ძმა გოლიათ მღვდებს. მხ-
 ლობელ მთაზე მათ ციხესამაგრეც ჰქონდათ. ჰედავენ მღე-
 ვები, რომ მათ სამფლობელოში ვიღაც უცნობი ვაჩერდა-
 გაუჯვირდათ: „რა გულის პატრონია და ჩამდენი თავი უნდა
 ჰქონდეს ამ ვილაყას, რომ ასე დაურიდებლად და დამწვიდე-
 ბით არამც თუ ჩვენს მინდორს ესტუმრა, არამედ ცხენსაც კი
 თავისუფლად აბაღაბებხო.“ გაჯავრდნენ. შეიარაღდნენ — თვი-

თელ მათგანმა ორმოცლიტრიანი კომპალი მიუხილოდნენ ნაზარას და რას ჰხედავენ: ცხენი თავისუფლად, სპოვს, მგზავრი კი გაშვლიათულო და არბინიდ ხვრინავს... მძინარს თავით დროშა აქვს დასობილი და დროშაზე კი— წარწერაა:

„აი, ნაზარა დაუჯანბნელი,
ერთის მოქნევით ათასის მკვლელი!“

— ვაიმე, — თითები დაიკვიტეს მღვე-კაცებმა — ეს ხომ თვით ნაზარაა, გულადი ნაზარა!

მღვეები ერთ ადგილას გაქვეყდნენ.

ქორწილში დარბეული ნაზარას აშავი თურმე მღვეებს სხახლენდისაც მისულიყო.

მღვეები იღვნენ ნერწყვ-გამშრალნი და გულისთანკტალით ელოდნენ ნაზარას გამოღვიძებას. — 2/

აი, ნაზარამაც გამოიღვიძა, გაიზმორა, თვალები მოიფშენიჭა და რას ჰხედავს: გარშემო შვიდი უზარმაზარი მღვეი ღვას, თვითელ მათგანს ორმოცლიტრიანი კვერთხი გაუღ-

ზარზე. ცოცხალმკვლარი ნაზარა შიშისაგან თავის ჯოხს

„ა და შემოდგომის ფოთოლივით აცახცახნდა, როცა მღვეებმა გაფითრებული და აკანკალებული ნაზარა დაინახეს, ეგონათ, ალბათ ჩვენ გაგვირისხდა და ერთის დაკვრით შვიდივეს დაგვაწვესო, ყვებქვეშ ჩაუვარდნენ და სიკოცხლის შენარჩუნებას ემუდარებოდნენ. ყველამ ერთხმად შეპლრიალა:

— აი, ნაზარა დაუჯანბნელი,
ერთის მოქნევით ათასის მკვლელი!

— გვესმოდა შენი ქებადიდება, შენმა სხეულმა ჩვენამდეც მოაღწია, ვნატროლობდით შენთან შესვედრის, და აი, გვილეთ პირისპირ და ჩვენი სიხარული უნაპიროა. დღეიდან შენი ერთგული ყმანი ვართ, ჩვენი შვიდი თავი, შენი ქირის სანაცულოდ იყოს, შეაწირე ჩვენი სიკოცხლე, ინებე ეს ცხედარბაზი ხადაც ჩვენი მხეთუნაზავი და მზეობს. გვეცი პატივი, დიდებულო მხედართმთავარო, გვეწვიე სახალხეში და გაიზიარე ჩვენი პურმარლი. 9



ნაზარამ თავისუფლად ამოისუნთქა. შემოახტა თავის ცხენს და დიდის წეიმზარით შეიყვანეს ციხედარბაზში.

მღევები ისე დაუზღუნენ ნაზარას, როგორც ვეფეს ეკადრებოდა. ნაზარასადმი პატრვი და მოკრძალება დლითილდე იზრდებოდა. ისე გააზვიადეს მღევებმა ნაზარას გმირობა, იმდენი ილაპარაკეს, რომ ნაზარასადმი ტრფილლება თვით მზეთუნახავსაც ჩაუვარდა გულში...

5

სწორედ ამ დროს მღევების სამფლობელოში უეცრად ვეფხვი გაჩნდა.

ვის შეეძლო შებოძა ასეთ ნადირს? ვის შეეძლო მისი მოკვლა? ვის, თუ არა გულად ნაზარას!

ყველი ნაზარას შესციცავებდა თვალებში, როგორც ერთადერთ მხსნელს. ცახე ღმერთი იყო და მიწაზე—ნაზარა.

ნაზარამ როგორც კი გაიგონა: „ვეფხვი მოვარდნილიაო!“ სასახლიდან გარეთ გამოვარდა, რომ შინ ვაპარულყო, მღევებს კი ეგონათ პირდაპირ ვეფხვისკენ მიეშურებოთ; პატარძალი გადაეღობა: „უიარაღოთ ნუ წახვალ, სახელი არ გაიტეხოო“ და შესაფერისი საქურველი მოუტანა.

ნაზარამ აიღო იარაღი და წავიდა.

—ტოტა იარა, თუ ბეჭრი იარა—შიადგა ერთ დაბურულ ტყეს. შევიდა უტებ ტყეში, ავიდა ერთ ხეზე და სულგანაბული ხის, რა არი: არც ვეფხვი შეხედეს და არც ვეფხვმა დაინახოს. მოიკუნტა ხის ტოტზე, სუნთქვა შეიკრა და სული შიშისაგან სისირის მარცვლივით დაეღია.

საუბედუროთ—სად იყო, სად არ იყო—გაჩნდა მოხეტიალე ვეფხვი და სწორედ იმ ხის ძირას წამოწვა, რომელი ზედაც ნაზარა იყო. ნაზარას, ვეფხვის დანახვაზე, ნაღველო გაუსკდა, თვალები აებლანდა, ხელ-ფეხი დაუბოშდა და—თრმუ, ზღართანნი მოადინა პირდაპირ ვეფხვის ზურგზე.

წამობტა შეშინებული ვეფხვი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაპკურცხლა. ნაზარა კი ვეფხვს ზურგზე შერია და

შის ჭეჭოს მივრახ ებლაუჭებოდა. გააფთრებული ნადირი ცოცხალმკვდარ ნაზარას ტყესა და ღრეში მაიქროლებდა.

ბევრი ირბინეს თუ ცოტა ირბინეს—მიადგნენ ერთ სოფელს. უტკერის ხალხი და რას ჰხედავს: ნაზარა ზის ვეფხვზე და ერეკება.

— ეი, ჯამაათნო, გარეთ გამოდი, რა სერია და... გულადი ნაზარა ვეფხვზე ისე ზის, როგორც კარგ ცხენზე! აბა, ხალხო, სირცხვილს ნუ ვჭამთ: ნაზარამ ვეფხვი დაიჭირა, ჩვენ მოვკლათ მაინც.

გათამამებული ხალხი, —რიგი კეტებით, რიგი ქვებით, ერთი სიტყვით, ვისაც რითი შეეძლო, — მიესია საცოდავ ნადირს და ჩაჰქოლეს.

ნაზარა გონს რომ მოვიდა, ხალხს უსაყვედურა:

— აბა, რას ერისოდით, რომ მოჰკალით? მე ცოცხლისათვის მინდოდა ტყავი ვამეძროო.

ვეფხვის დაჭერის ამბავი მღვვების ციხეშიც შეიჭრა. დიდი და პატარა, ვაღი და კაცი. — ვველა ნაზარას გამოიფეგა, შიორიც კი გამოუთქვათ. მღეროდნენ:

„შენი ღირსი, შენი ტოლი
გინა უინმე კიდევ არი?
შენ ხარ ხალხის წინამძღოლი,
შენ, ნაზარი! შენ, ნაზარი!

ხნიერი თუ აბალგაზდა,
ჯაბანი თუ უშიშარი —
შენის ამბით აღვაზდა,
აბ, ნაზარი! აბ, ნაზარი!

მტერს დაეცი, როგორც ქორი,
წაწოუნოე, ვით ხანძარი!
აჭეინ არი შენი სწორი,
შენ, ნაზარი! შენ, ნაზარი!

ვეფხვს მოახტი ზურგზე ხელად,
გააკვირვე მთა და ბარი;
დღეს ყველანი გვასახელებ,
აბ, ნაზარი! აბ, ნაზარი!



მღვწეებმა ნახარას თავის ღი მითხოვეს. წინაშე მისი ღი
 კორწილი გადაიხადა. შვილი ღლე და შვილი ღამე განუწყვეტ-
 ლიე ღრეობდნენ. რა გინდათ, სუფრაზე არ ყოფილიყო. |
 თავით ზიტის რძეც კი იშოვებოდა. მაყრები ნეფე-დელოფალს
 ასე ამკობდნენ:

„მოქათქათე მოვარე ამოვიდა ცაზე,
 ნეტა ვის გავონებთ მოვარის სიღამაზე?

მოქათქათე მოვარე ამოვიდა ცაზე —
 ეს ნახარა არი, ნულარ ფიქრობთ სხვაზე!

* *

განთიადმა შუქით ზეცა გადასერა,
 ნახარასთან ვინ სდგას? ჯვარი ვინ დასწერა?

განთიადმა შუქით ხეცა გადასერა,
 პატარძალსა, ხალხო, მხეს მიუგავს ცქერა!

6

უნდა ითქვას, რომ მღვწეების დას — ვიდრე ის ნახარას
 შეუღლე გახდებოდა — მეზომელი ხელმწიფე თხოულობდა. რო-
 გორც კი გაიგო ამ ხელმწიფემ, რომ მისი ამორჩეული ქალი
 სხვაზე გაუთხოვებიათ, შეჭკრიბა თავისი ღამჭარი და შვიდ
 ქმა მღვწებს ომი გამოუცხადა.

მისცვივდნენ ძმები ნახარას, გაერთბნენ მის წინაშე, გა-
 დასცეს ომის ამბავი და მოკრძალებათ ელოდნენ ბრძანებას.

ნახარა შეუერთა, როგორც კი ყურში ჩაეწვეთა სიტყვა:
 „ომი!, და თავხარდაცემული გარეთ გამოვარდა გასაპარავად.
 ხალხს კი ეგონა, ისარივით იძიტომ ილტვის, რომ პირდაპირ
 მტრის ბანაკს დაეცესო.

ხალხი ვხაზე გადაეხარბა, შეაჩერა და ეხვეწებოდნენ:

— ნუ, შენი კირიმე, ნუ მიხვალ ცარიელტარიელი...

— აბა, სად გავანილა უიარალოდ ბრძოლა?

— სიცოცხლე მოგბეზრდა?

მოუტანეს ხომარი საქურველი და შეაიარაღეს... პატარ-
 ძალი კი თავის ძმებს ეხვეწებოდა: „არამც და არამც ჩემი

ნაზარა მარტოკა არ გაუშვავთ, მძიმე ხელი აქვს და ვაი თუ ვინმე შენოაკედგნოს!»

უცხად ხმა გავრცელდა, რომ ნაზარა მარტოკა და უიარალოდ აპირებდა ბრძოლას, მაგრამ შეაჩერეს და ენლა თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი საკუთარი ამალით მიდის მტრის შესამუსროლო!

როცა ხაბრძოლველიდ გავიდნენ, ნაზარას მიაგებეს გაფხედნილი რაშო. აღფრთოვანებული მხედრობა ყიყინით მიეგება: — „გაუპარჯოს ნაზარას, სიკვდილი მტერს!“

ცხენმა რომ იგრძნო მისი მხედარი რა უნარის პატრონიც იყო, დადრღნა ლაგამი, დაიხეიხეინა, გაიტაცა ჩვენი ნაზარა და პირდაპირ მტრის ბნაიკსკენ გააქანა... ჯარს კი ეგონა, ნაზარა მტერს არა ზოგავს და პირველადვე იერიშზე გადავიდა! გათამამებული ჯარი, როგორც ერთი კაცი, ისე გაძვეა ნაზარას უკან.

მხედავს ნაზარა, რომ მისი საქმე კუდითაა, ცხენს ვერ იმაგრებს და, საცაა, ძირს ზღართანით მოსძვრება. ცხენი ერთხეს რომ გაუთანასწორდა, თავის გადასარჩენად ნაზარა ორივე ხელით ხის ტოტს ჩაეჭიდა. მაგრამ ხე თურნე დაფუტუროვებული ყოფილიყო, უშტყუნა ხემ და... ერთი ვეება კოქის ოღენა ტოტი ხელში შერჩა ჩვენს ნაზარას.

ნაზარას გულადობაზე წინასწარ გავრცელებული ხმების გამო მოპირდაპირის ჯარი ისედაც შეშინებული იყო. აქმაგმა აცნობა მოპირდაპირის ბნაიკს, რომ გაჯაფრებული ნაზარა მოდის და ქვას ქვაზე აღარ სტოვებსო. ჯარი შედრკა. თავგზა დაებნა. ვილაკამ დაიგრილა: „თავს უშველეთ, თორემ გულადი ნაზარა მოდის და ბეებს ძირიანად სთხრისო!“

მტრის შეშინებული სმა უსაყენოდ გარბოდა. დაგრიო ნაზარას ჯარი გაქცეულვებს და სულ ნაკარტუტა აღინა.

ამ დღეს მრავალი სოფელი იავარ-იქმნა. ზღვა ხალხი გაიჭლიტა, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, ყველამ იარაღი დაპყრო და ნაზარასადმი მორჩილება გამოაცხადა.



გულადი ნაზარა გამარჯვებული შვიდა მტრის სახელმწიფოში;

დამორჩილებულმა ერმა თავის ქვეყანას, ნიშნად ნაზარას პარტიისცემისა, „ნაზარის ტანი“ უწოდა.

ამის შემდეგ ძლიერ მოსილი და სახელგანთქმული ნაზარა დაბრუნდა მღვდების კოშკში. ხალხმა შედღუნრი, გამართა: სახლის ბანებზე გადმოჰდინეს ნობები, წამოანთეს ჩირაღები, გზაჯვარედინზე გააკეოეს ყვავილების კაზარა, სიმღერით, ყინით და ღუღუკით აღიდგდნენ ნაზარას მობრძანებას და ულოცავდნენ არაჩვეულებრივ გპრობას. გაკვირვებული ნაზარა, სალამის ნიშნად, ყველას თავს უჭნევდა.

ხალხმა ნაზარას გამოუცხადა თავისი ნდობა და დანდეს სამეფო ტახტზე.

აი, ასე გახდა ნაზარა მეფეთ. შვიდი ძმა მღვევი გამოაცხადა ნაზირ-ვეზირებთ: ჩააბარა სახელმწიფოს სხვადასხვა გამგებლობა და აძირგად ჩვენი ნაზარა მთელი ქვეყნის მფლობელად გადაიქცა.

ამბობენ, გულადი ნაზარა აქამდე მეფობს. სჯობრობს არხეინად, ქვეყანას თავის მუტაში ჰხედავს, ქეიფში იტარებს დროს და მთელ მსოფლიოს დასცინის.

როცა მასთან ჩამოვარდება ღამპარაკი გულადობაზე, გამჭრიხობაზე თუ კუყავონებზე, ნაზარა სიცილით იტყვის ხოლმე:

— რის კუყა! რა გულადობა! ეს სულ ტყუილი მიქირავა! აღამიანს იღბალი უნდა ჰქონდეს, იღბალი! არ გაგვიგონიათ: „ბედი მოჰვეცი და სანებებზე გადამაგდეო!“

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

3

საქართველოს
საბჭოთაო
ენობის
საქართველოს



ს. ს. შ. უ. ს. პილოვი, ნახევრ. 1-ლი სტაბი. პეფ. პრ. № 91.
შთავარდობ. № 2004. შტა. 09. დაბეჭდვა 2000.



ქართული ენის
სამეცნიერო ცენტრი

